"ჩვენში პიარიც ყვითელია" A3
ალიევი კომაშია? A5
"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 9 მაისი, 2003 წელი. №125 (337)
ფასი 50 თეთრი

# ტერაქტები გრძელდება

ზაზა ფაღრეულიძის ფოტო

*სასტუმრო "აჭარის" წინ ეს-ესაა "ჯიპი" აფეთქდა.*

*გუშინ დილით, მორიგი სკანდალური კრიმინალური შემთხვევა მოხდა. სასტუმრო "აჭარასთან" "ტოიოტას" მარკის შინდისფერ "ჯიპს", რომლის სახელმწიფო ნომერიცაა VWV 808, ცეცხლი გაუჩნდა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ "ჯიპის" მფლობელი სავაჭრო კომპლექს "მორკინალის" მეწილე, ბიზნესმენი ჯონი გიგანი იყო.*

ინგა ალავიძე

აფეთქების დროს მანქანაში იმყოფებოდნენ ჯონი გიგანის მძღოლი და პირადი დაცვის წევრი, რომლებმაც მანქანიდან გადმოსვლა მოასწრეს. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ტერაქტამდე 10 წუთით ადრე, მანქანაში ჯონი გიგანის ბავშვები ისხდნენ, რომლებიც მძღოლმა სკოლაში დატოვა.

უკვე დადასტურებული ინფორმაციით, აფეთქება მანქანის უკანა სალონში, სავარძლის ქვეშ დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებამ გამოიწვია. აფეთქების ტალღამ მანქანა, დაახლოებით, 30 მეტრით გააგდო და შემდეგ ცეცხლი წაეკიდა. ექსპერტთა წინასწარი მონაცემებით, პარლამენტარ ჯანსუღ ჩარკვიანის სიძის, ბიზნესმენ ჯონი გიგანის ლიკვიდაციის მცდელობისას გამოყენებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილი". გიგანის მანქანაში დამონტაჟებული მოწყობილობის აფეთქება შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 50 მეტრში მდგარი მანქანიდან, მართვის პულტის გამოყენებით განხორციელდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ვიტალი ხაზარაძე, ლენინი, ბურჟუაზია

თამარ მჭედლიშვილი

*მიმდინარე სასესიო კვირაც ისე დასრულდა, რომ პარლამენტმა, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. საღამოს ექვსი საათისთვის, როდესაც, ამ საკითხის განხილვა დაიწყო, დარბაზში მხოლოდ ორმოცამდე დეპუტატი იმყოფებოდა (უმრავლესობა, ძირითადად, ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები იყვნენ). სახელისუფლებო ფრაქციების წევრებმა კი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის განხილვას "წაუყრუეს" და პარლამენტში არ გამოცხადდნენ. ასე რომ, მათ ინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ მოქკავშირის ერთ-ერთი ლიდერი ვიტალი ხაზარაძე და ფრაქცია "სოციალისტის" წევრი იური ჩიხრაძე იცავდნენ. ოპოზიციასთან კამათის დროს, განსაკუთრებით, ვიტალი ხაზარაძე აქტიურობდა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, საკითხის განხილვა დროში გაწელილიყო. მიზნის მისაღწევად მან მრავალ ხერხს მიმართა, ბოლოს კი ვერც ისტორიულ ექსკურსზე თქვა უარი და მისი გამოსვლებით უკმაყოფილო კობა დავითაშვილს უსაყვედურა კიდეც: "ისე ნუ მიყურებ, როგორც ლენინი ბურჟუაზიასო".*

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელმწიფო ქონება ერთი სამინისტროდან მეორეში გადადის

### რა ბედი ელის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 1500-მდე საწარმოს?

*რამდენიმე დღეში ქონების მართვის სამინისტრო ლიკვიდირებულად გამოცხადდება. სახელმწიფო ქონების განკარგვისა და გაყიდვის ფუნქციებს ეკონომიკის სამინისტრო შეითავსებს.*

სოფო კვინტრაძე

13 მაისს ქონების მართვის სამინისტროს ლიკვიდაციის პროცესი ოფიციალურად დასრულდება. სამინისტრო ორ უწყებად დაიშლება: პრივატიზაციის დეპარტამენტი, რომელიც ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადავა, და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვის სააგენტო, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება და მასაც ეკონომიკის სამინისტრო გაუწევს კონტროლს. აღნიშნული ცვლილება, კარგა ხანია, იგეგმება და იგი აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება. როგორც ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე კახა უგულავა აცხადებს, ქონების მართვის სამინისტრომ, დიდი ხანია, დაკარგა ფუნქცია. ამას გარდა, უგულავას აზრით, საწარმოთა წილების მართვისათვის სამინისტრო აბსოლუტურად მოუქნელი სტრუქტურაა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ულტრანაციონალიზმი პოლიტიკური ქულების უშრეტ წყაროდ რჩება

*"უკვე დიდი ხანია" რაც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების ჩაწერა-არჩაწერის საკითხზე პარლამენტში გაჩაღებული დისკუსია პოლიტიკოსთა გარკვეულ ნაწილს "აჭმევს პურს". იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ისინი დაინტერესებულნიც კი არიან, რომ აღნიშნული საკითხი საერთოდ ვერ მოგვარდეს და პოლიტიკური ქულების ჩაწერის წყარო უშრეტად მოედინებოდეს.*

გიორგი ასანიშვილი

ამის დასტურია თუნდაც გუშინდელი პლენარული სხდომა, რომელსაც "მარადიული პრობლემისთვის", წესით, ზღვარი უნდა დაედო - კანონპროექტი პირველი მოსმენით კენჭისყრაზე დადგა და ხმების საჭირო რაოდენობაც მიიღო. მას ხმა მისცა 84-მა დეპუტატმა ერთის (გურამ შარაძე) წინააღმდეგ (კვორუმი - 81). თუმცა, პარლამენტში შარის პოვნას რა უნდა. გუშინ ეს სულაც არ გასჭირვებია გურამ შარაძეს, რომელმაც კენჭისყრის შედეგების სისწორეში ეჭვი შეიტანა და მისი გაბათილება ითხოვა. საკითხი შესასწავლად საპროცედურო საკითხთა კომიტეტს გადაეცა. ასე რომ, "ქულების წყარო" ისევ განაგრძობს დენას. მით უმეტეს, როსტომ დოლიძის კომისიამ კენჭისყრის შედეგები ძალაშიც რომ დატოვოს, მეორე და მესამე მოსმენა მაინც წინ არის. აქედან გამომდინარე, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების ჩაწერის საკითხით "თავის რჩენა" კიდევ კარგა ხანს შეიძლება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ნათელაშვილი ეუთო-ზე ამყარებს იმედებს

### "ამ არჩევნებზე გამყალბებლად ათი ხათუნა, ათი ზურა და ათი შევარდნაძე გვეყოლება," - ამბობს ლეიბორისტების ლიდერი

ვერიკო თევზაძე

*"გასაყოფია უზარმაზარი პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური მემკვიდრეობა, ქვეყანაა გასაყოფი. შევარდნაძის ჯგუფებმა, ჯერჯერობით, კონსენსუსს ვერ მიაღწიეს: დღეს შეიკრიბებიან, ხვალ დაიშლებიან, ზეგ ისევ გაერთიანდებიან, შეხმატკბილდებიან, შეჟღურტულდებიან, მერე ისევ ერთმანეთის გინებას იწყებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველ კლანში – ყოფილებშიც და მოქმედებშიც, ჯერჯერობით, შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ კონსენსუსის მისაღწევად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ამის ნათელი მაგალითია საარჩევნო ვაკქანალია, რომელიც უკვე დაიწყო ქვეყანაში", - ლეიბორისტული პარტიის ლიდერი არჩევნების გაყალბების თავიდან ასაცილებლად ერთადერთ გზას ხედავს: მისი აზრით, ეუთო-მ საკუთარ თავზე უნდა აიღოს საქართველოში არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა.*

**"თუ ადრე გასაყალბებლად ერთი ხათუნა, ერთი ზურა და ერთი შევარდნაძე გვყავდა, ამ არჩევნებისთვის ათი ხათუნა, ათი ზურა და ათი შევარდნაძე გვეყოლება. ყველა პარტია ცალ-ცალკე შეეცდება, მიბაძოს "მოქკავშირის" დამანგრეველ პრაქტიკას, რომელიც ქვეყანაში ათი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ევროპის დღე და სერვილების დეკლარაცია

სოფო ბუკია

*9 მაისი ევროპის დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, სასტუმრო "მერიოტში" ხელი მოეწერა დეკლარაციას - "საქართველოს სრული გაწევრიანებისკენ ევროკავშირში". ამ ცერემონიის ინიციატორები არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასუს ლინკსი" და "ევროპული სახლი" გახლავთ.*

დეკლარაცია, რომელიც ვაჟა ლორთქიფანიძის, გიორგი ბარამიძის, ვიტალი ხაზარაძის, კოტე კემულარიას, ირაკლი მინდელის და ჰამლეტ ჭიპაშვილის ავტოგრაფებით დამშვენდა, კიდევ ერთხელ გვაუწყებს **"ქართველი ხალხის ნებას, იცხოვროს ევროპულ ფასეულობებზე დამყარებულ თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოში".**

გაგრძელება A2 გვერდზე

ბექა გულუაშვილის ფოტო

*ევროპული სახლისკენ სწრაფვამ ერთად დასვა პოლიტიკური ოპონენტები.*

### ვოლიტიკა

**შევაშინოთ რუსეთი და ის დათმობს აფხაზეთს - ამბობს ფელიქს ტყეებუჩავა**

"რუსეთმა იცოდეს, რომ ჩვენ მოვაწყობთ მეორე ჩეჩნეთს აფხაზეთში, ამიტომ მას ურჩევნია საქართველოსთან მეგობრობა", - იმუქრება ტყეებუჩავა.

A3

### ეკონომიკა

**გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას წინასაარჩევნოდ ექსპერიმენტისკენ უბიძგებენ**

გუშინ საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში ამერიკული საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგი" 18-თვიანი მართვის უფლებით უკვე ოფიციალურად შევიდა. ის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას მომავალი მენეჯერისთვის გადასაცემად მოამზადებს.

A4

### უცხოეთი

**ჩინეთში, შეიძლება, „პერესტროიკა„ დაიწყოს**

მსოფლიოში ატეხილი აჟიოტაჟის გამო, ჩინეთის ხელმძღვანელობამ ინფორმაცია ნაწილობრივ გახსნა. ექსპერტების აზრით, კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკის ამგვარმა ცვლილებამ ჩინეთში, შესაძლოა, რადიკალური რეფორმების დაწყება გამოიწვიოს.

A5

### საზოგადოება

**ბოდიში უპატრონობისთვის**

შარშანდელი 9 მაისიდან წლევანდლამდე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ჩვენი თანამემამულეებიდან 4 ათასი გარდაიცვალა. დარჩენილი 32 ათასიდან ყველაზე ახალგაზრდა 75 წლისაა, ყველაზე უხნესი - 95-ის.

A6

### სამართალი

**კიდევ ერთი ფიზიკური ანგარიშსწორება სახელისუფლებო ორგანოებში**

საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოების შენობები ქუჩური გარჩევებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებს ემსგავსება. ამჯერად თავი გაუტეხეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ომარ გოგიას.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 20 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 19 |
| ფოთი | 20 |
| თელავი | 19 |
| ზუგდიდი | 22 |
| გორი | 18 |
| ახმეტა | 19 |
| ჭიათურა | 21 |
| გაგრა | 17 |
| სამტრედია | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4390 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4353 |
| რუბლი | 0.0693 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ავტომობილი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# ბრალდებები ტელევიზიის პირველი არხისა და განათლების მინისტრის მოადგილის წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მისამართით საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. **"პირველი არხი აღარ არის სახელმწიფო ტელევიზია. ის სახელისუფლებო ბლოკის ტელევიზიად იქცა. ეს არხი საპარლამენტო ცხოვრებას მხოლოდ ნეგატიური კუთხით აშუქებს და ადგილს არ უთმობს იმ დადებით მხარეს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში, ასე თუ ისე, მაინც არსებობს. მოვითხოვ, რომ მოვლენები ობიექტურად გაშუქდეს"**, - განაცხადა პარლამენტის სპიკერმა. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, ბურჯანაძე ასეთ ფაქტს ასახელებს: სახელმწიფო იერარქიაში მეორე პირის საზღვარგარეთული ვიზიტები საერთოდ არ შუქდება, მაშინ, როდესაც პარლამენტში მომხდარ ნებისმიერ კინკლაობას "რეკლამა" არ აკლია.

**"არადა, ამ ვიზიტების დროს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს ეწერება ხელი"**, - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. იგი არც იმას მალავს, თუ რამ აავსო მისი მოთმინების ფიალა. **"პირველ არხს უფლება არა აქვს, ამა თუ იმ მოსამართლეზე ჩემი მოსაზრებების გამოთქმა ამიკრძალოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პრეზიდენტის დანიშნულია"**, - დასძენს ბურჯანაძე.

■ ■ ■

დეპუტატ გურამ შარაძის თქმით, მას გააჩნია ინფორმაცია, რომ განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე ვლადიმერ სანაძე, თავისი ოჯახითურთ, ინგლისში გაიხიზნა. პარლამენტარი სთხოვს საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს დებორა ბარნს-ჯონსს, **"მიიღოს ზომები, რათა ქართულ მხარეს გადმოეცეს პიროვნება, რომლის კორუფციაში მონაწილეობაზეც საზოგადოებაში საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ"**.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გურამ შარაძის ამ განცხადებამ ძალიან აღაშფოთა დეპუტატი ნოდარ ამაღლობელი, რომელმაც კოლეგის ინფორმაციას "აბსოლუტური ჭორი" უწოდა. თავის მხრივ, გურამ შარაძე ამაღლობელს პარლამენტში ალექსანდრე კარტოზიას ლობისტად მოიხსენიებს და დაჟინებით ითხოვს, რომ განათლების მინისტრი სასწრაფოდ მობრძანდეს საკანონმდებლო ორგანოში ვლადიმერ სანაძის საკითხზე ახსნა-განმარტების მისაცემად.

## „ახლები„ გაფართოვდნენ

გუშინ "ახალმა მემარჯვენეებმა" ონში რაიონული ორგანიზაცია დააფუძნეს. ამ ღონისძიებას პარტიის თითქმის ყველა პირველი პირი ესწრებოდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას, მათ მომავალ არჩევნებზე და პარტიის მიზნებზე ისაუბრეს. გუშინვე გაირკვა, რომ ონში "ახლებს" კონკრეტული ინტერესებიც აქვთ: სწორედ ამ რაიონიდან მაჟორიტარობას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი დავით საგანელიძე აპირებს.

*"24 საათი"*

## სააკაშვილი ვაკის პარკში ცეცხლს დაანთებს

თბილისის საკრებულოსა და მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, დღეს ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მარადიული ცეცხლი აინთება, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ანთებულა.

მარადიულ ცეცხლს თავად საკრებულოს თავმჯდომარე დაანთებს.

*"24 საათი"*

## აშშ-ს ელჩი პოლიტიკურ აქტივობას ამჟღავნებს

საქართველოში ამერიკის ელჩმა თავისი განწყობა არ დამალა და განაცხადა, რომ **"წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან შეხვედრას აპირებს"**. ოპოზიციასთან ნაცნობობის განახლება რიჩარდ მაილსმა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერთან შეხვედრით გადაწყვიტა. მიხეილ სააკაშვილის გარდა, მაილსი გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესაც შეხვდა. ელჩთან შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარეს, დაახლოებით, ნახევარი საათი "სოციალისტების" განცხადებების გამო შეაგვიანდა.

*"24 საათი"*

## პარლამენტში მთავრობის ანგარიშის მოსმენა დაიწყო

გუშინ, გვიან ღამით, საქართველოს პარლამენტში დაიწყო მთავრობის ანგარიშის მოსმენა "საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ". ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის "ექტრემალურ" ვითარებაში განხილვა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ იწურებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსმენის ვადა. პლენარულ სხდომაზე დამსწრე მცირერიცხოვან დეპუტატთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი.

ვინაიდან საკითხი ერთობ ვრცელი და პოლემიკურია, მისი განხილვის დასრულება გუშინ ვერ მოესწრო და მოგვიანებით გაგრძელდება.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე - დეპუტატ დავით ბეჟუაშვილისადმი პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებებისა და სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნის თაობაზე მსჯელობა საკანონმდებლო ორგანოში გენპროკურატურის წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპული კავშირის რასიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კომისიამ წლიური ანგარიში მოამზადა, რომელშიც ყველაზე დიდი პრეტენზიები წაუყენა ესტონეთს, საქართველოს, ლატვიას, ლიტვას და უკრაინას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში, სადაც არ იქნებიან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ხელისუფლება თავის სასარგებლოდ არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასატუმრო "თორში" თავადაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის პრეზენტაცია გაიმართა. ინსპექცია თავდაცვის უწყებაში შემავალი საფინანსო სამსახურების საქმიანობას გააკონტროლებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოდან გაემგზავრა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ექსპერტთა სამკაციანი ჯგუფი, რომელსაც ნატოს თავდაცვისა და მართვის დეპარტამენტის შეიარაღებული ძალების დაგეგმარების განყოფილების უფროსი ფრენკ ბოლანდი ხელმძღვანელობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი..** 11-15 მაისს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით სტოკჰოლმში (შვეცია) მიემგზავრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპრემიერ ანრი ჯერგენიას საპრეზიდენტო ამბიციები უკვე საკმაოდ გაუმძაფრდა, მით უმეტეს, აფხაზეთის სახალხო კრებამ (ე.წ. პარლამენტმა) გააუქმა პრეზიდენტობის კანდიდატისთვის აუცილებელი აფხაზეთში ცხოვრების ათწლიანი ცენზი, რაც ჯერგენიასთან ერთად ემიგრაციაში მყოფ ბევრ აფხაზს ხელს უშლიდა პოლიტიკურ საქმიანობაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „აღორძინების“ ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ კონსტიტუციური უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, მის ხელთ არსებული მასალები პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს მარიამ ცაცანაშვილს გადასცა და მოითხოვა, რომ ბრალდებები, რომლებსაც ექსპერტებიც ადასტურებენ, შესასწავლად გადაეცეს პარლამენტში მოქმედ საგამოძიებო კომისიას მიხეილ ოსაძის თავმჯდომარეობით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან და "საარჩევნო კოდექსთან" დაკავშირებით სასაუბროდ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა საკრებულოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი მიიწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მიმართვა გაუგზავნა, სადაც მან კიდევ ერთხელ მოითხოვა საქართველოში მომავალი საპარლამენტო არჩევნების ეუთო-ს ეგიდით ჩატარება და საარჩევნო პროცესებზე ეუთოს წარმომადგენელთა მონიტორინგი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთსა და საქართველოს შორის "ჩარჩო ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დაახლოებით ორ კვირაში განახლდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს შს სამინისტროს მიერ დამატებითი ძალების შეყვანა მხოლოდ ოსურ და რუსულ მხარეებთან შეთანხმებით უნდა მოხდეს - განაცხადა რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "XXI საუკუნის" წარმომადგენელმა ჯემალ გამახარიამ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დევნილი მოსახლეობის საარჩევნო უფლების განხორციელება მოითხოვა და პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის ვადის გაგრძელების წინააღმდეგ გამოვიდა. **ინტერ-პრესი**

# ნათელაშვილი ეუთო-ზე ამყარებს იმედებს

პირველი გვერდიდან

**ადამიანთა საზოგადოებაში ზოგჯერ, უკაცრავად და, მთქნარებაც კი გადამდებია. მით უფრო მისაბაძი გახდება არჩევნების გაყალბება და ამ გზით ხელისუფლებით ტკბობის მრავალწლიანი პროცესი"**, - შალვა ნათელაშვილი დახმარებისთვის მიმართავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.

ლეიბორისტთა ლიდერი საარჩევნო ადმინისტრაციის ამგვარ მოდელს გვთავაზობს: ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები ეუთო-ს წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტდებიან, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები – არჩევნებში მონაწილე პარტიებით (პარიტეტულ საწყისებზე) და ასევე ეუთო-ს თითო წარმომადგენლით.

შრომის პარტიის თავმჯდომარის აზრით, ეუთო-ს დახმარების გარეშე, საქართველოში მოვლენები არასასურველად განვითარდება. იგი რამდენიმე ვერსიას გვთავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებით: **"პირველი ვერსია - საარჩევნო უბნებთან ატეხილი ჭყლეტის, აფეთქებებისა და დარბევის შემდეგ პრეზიდენტი ქაოტური კანონის საფუძველზე გამოსცემს დეკრეტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან დაკავშირებით. დეკრეტს 48 საათის განმავლობაში დაამტკიცებს ეს გაქუცული პარლამენტი, რომლის უმრავლესობა ახალ პარლამენტში ვეღარ მოვა და არც არაფერი ექნება დასაკარგი. საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდება ერთ თვეს, შეიძლება, ერთ წელსაც და ეს პერიოდი დაემთხვევა ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს. ოლიგარქიული კლანების დაჯგუფებები იოლად მორგდებიან იმაში, თუ როგორ მოახერხონ ხელისუფლების უზურპაცია შევარდნაძესთან ერთად.**

**მეორე ვარიანტი უკვე აპრობირებული გახლავთ. როგორც გახსოვთ, თბილისის საკრებულო ექვს თვეს ვერ შედგა. შევარდნაძის "ნაციონალურმა მოძრაობამ" სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ბიულეტენების გადათვლა მოითხოვა. გარწმუნებთ, მეორე ვერსია ვარიანტიც უკვე შემუშავებულია. ერთ-ერთი პარტია, თუნდაც იგივე "ნაციონალური მოძრაობა", ისევ შეიტანს სარჩელს და დაიწყება გადათვლის სევდიანი პროცესი მანამ, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები არ მოახლოვდება. ყველაფერი გარიგებით დასრულდება. არსებობს ამ ორ ვერსიასთან დაკავშირებული მესამე ფაქტორიც - სამოქალაქო დესტაბილიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვება საერთაშორისო ძალების შემოყვანა და საქართველოს სექტორებად დაყოფა; მოტივად კი დაასახელებენ დემოკრატიული არჩევნებისთვის სამზადისს."**

იური ლოლაძის ფოტო

*" ადამიანთა საზოგადოებაში ზოგჯერ, უკაცრავად და, მთქნარებაც კი გადამდებია."*

ნათელაშვილის მტკიცებით, არჩევნების გაყალბებისგან საქართველოს იხსნის ეუთო და არა ევროსაბჭო, **"რომელსაც ჰყავს ლობისტი ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. მაგალითად, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფი მეგობრობდა ძველ "მოქალაქეთა კავშირთან". ეს ჯგუფი კარგად ფინანსდებოდა და, შესაბამისად, კარგ დასკვნებსაც წერდა."**

ლეიბორისტთა ლიდერი ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებულ პლაგიატობის საჭირბოროტო საკითხსაც შეეხო. ბატონი შალვა ბრძანებს, რომ სხვადასხვა პარტიები (განსაკუთრებით კი "ნაციონალები") შრომის პარტიას იდეებს ჰპარავენ. **"პრესრელიზით წინასწარ გავავრცელებთ ინფორმაციას, რომ 12 საათისთვის უზენაესთან ტარდება მიტინგი და ანალოგიური მოთხოვნით იმავე დაწესებულებასთან "ნაციონალებიც" მართავენ მიტინგს... ახლა ჯორბენაძეს დაუწყია კორუმპირებულთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი გვარების გამოქვეყნებით იმუქრება. თუ ასე გაგრძელდება, ჩვენ ვთხოვთ ყველას - დატოვონ თავიანთი "პარტიუკები" და ლეიბორისტულ პარტიაში განვრიანდნენ."** შალვა ნათელაშვილი საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების სააკაშვილისეულ მოდელს **"ლეიბორისტებიდან გადამღერებულს"** უწოდებს. თუმცა, ნათელაშვილი იმითაც კმაყოფილია, რომ ლეიბორისტების ინიციატივას ყველა პოლიტიკური ძალა დაუჭერს მხარს, გარდა კანცელარიისა და ახალი სახელისუფლო ბლოკისა, რომელსაც ბატონი შალვა **"ხმა სამარიდან"**-ს უწოდებს.

# ვიტალი ხაზარაძე, ლენინი, ბურჟუაზია და ილუზია

პირველი გვერდიდან

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გუშინ ვიტალი ხაზარაძემ მასზე დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართვა თავი და ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა საარჩევნო კოდექსში მომზადებული ცვლილებები პარლამენტს თუნდაც პირველი მოსმენით არ მიეღო. არადა, ოპოზიციური ფრაქციების წევრები ამას დაჟინებით ითხოვდნენ.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ, მოვლენების პროვოცირების მიზნით, წინადადებით მიმართა დეპუტატებს - პარლამენტს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის უფლებამოსილება შეეწყვიტა. დავით გამყრელიძის განცხადებით, **"ცესკოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას სწორედ ეს დააჩქარებდა"**. მანვე სხდომათა დარბაზში გაახმოვანა ოპოზიციის სურვილი, რომლის თანახმადაც, ქართული არჩევნების არბიტრებად **"დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ანუ უცხოელი ექსპერტები უნდა დაინიშნონ"**. მოგვიანებით, ცესკოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე დადგენილების პროექტი პარლამენტს "გაერთიანებულმა დემოკრატმა" ვასილ მაღლაფერიძემ წარუდგინა.

სახელისუფლებო ფრაქციებმა კი ოპონენტებს კონტრარგუმენტები დაუხვავეს. ცესკო-ს გაუქმების შემთხვევაში, რით შეივსება ვაკუუმი? ვინ უნდა გამართოს ხარაგაულში ადგილობრივი არჩევნები, თუ არა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელმაც ამ მიზნით სპეცჯგუფების შექმნის გადაწყვეტილება მიიღო? ცესკო-ს ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე, ვინ იტვირთებს საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციას? – წუხდნენ "მოქკავშირლები" და მათი მოძმე ფრაქციების წარმომადგენლები.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყდა, რომ ეს საკითხი კენჭისყრაზე საღამოს ცხრა საათისთვის უნდა დამდგარიყო – მას მერე, რაც "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძე კოდექსში შესატან სხვა ცვლილებებზე მოახსენებდა დეპუტატებს.

ვახტანგ ხმალაძის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს კოდექსის იმ მუხლებში, რომელიც საარჩევნო დავების განხილვის პროცედურას, საარჩევნო ადმინისტრაციების დაფინანსებას, საჯარიმო და სხვა სადამსჯელო სანქციებს, ასევე ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით სასამართლოში შესულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გაუქმებას ეხება. შეთანხმება მიღწეულია ამომრჩეველთა მარკირებასთან დაკავშირებითაც.

თუმცა, გუშინ გაირკვა, რომ მთელი რიგი პრინციპული საკითხები სახელისუფლებო ფრაქციებთან კვლავ შეუთანხმებელია. ეს, ძირითადად, ამომრჩეველთა რეგისტრაციას, გადასატან ყუთებს, დამატებით სიებსა და სამხედრო ნაწილებში საარჩევნო უბნების გახსნას ეხება.

პირველი მოსმენით ამ საკითხის განხილვა ძალზე მალე შევიდა ჩიხში. ამაზე ბატონმა ვიტალი ხაზარაძემ იზრუნა. მან ოპოზიციურ ფრაქციებს შეთავაზა, რომ ცვლილებები კოდექსში ეტაპობრივად შესულიყო და იმ საკითხებზე, **"რაზეც შეთანხება ჯერაც არ არის მიღწეული, კონსულტაციები გაგრძელებულიყო"**.

**"კი მაგრამ, ვისთან უნდა გავაგრძელოთ კონსულტაცია, როდესაც ჩვენი ჯგუფის მუშაობას არც ერთი სამთავრობო ფრაქციის წარმომადგენელი არ ესწრებით?"** – იკითხა ვახტანგ ხმალაძემ. ხაზარაძემ კი ეს შეკითხვა უკომენტაროდ დატოვა და კვლავ საკუთარი პოზიციის დაცვა გააგრძელა. ხაზარაძის ლოგიკით, **"თუკი შეთანხმება არ იქნება მიღწეული, კენჭისყრაზე ორი ვარიანტი დადგება და გაიმარჯვებს ის პროექტი, რომელიც ხმათა უმრავლესობას მიიღებს"**.

**"ანუ თქვენი უმრავლესობა?"** –გაისმა დარბაზიდან. ბატონი ხაზარაძის პასუხმაც არ დააყოვნა: **"ეჭვი ნუ შეგეპარებათ, რომ სწორედ ასე იქნება..."**

ამის შემდგომ, სხდომათა დარბაზში პოლიტიკური განცხადებების მორიგი ტალღა აგორდა. "დემოკრატი" ვასილ მაღლაფერიძე აცხადებდა, რომ პროცესები კვლავ ჩიხში შედის, რადგან **"სახელისუფლებო ფრაქციებს არ სურთ იმის ახსნა, თუ რატომ არ ეთანხმებიან ისინი წარმოდგენილ ცვლილებებს, ხოლო მთელი ეს დისკუსია მხოლოდ ილუზიაა, თითქოს საარჩევნო კოდექსის განხილვა დაიწყო, სამთავრობო ფრაქციები კი ყველაფერს იღონებენ, რომ პარლამენტმა მათთვის მისაღები გადაწყვეტილება მიიღოს"**.

ვიტალი ხაზარაძე არც ამ ბრალდების მოსმენისას დაბნეულა. მან, საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად, "ქვის გამხეთქი" არგუმენტი მოიყვანა: თურმე, **"კანონპროექტი პარლამენტში დარიგებული არ არის და ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქციებს ძალზე უჭირთ ზეპირად სადავო საკითხებზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება (?1)"**. სწორედ ამ დროს გაისმა ის ფრაზა, რომელიც ლენინსა და ბურჟუაზიას უკავშირდებოდა. **"თქვენ მიგყავთ ქვეყანა რევოლუციისაკენ და ახლა თუ ერთი კობა დავითაშვილია, რევოლუციის დროს ათასი კობა დავითაშვილი გაჩნდება"**,– ცხარობდა ბარამიძე. თავად დავითაშვილმა კი ხაზარაძეს სტალინის ცნობილი გამონათქვამი გაახსენა და განაცხადა: **"არჩევნებს ის კი არ იგებს, ვინც ხმებს იღებს, არამედ ის, ვინც ამ ხმებს ითვლის... თქვენ სწორედ ამისთვის იბრძვით, რომ ხმები დაითვალოთ. ერთადერთი გამოსავალი უცხოელი არბიტრების მოწვევაა"**.

და მაინც: ამ ცხარე დებატებმა შედეგი ვერ გამოიღო – პარლამენტმა არც ცესკო-ს გაუქმების თაობაზე დადგენილების პროექტს უყარა კენჭი და ვერც ის შეძლო, რომ პირველი მოსმენით საარჩევნო კოდექსში სხვა ცვლილებები შესულიყო. ეს კი მთლიანად სახელისუფლებო ფრაქციების "დამსახურებაა".

როგორც ჩანს, მომავალ კვირას საგანგებო სხდომა მაინც გაიმართება და საარჩევნო კოდექსისა და, კონკრეტულად, ცესკო-ს ბედი სწორედ მაშინ გადაწყდება.

# ულტრანაციონალიზმი პოლიტიკური ქულების უშრეტ წყაროდ რჩება

პირველი გვერდიდან

"სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის ერთ-ერთი აქტიური მომხრეა დეპუტატი რევაზ მიშველაძე. სწორედ მისმა "სულსწრაფობამ" განაპირობა ის, რომ გუშინ, პლენარულ სხდომათა დარბაზში, ლამის კიდევ ერთხელ ატყდა შეხლა-შემოხლა. პარლამენტარი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ განხილვის პროცედურა წინა დღეს ბოლომდე მივიდა და ამიტომ კანონპროექტის კენჭისყრაზე დაყენებას წინ აღარაფერი ედგა. მიშველაძე ძალიან გააღიზიანა იმან, რომ ნინო ბურჯანაძემ საკითხის გარშემო კონსულტაციების გაგრძელება მოითხოვა. ამით აღელვებულმა ნოველისტმა დეპუტატმა მიკროფონი მიამტვრია და პარლამენტის თავმჯდომარე "ჟვანიას კურსის" გაგრძელებაში დაადანაშაულა. მისმა ასეთმა განცხადებამ და ქმედებამ კი, სპიკერთან ერთად, ექსსპიკერის თანაფრაქციელებიც განარისხა. "გაერთიანებული დემოკრატები" მიშველაძესთან იმის გარკვევას შეეცადნენ, თუ რაში გამოიხატებოდა "ჟვანიას კურსი".

როდესაც დეპუტატები დავას მორჩნენ, გაირკვა, რომ კანონპროექტთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმება თავად რევაზ მიშველაძეს დაურღვევია. ამ შეთანხმების მიხედვით, დაბადების მოწმობაში უნდა გაკეთებულიყო ჩანაწერი: "ეროვნება-მოქალაქეობა". ბოლო მომენტში კი, მიშველაძის ინიციატივით, კანონპროექტში გაჩნდა ასეთი ფორმულირება: "ეთნიკური წარმომავლობა-მოქალაქეობა".

ამან დეპუტატები კიდეც აღაშფოთა და კიდეც გაამხიარულა. "ტრადიციონალისტ" ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, მსჯელობის პროცესში მას თანდათან უმტკიცდება აზრი, რომ ზულუს ტომის თავყრილობაზე იმყოფება. **"ვინც ეთნიკური წარმომავლობის წარმოჩინება ითავა, ტომის ბელადიც ის უნდა იყოს"**, - საკმაოდ მაღალი "თანამდებობა" შესთავაზა შალამბერიძემ მიშველაძეს.

"ტრადიციონალისტების" წარმომადგენლისგან განსხვავებით, სულაც არ ეხუმრებათ "ნაციონალებს". კობა დავითაშვილის აზრით, ეთნიკური წარმომავლობის დაფიქსირება ორლესული მახვილია, რომელიც ეთნიკურ უმრავლესობას შეუძლია, ეთნიკური წმენდისთვის გამოიყენოს, ხოლო ეთნიკურ უმცირესობას - სეპარატიზმის გაღვივებისთვის. სერიოზულ საფრთხეზე საუბრობს აგრეთვე "აღორძინების" წევრი ვალერი გელბახიანი, რომლის თქმითაც, თუ მოხდა მიშველაძის "იდეის" რეალიზება, საქართველო იძულებული გახდება, მიიღოს კანონი ეთნიკური უმცირესობების შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანას მრავალ სირთულეს შეუქმნის.

ეთნიკური წარმომავლობის აფიშირებას გურამ შარაძეც კი ეწინააღმდეგება, რადგან ეს მას პირველყოფილ თემურ წყობილებას აგონებს. იგი არც შეთანხმებულ ვარიანტს უჭერს მხარს, რომლის მიხედვითაც, დაბადების მოწმობაში გაკეთებულ ჩანაწერს - "ეროვნება-მოქალაქეობა" უნდა მოჰყვეს "ქართული". შარაძე დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შედარებით ზოგადი და ქართველებთან ერთად ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ეთნოსების მომცველი სიტყვა ("ქართული") უფრო ვიწრო და კონკრეტული დატვირთვის მატარებელი "ქართველით" უნდა შეიცვალოს.

ამ დაუსრულებელ დავაში კომპრომისი მოულოდნელად მოინახა. დეპუტატების უმრავლესობას ძალიან მოეწონა პარლამენტარ მანანა გიგინეიშვილის მიერ შეთავაზებული ვარიანტი: "ეროვნება / მოქალაქეობა - ქართული".

დეფისის ნაცვლად შეფარდების ნიშნის დასმა, ენათმეცნიერი დეპუტატის განმარტებით, ჩანაწერს არსობრივად განსხვავებულ დატვირთვას შესძენს და მისაღებ ფორმას წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით. გიგინეიშვილის წინადადებამ რევაზ მიშველაძეც კი მოხიბლა, რომლის თვალშიც "ეთნიკური წარმომავლობის" "თეორიამ" უმალ დაკარგა მომხიბვლელობა. მეტიც, "ახლად მოქცეულმა" მიშველაძემ საერთო "ფერხულში" არჩაბმული გურამ შარაძე "სტალინური მოდელის" მიმდევრობაში დაადანაშაულა და ამით მას სამაგიერო გადაუხადა ზემოთ ნახსენები დამცირებისთვის, როდესაც შარაძემ "ეთნიკური წარმომავლობის" ფორმულირება პირველყოფილ თემურ წყობილებასთან დააკავშირა.

ეროვნულობის დროშით გაჩაღებულ მთელ ამ გაწამაწიას პარლამენტის თავმჯდომარე წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. **"თურმე, საკუთარ პატრიოტიზმზე რაც შეიძლება ხმამაღლა და მეტი უნდა იყვირო, რათა ხალხმა დაიჯეროს, რომ სამშობლო ძალიან გიყვარს"**, - ნინო ბურჯანაძემ, როგორც ჩანს, ულტრანაციონალისტების "საიდუმლო იარაღი" აღმოაჩინა.

# ევროპის დღე და სურვილების დეკლარაცია

პირველი გვერდიდან

დეკლარაციაზე ხელისმომწერნი გვპირდებიან, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქართველო რაც შეიძლება სწრაფად აღმოჩნდეს დიდ ევროპულ ოჯახში, რომელსაც ევროკავშირი ჰქვია. დეკლარაციაში ჭარბადაა ისეთი ფრთიანი ფრაზები, როგორიცაა **"მოგიწოდებთ - რაც შეიძლება დაჩქარდეს რეფორმების პროცესი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში"**... ან - **"გამოყენებულ იქნას ევროპული გამოცდილება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასთან მიმართებაში..."** და ა.შ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამირან კავაძე, დამსწრე საზოგადოებას სახელმწიფოებრივ წინსვლაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ რეფორმები განსაკუთრებით ეკონომიკურ, სამართლებრივ და სამხედრო სექტორს დაეტყო.

ვერც მოახლოებული არჩევნების გვერდის ავლა მოხერხდა. ერთხმად გადაწყდა, რომ საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის დიდი გამოცდაა და ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაც ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, იტრიალებენ თუ არა საარჩევნო კარუსელები ან მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას აწ გარდაცვლილი ამომრჩევლები.

ქალბატონმა ნანა დევდარიანმა, რომელსაც დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის პატივი ერგო, ომბუდსმენის მძიმე ხვედრსა და ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

სხვათა შორის, დასკვნითი სიტყვა გუშინდელ შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა წარმოეთქვა, მაგრამ მოუცლელობის გამო, ცერემონიალზე ვერ გამოცხადდა. როგორც გუშინ აღნიშნეს, ქალბატონ ბურჯანაძეს მოუცლელობა ეპატიება. მართლაც, ამ ბოლო დროს იგი ბაღის მასწავლებლის ბედს იზიარებს, რომელსაც მძიმედ აღსაზრდელთა ჯგუფი შეხვდა, ამდენად, სამუშაო ადგილს წუთითაც ვერ ტოვებს.

"მარიოტში", ევროპულ წვეულებაზე, ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი დაპატიჟეს, თუმცა, ასევე მოუცლელობის გამო, ბევრი ვერ გამოცხადდა. ღონისძიების ორგანიზატორებმა დაგვამშვიდეს, რომ დეკლარაციას არგამოცხადებული პარტიებისა და ფრაქციების წარმომადგენლებიც იზიარებენ და უახლოეს მომავალში ხელს მოაწერენ.

ხელმოწერებით დახუნძლულ კედლის გაზეთის ფორმის დეკლარაციას ევროკავშირში გააგზავნიან.

ევროკავშირის წარმომადგენელმა, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, მართალია, საქართველოს ევროპულ ოჯახში ჩარიცხვა ევროკავშირის დღის წესრიგში ჯერ არ დგას, მაგრამ სურვილი რომ გაქვთ, ეგეც კარგიაო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ახალგაზრდული ორგანიზაციების საუფროსო ტვირთი

ლენა მიქაძე

*"ჩვენ ვინაწილებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც სახელისუფლებო ბლოკს აქვს", - აცხადებდა გუშინ მეტეხი-პალასში ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი. დიდი გაერთიანებისათვის აკიდებული ტვირთის განაწილება წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო პარტიის ახალგაზრდულმა განაყოფებმა გადაწყვიტეს.*

*ულიდერო ერთობის ლიდერები.*

"შერატონ მეტეხი პალასის" ერთ-ერთი დარბაზი "ახალგაზრდულ მოძრაობაში ერთიანი საქართველოსათვის" განევრიანების მსურველებით იყო სავსე. როგორც სხდომის წამყვანები სიამაყით აცხადებდნენ, ახალგაზრდა "მოქალაქეების", "სოციალისტების", "ედპ-ს" და "მწვანეების" გარდა, შეკრებას თსუ-ს, სამხედრო აკადემიის, ზოოვეტერინარული და კულტურის ინსტიტუტების სტუდენტური კავშირების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან - "სტომატოლოგთა" და "პედიატრთა" გაერთიანებები, "ახალგაზრდა სპორტსმენთა ასოციაცია", "აგრარიკოსთა კავშირი" და ა.შ.

**"ჩვენი მიზანი სახელმწიფო პოლიტიკისადმი მართებული პოზიციის შემუშავებაა. იმ პოზიციის, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ეკავა ხალხს,"** - აცხადებდნენ სახელისუფლებო ბლოკის ახალგაზრდა მხარდამჭერები. ბუნებრივია, ახალგაზრდები ვერ იტყოდნენ, რომ "მრავალი საუკუნის განმავლობაში" ხალხს ედუარდ შევარდნაძის გვერდით დგომა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ, "მართებულ პოზიციად" პატარა პოლიტიკოსებმა მხოლოდ "მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის" თანადგომა მიიჩნიეს, რადგან მათი აზრით, **"პრეზიდენტის მიერ ეს ბლოკი სახელმწიფო სიმტკიცის გარანტად შეიქმნა..."**

**"ჩვენ კიდევ ბევრი მხარდამჭერი გვყავს, ისინი, ვინც ამ დარბაზში არ არიან"**, - აცხადებდნენ ახალგაზრდები. ვერ გეტყვით, კიდევ ვინ უნდა გაერთიანდეს ამ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, მაგრამ თუ მისი ზრდა უკვე აკრეფილი სიჩქარით გაგრძელდა, ედუარდ შევარდნაძის თანამდგომთა ბლოკს ახალგაზრდების საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერის იმედიც კი შეიძლება ჰქონდეს. "ერთიანი საქართველოსთვის" დარაზმულ ახალგაზრდებს შორის გუშინ, რატომღაც, თურქი და პაკისტანელი სტუდენტებიც აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელის ქართულად წარმოთქმულ სიტყვას, საქართველოსადმი სიყვარულის თაობაზე, დარბაზი ტაშით შეეგება.

**"ჩვენს გაერთიანებას ერთი კონკრეტული ლიდერი არ ეყოლება"**, - ამგვარი პათოსით გაიხსნა თავიდან შეკრება. შემდეგ ახალგაზრდულ ორგანიზაციას ლიდერობის რამდენიმე კანდიდატი გამოუჩნდა. საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის შექმნა გადაწყდა, რომელშიც სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი ორგანიზაციების თითო-თითო წარმომადგენლის შეყვანა გადაწყვიტეს. ჯგუფი გაერთიანების ფორუმსა თუ ყრილობამდე იმუშავებს, მანამდე, სანამ გაერთიანების ხელმძღვანელობას ოფიციალურად აირჩევენ. გუშინ კი სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანება მინი პროგრამაზე ხელმოწერით დაადასტურეს. რამდენიმე პუნქტად ჩამოყალიბებულ პროგრამაში სახელისუფლებო პარტიების ახალგაზრდული ნაწილი საკუთარი როლის გააქტიურებაზე საუბრობს.

# "ჩვენში პიარიც ყვითელია"

მერაბ მეტრეველი

გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში პიარ-კამპანიებზე სასაუბროდ მოიცალეს. საამისოდ თერთმეტი ასევე მოცლილი "ექსპერტი" მოიწვიეს, რომელთა შორისაც ერთი საქართველოში მომუშავე ბალტიისპირელიც ერია. დისკუსიას, ტრადიციულად, ჰამლეტ ჭიპაშვილი უძღვებოდა, რომელიც ამ საქმეში უკვე ისე გამოიწრთო, რომ მისგან მომავალში კარგი თოქშოუების წამყვანი შეიძლება დადგეს.

ეს თემა ჭიპაშვილს მოახლოებულმა არჩევნებმა გაახსენა. აჭარის წარმომადგენელმა საზოგადოების იმაში გარკვევა გადაწყვიტა, რომ "პიარი სალანძღავი სიტყვა არ არის". თუმცა, საამისოდ ამდენი პატივცემული ხალხის შეწუხება საჭირო რატომ გახდა, გაურკვეველი დარჩა. ამაში ბოლომდე ვერც დისკუსიაში მონაწილეები გაერკვნენ. შეხვედრის ბოლოს რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტმა იური ვაჩნაძემ პირდაპირ განაცხადა, ჩვენი დისკუსია უსაგნო და უსაფუძვლოაო. მანამდე კი საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის დირექტორმა გოჩა ცქიტიშვილიმა რამდენჯერმე ითხოვა, გამარკვიეთ, რაზე ვსაუბრობთო.

ასეთი დაბნეულობა დისკუსიის მონაწილეთა დაქსაქსულობამ განაპირობა - რაც თავად აწუხებდათ, იმაზე ლაპარაკობდნენ. ქართული პიარ-კომპანიების წარმომადგენლები იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ საქართველოში უცხოელი "პიარშიკები" ისე ვერ იმუშავებენ, როგორც ისინი. ჭიპაშვილი, რატომღაც, პრესას უტევდა. ბალტიისპირელმა სტუმარმა კი, რატომღაც, ქართველები "დიდი ბიზანტიური ეთნოსის ნარჩენებად" გამოგვაცხადა. ამიტომაც, როგორც ითქვა, საუბარი ზოგადი და არაფრისმომცემი გამოვიდა. ერთადერთი, ვინც კონკრეტულ თემაზე ლაპარაკს ცდილობდა, ისევ ცქიტიშვილი იყო. თუმცა, ჭიპაშვილისთვის სამწუხაროდ, ეს თემა აჭარაში შექმნილი ვითარება გამოდგა. ცქიტიშვილმა ის პირდაპირ საბჭოთა წყობილებას შეადარა, სადაც ხალხი ისე ჰყავდათ დამუშავებული, რომ არჩევნების გაყალბებაც კი არ იყო საჭირო. შემდეგ ისიც გაიხსენა, როგორ ჰკითხა ერთხელ ალმა-ატელმა კოლეგამ, რომელიც ხანდახან აჭარის ტელევიზიას უყურებდა: ვინ არის ეს ჟურნალისტი, ამდენს რომ ლაპარაკობსო. ეს "ჟურნალისტი" ასლან აბაშიძე გამოდგა.

ბოლოს, ისევ იური ვაჩნაძეს დავესესხებით, რომელმაც განაცხადა: **"საქართველოში არც შავი და არც თეთრი პიარი არ არსებობს, ჩვენში პიარიც ყვითელია".**

# შევაშინოთ რუსეთი და ის დათმობს აფხაზეთს - ამბობს ფელიქს ტყებუჩავა

*ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებული ფელიქს ტყებუჩავა აფხაზეთის დაბრუნების ახალი ინიციატივით გამოდის. ეს არ არის აფხაზეთის მოგვარების არც მშვიდობიანი და არც ომის გზა. მას ამ ორ გზას შორის შუალედური გამოსავალი მოუნახავს და თავის გეგმას "ნახევრად მშვიდობიანს" უწოდებს. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნადარეიშვილს და ამბობს, რომ ჰაგის ტრიბუნალში აფხაზეთის საკითხის განხილვა კიდევ უფრო გააჭიანურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.*

*მისი მოსაზრება ასეთია: "სახელმწიფომ უნდა მოითხოვოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა და რუსეთი უნდა დასახელდეს აგრესორად". ტყებუჩავას სიმპათიებს "აღორძინება" იმსახურებს და, სავარაუდოდ, გაერთიანებასაც ამ ბლოკში აპირებს.*

ბელა მახარაძე

გუშინ ფელიქს ტყებუჩავამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მისი აზრის გამზიარებლებს გააცნო გეგმა, როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი. ნახევრად ცარიელ დარბაზში ფელიქს ტყებუჩავა საკმაოდ დიდხანს საუბრობდა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამის პირველ ნაბიჯად ტყებუჩავა მიიჩნევს, რომ აუცილებელია, საქართველოს სახელმწიფომ მოითხოვოს გაერო-ში უშიშროების საბჭოს სხდომა და რუსეთი დასახელდეს აგრესორ ქვეყნად. შემდეგ, მისი პროგნოზით, რუსეთი უარს იტყვის აგრესორობაზე და იძულებული გახდება, გაიყვანოს ჯარი აფხაზეთიდან. ეს, ერთი შეხედვით, ადვილი და იოლად მისაღწევი ნაბიჯი ტყებუჩავამ განავრცო და დაწვრილებით ახსნა, თუ რა წინააღმდეგობებს შეიძლება წააწყდეს საქართველო. მაგრამ ის არ კარგავს იმედს, რომ რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, დათმობს აფხაზეთს, თუ არადა, **"რუსეთმა იცოდეს, რომ ჩვენ მოვაწყობთ მეორე ჩეჩნეთს აფხაზეთში, ამიტომ მას ურჩევნია საქართველოსთან მეგობრობა"**, - იმუქრება ტყებუჩავა.

აფხაზეთის დაკარგვას ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანების "თავისუფალი საქართველოს" ლიდერი შევარდნაძეს აბრალებს და აცხადებს, რომ მან აჩუქა რუსეთს აფხაზეთი, რათა დაემკვიდრებინა ადგილი საქართველოში. ის ეწინააღმდეგება ნადარეიშვილსაც და ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია აფხაზეთის საკითხის განხილვა ჰაგის ტრიბუნალზე, **"ეს მხოლოდ დროს გაწელავს და ჩვენ ამით ვერაფერს მოვიგებთ,"** - ამბობს ტყებუჩავა. ნადარეიშვილი იმაშიც დამნაშავე აღმოჩნდა, რომ გუშინ ტყებუჩავას ნახევრად ცარიელ დარბაზში მოუწია მოხსენების კითხვა. **"ამაში გარეულნი არიან ის ძალები, რომლებმაც დააშინეს სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები..."** მაგრამ იქვე მჯდომმა გაკვირვებულმა სტუდენტმა სრულიად საპირისპირო ჩაილაპარაკა: **"განა ადმინისტრაციამ არ გვითხრა, ტყებუჩავას მოხსენებას უნდა დაესწროთო?!"**

"თავისუფალი საქართველოს" ლიდერს არ დაზარებია პრეზიდენტის ლანძღვა. მან შევარდნაძეს "**სიცრუის დიდოსტატი**" უწოდა. მისი აზრით, საქართველო მხოლოდ მას შემდეგ ამოისუნთქებს, რაც შევარდნაძე აღარ იქნება ქვეყნის სათავეში.

ფელიქს ტყებუჩავას არც ის დაზარებია, რომ სტუდენტთა კითხვებზე გაეცა პასუხი. სტუდენტების აზრს, რომ შესაძლოა, შევარდნაძემ აფხაზეთის პრობლემა არჩევნებამდე მოაგვაროს - იგი ყველანაირად გამორიცხავს და ახაგზრდებს მარტივად უხსნის, "**შევარდნაძე ამას ვერსოდეს გაბედავს, რადგან მას დიდი ხნის წინ აქვს გაყიდული აფხაზეთი**". ტყებუჩავას პროგნოზით, აფხაზეთი დაახლოებით ორ წელიწადში დაბრუნდება; მას შემდეგ, რაც მთავრობა და პრეზიდენტი შეიცვლებიან.

შეხვედრას დიდი ყურადღებით უსმენდნენ "აღორძინების" ლიდერები: ჯემალ გოგიტიძე, სანდრო ბრეგაძე და ცოტნე ბაკურია, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად დაინტერესებული ჯემალ გოგიტიძე აღმოჩნდა, რადგან კომენტარზე უარი მან ასე დაასაბუთა: "**კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვუსმენ**". ტყებუჩავა კი ერთადერთ რეალურ მომხრედ და აზრის გამზიარებლად "აღორძინებას" მიიჩნევს.

# „ბრითიშ ეარვეიზი" საქართველოში ოქტომბრამდე აღარ იფრენს

სოფო კვინტრაძე

გუშინ ბრიტანულმა ავიაკომპანიამ "ბრითიშ ეარვეისმა" გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმად, კომპანია ზაფხულის სეზონზე საქართველოში ფრენებს აღარ განახორციელებს. საგადასახადო დეპარტამენტთან შექმნილი პრობლემების გამო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ "ბრითიშ ეარვეიზს" ზაფხულის სეზონზე რეისების განხორციელების ლიცენზია არ მისცა. კომპანია ერთ თვეზე მეტია, რაც დროებითი ნებართვის საფუძველზე დაფრინავდა, შემდეგ კი ჩარტერულ რეისებს ახორციელებდა. როგორც ცნობილია, საგადასახადო დეპარტამენტი ბრიტანულ ავიაკომპანიას 13 მილიონი ლარის ოდენობის გადასახადის დამალვაში ადანაშაულებდა. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ქართულ მხარესთან კონფლიქტის მოგვარება ვერ შეძლეს, რის გამოც "ბრითიშ ეარვეისი" მგზავრებს რეგულარულ და უწყვეტ მომსახურებას ველარ სთავაზობს. ამიტომ კომპანია იძულებულია, ზაფხულის განმავლობაში რეისების განხორციელება შეაჩეროს. ბრიტანული მხარე იმედოვნებს, რომ ამ დროის განმავლობაში საქართველოს მთავრობასთან შექმნილი პრობლემები გადაწყდება და "ბრითიშ ეარვეიზი" ზამთრის სეზონის დასაწყისისთვის (2003 წლის 27 ოქტომბერი) რეისების განხორციელების ლიცენზიას მიიღებს.

ყველა მგზავრს, რომელსაც შეძენილი აქვს "ბრითიშ ეარვეისის" ბილეთი, კომპანია სთავაზობს თანხის სრულ ანაზღაურებას გადახდის იგივე ფორმით ან გადაყვანას საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ალტერნატიული რეისის საშუალებით.

**"ეს გადაწყვეტილება ჩვენ მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საავიაციო ხელისუფალთა მხრიდან ზეწოლის შედეგად. მიუხედავად იმ უდიდესი ძალისხმევისა, რომელიც ბრიტანეთის მთავრობამ, ბრიტანეთის საელჩომ საქართველოში და "ბრითიშ მედითერანეან ეარვეისმა" გასწიეს აღნიშნული საკითხის ზაფხულის სეზონისათვის გადასაჭრელად, პრობლემა მაინც ვერ მოგვარდა. თბილისსა და ლონდონს შორის თანდათან იზრდებოდა ექვსწლიანი რეგულარული საჰაერო მომსახურების მოცულობა და მე ვწუხვარ, რომ ამ მარშრუტის განხორციელება დამდეგი ზაფხულის განმავლობაში შეუძლებელი იქნება,"** – განაცხადა "ბრითიშ მედითერანეან ეარვეისის" აღმასრულებელმა დირექტორმა დეზ ჰეზერინგტონმა.

## მონიტორინგი

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის პროგნოზი კვლავ გაიზარდა ცენტრალური ბიუჯეტის გრანტების გეგმის ზრდის ხარჯზე. ამჯერად 8,6 მილიონი ლარით.

ცხრილიდან ჩანს, რომ გრანტების ექვსი თვის გეგმა მხოლოდ 22%-ით არის შესრულებული. სამწუხაროდ, არც მომავალში უნდა ველოდეთ ძირეულ ცვლილებებს. ამ ფონზე გაუგებარია აღნიშნული პარამეტრის ზრდა.

სავარაუდოა, რომ ცვლილებით ფინანსთა სამინისტროს მიეცემა საშუალება გასწიოს "შემოსავლების მომტანი ხარჯები", ან უკვე არსებული გადახარჯვა მოიყვანოს გეგმასთან შესაბამისობაში.

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 8 მაისისთვის

მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 7 მაისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 303.81 | 57% | 1.22 |
| ცენტალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 215.91 | 56% | 0.31 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 181.28 | 58% | 0.28 |
| სოციალური ფონდი | 38.30 | 8.33 | 22% | 0.01 |
| საგზაო ფონდი | 116.81 | 75.1 | 64% | 0.67 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 24.05 | 12.94 | 54% | 0.05 |

სს "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ძავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

- სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მინიტორინგის პროექტის ფარგლებში ჩვენი ექსპერტების ანალიზი და კომენტარები შეგიძლიათ ეოუელდეთ გაზეთ "24 საათი".
- გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე და წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში.
- გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და საქმიანობა სამართალში.

ტელ: +995 32 92250
ფაქსი: +995 32 92281
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

# სახელმწიფო ქონება ერთი სამინისტროდან მეორეში გადადის

პირველი გვერდიდან

ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების სამართავად კერძო სამართლის იურიდიული პირი ანუ ჰოლდინგი უნდა შექმნილიყო, რომელიც სახელმწიფო წილებს განკარგავდა და მოგების დივიდენდების ნაწილს თავად მიიღებდა. თუმცა, მოგვიანებით, მთავრობამ პოზიციები შეცვალა და, ჰოლდინგის ნაცვლად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სააგენტოს დაარსება გადაწყვიტა.

სააგენტოს დებულებაში მითითებულია, რომ სახელმწიფო ქონების დივიდენდებიდან მიღებული თანხის 15 პროცენტი, სააგენტოსვე დარჩება. ეკონომიკის მინისტრის, გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, რამდენიმე დღეში უკვე ცნობილი გახდება, თუ ვინ დაინიშნება ამ თანამდებობაზე. სააგენტოს უფროსის კანდიდატურას, გაჩეჩილაძის წარდგენით, პრეზიდენტი დანიშნავს. რაც შეეხება პრივატიზაციის დეპარტამენტს, კულუარული ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე ისევ ამჟამინდელი უფროსი გიორგი თოდუა დარჩება. თუმცა, პოსტების გადანაწილებაზე უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, ის ახალი პოლიტიკაა, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს ამ დარგში, რადგან რეფორმების განხორციელება მარტო ზედაპირულ ცვლილებებს არ გულისხმობს. სახელმწიფო ქონების განკარგვა და მართვა ის საკითხია, რომლის მიმართაც საქართველოს მთავრობის პოზიცია გამუდმებით მერყეობდა ბოლო წლების განმავლობაში. 2000 წელს საქართველოს პრეზიდენტის 51-ე ბრძანებულების თანახმად საწარმოთა მართვის ფუნქცია, პროფილის მიხედვით, დარგობრივ სამინისტროებზე გადანაწილდა. როგორც ქონების მართვის ყოფილი მინისტრი ლევან ძნელაძე იხსენებს, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ სხვადასხვა სამინისტროებში, უშუალოდ მინისტრების კაბინეტებში იწერებოდა საწარმოთა გაჯანსაღების "ბიზნესგეგმები".

ბესო გელაშვილის ფოტო

*გიორგი გაჩეჩილაძისთვის სახელმწიფო ქონების მართვა ახალი თავსატეხია.*

თუმცა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვისი ინტერესების გათვალისწინება ხდებოდა ამ შემთხვევაში. მოგვიანებით, 2002 წელს პრეზიდენტმა მე-40 ბრძანებულება გამოსცა, რომლის ძალითაც, ნებისმიერი სახის სახელმწიფო ქონება ისევ ქონების მართვის სამინისტროს საკუთრებაში დაბრუნდა. ეს გახლდათ, დაახლოებით, 1700-მდე საწარმო, რომელთა განსახელმწიფოებრიობა უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. დღეს კი ქონების მართვის სამინისტროს აუქმებენ და მთელ მის "ავლადიდებას" ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უთმობენ. საინტერესოა, ამით რა შეიცვლება? როგორც ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, **"არაფერი სიახლე არ იქნება, გარდა იმისა, რომ საწარმოთა მართვის ხარისხი გაუმჯობესდება."**

თუმცა, რა გზებით განხორციელდება ეს, მინისტრი არ აკონკრეტებს. მისი თქმით, პრივატიზების პროცესი კვლავ გაგრძელდება, ანუ "გასაყიდად ვარგისი საწარმოები გაიყიდება და სახელმწიფო, თავის მფლობელობაში, მხოლოდ რამდენიმე ათეულ, სერიოზულ საწარმოს დაიტოვებს. წამგებიანი საწარმოები კი საერთოდ გაუქმდებიან." მაგრამ, საუბარია სახელმწიფო ანუ საზოგადოებრივ ქონებაზე და მისი განკარგვისას მოსახლეობამ წინასწარ და ზუსტად უნდა იცოდეს - ვინ, როგორ, როდის და რამდენად სამართლიანად იღებს გადაწყვეტილებას "ვარგისიანობის", "წამგებიანობისა" თუ მიღებული მოგების განაწილებაზე. მთავრობას, ეტყობა, კარგად ვერ გაუგია, რომ ეს ქონება ჩინოვნიკების კი არ არის, არამედ მოსახლეობისაა.

სტატისტიკის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1500 სანარმოდან 160 მომგებიანია, აქედანაც, მხოლოდ ოცამდე საწარმოა, რომელსაც შედარებით მნიშვნელოვანი მოგება მოაქვს. დანარჩენი 1300-ზე მეტი სანარმო წამგებიანია და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ზარალის მომტანიც. როგორც ჩვენთან საუბრისას ლევან ძნელაძემ აღნიშნა, ამ საწარმოების განსახელმწიფოებრიობა რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, რაშიც იგი საგარეო და საშინაო ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს. ქონების მართვის ყოფილი მინისტრის აზრით, ამ პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ბირჟა. **"ჩვენ გვაქვს სამართლებრივად კარგად ჩამოყალიბებული, დასავლურ პრინციპებზე მოწყობილი ფასიანი ქაღალდების ბირჟა, რომელსაც, სამწუხაროდ, სათანადოდ არავინ იყენებს. დასავლეთში ბირჟის ფუნქცია მარტო ყიდვა-გაყიდვა არ არის. აქ, ფაქტობრივად, ხდება საწარმოების შეფასება, ანუ ფასიანი ქაღალდების ბირჟა არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორი"**, – აცხადებს ლევან ძნელაძე.

ჯერჯერობით კი, ერთი სამინისტროდან მეორეში გადანაცვლებული სახელმწიფო ქონება მხოლოდ მისამართს იცვლის. თუმცა, რომელ უწყებასაც არ უნდა ექვემდებარებოდეს, მისი განკარგვის წესი აუცილებლად საჯარო და გამჭვირვალე უნდა იყოს, რაც არჩევნების წინაპერიოდში კიდევ უფრო მნიშნელოვანი ხდება.

# გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას წინასაარჩევნოდ ექსპერიმენტისკენ უბიძგებენ

*გუშინ საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში ამერიკული საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგი" 18-თვიანი მართვის უფლებით უკვე ოფიციალურად შევიდა. ის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას მომავალი მენეჯერისთვის გადასაცემად მოამზადებს. ახალი მმართველისთვის გადაცემამდე, "პი-ეი კონსალტინგი" სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის სახით გამოყოფილ 20 მილიონ დოლარს დახარჯავს. ეს თანხა, ძირითადად, სადისტრიბუციო ქსელის მოწესრიგებასა და გამრიცხველიანებას მოხმარდება.*

მაია ურუშაძე

გუშინვე, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციასთან კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, ენერგოკომპანია რეგიონს ელექტროენერგიას სამხარეო ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ლიმიტის ფარგლებში მიაწვდის. სამხარეო ადმინისტრაცია ვალდებულია, ენერგოკომპანიას მხოლოდ იმდენი ელექტროენერგია მოსთხოვოს, რამდენის საფასურის გადახდასაც შეძლებს. სამხარეო ადმინისტრაციამ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების 55 პროცენტამდე გაზრდაც უნდა უზრუნველყოს. ხელშეკრულება ძალაში 10 მაისს შევა და 10 ნოემბრამდე იმოქმედებს.

ის წინასწარი სამუშაოები, რაც ხელშეკრულების შესასრულებლად არის საჭირო, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციას, ფაქტობრივად, დასრულებული აქვს. რაიონების ელექტროკვების ხაზები განმხოლოებულია. გამგებლები ირწმუნებიან, რომ ხელშეკრულების ამოქმედებამდე ახლად განმხოლოებულ ხაზებზე მრიცხველებსაც დააყენებენ.

შეგახსენებთ, რომ შეთანხმებაზე საუბარი სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ მას შემდეგ წამოიწყო, რაც ზამთარში, უშუქობის გამო, რეგიონი მასობრივი გაფიცვების ტალღამ მოიცვა. ენერგეტიკოსები უშუქობის მიზეზად ენერგოკრიზისსა და ტოტალურ გადაუხდელობას ასახელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგეტიკული სექტორი სისტემის მართვაში ადგილობრივი ადმინისტრაციების ჩარევას პერმანენტულად აპროტესტებდა, საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე თავად მიანიშნა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, რომ არჩევნები ახლოვდება და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არეულობებს ბოლო უნდა მოეღოს.

საბოლოოდ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მხარი დაუჭირა ბონდო ჯიქიას ინიციატივას, თავად ეკონტროლებინა რეგიონის სადისტრიბუციო სამსახურები. ამ საკითხზე ხელშეკრულების გაფორმება კი ზუგდიდში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ამასწინანდელი ვიზიტისას გადაწყდა.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ადეიშვილი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია, ადგილობრივი ხელისუფლებისა და დისტრიბუციის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს.

# ნაციონალები ხელისუფლების და ლეიბორისტების ალიანსს ამხელენ

ნინო ნარჩემაშვილი

**"ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს - შალვა ნათელაშვილსა და სახელმწიფო მინისტრს - ავთანდილ ჯორბენაძეს შორის გარიგება მოხდა, რის შედეგადაც სახელმწიფო მინისტრმა და მისმა ბანდამ ელექტროენერგიის ტარიფების სუბსიდიებისათვის კანონით გამოყოფილი თანხები მიითვისეს, ხოლო შალვა ნათელაშვილმა, რომელსაც ვითომ მოსახლეობის სასიკეთოდ წარმართული სასამართლო პროცესი მოაგებინეს, საუკეთესო რეკლამა გაიკეთა."** ამ განცხადების ავტორია ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი. ნაციონალების ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კობა დავითაშვილმა მეორე, არანაკლებ აქტუალური განცხადებაც გააკეთა. კერძოდ, ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს ხელისუფლებისა და პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. კობა დავითაშვილის თქმით, სარჩელის ძირითადი მოთხოვნაა სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ანუ ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფში მოსახლეობის სასარგებლოდ მოახდინოს 1,3 თეთრის სუბსიდირება.

შეგახსენებთ, რომ ასეთი დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლომ ლეიბორისტული პარტიის გახმაურებული სარჩელის განხილვის შემდეგ გამოიტანა და სახელმწიფო სტრუქტურები ვალდებულნი არიან იგი შეასრულონ. სუბსიდია 7 800 000 ლარს შეადგენს. კერძოდ, 3 300 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 4 500 000 ლარი პრეზიდენტის ფონდიდან უნდა გამოიყოს და თბილისის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გადასახადის კომპენსაციას უნდა მოხმარდეს. კობა დავითაშვილის თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ ძირითად მოსარჩელეს - ლეიბორისტულ პარტიას არც ერთხელ არ უცდია, სახელმწიფოსათვის მოეთხოვა განაჩენის რეალური განხორციელება. სუბსიდიების გადახდა კი დღესაც არ ხორციელდება. ლეიბორისტებსა და სახელმწიფო მინისტრს შორის დადებული გარიგების გამო შესაძლებელია, ბიუჯეტით გათვალისწინებული აღნიშნული თანხა საარჩევნოდ ნათელაშვილის პარტიის სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. ამიტომ, კობა დავითაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, პასუხი მოთხოვოს მთავრობას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

# ჩინეთში, შეიძლება, „პერესტროიკა" დაიწყოს

რევაზ ბახტაძე

*მსოფლიოში ატეხილი აჟიოტაჟის გამო, ჩინეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ატიპური პნევმონიის შესახებ ინფორმაცია დაუფარავად გაავრცელოს. ყველასათვის მოულოდნელად, პეკინმა მსოფლიოს საკუთარი წყალქვეშა ნავის ჩაძირვის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობა. ექსპერტების აზრით, კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკის ამგვარმა ცვლილებამ ჩინეთში, შესაძლოა, რადიკალური რეფორმების დაწყება გამოიწვიოს.*

*აირწინაღიანი ქორწილები, შეიძლება, ტრადიციად, იქცეს.*




| უბედურების ზონა | სიკვდილიანობა | შემთხვევები |
|---|---|---|
| ჩინეთი | 214 | 4,410 |
| ჰონ-კონგი | 193 | 1,646 |
| სინგაპური | 27 | 204 |
| კანადა | 23 | 148 |
| ტაივანი | 8 | 116 |
| ვიეტნამი | 5 | 63 |
| მალაიზია | 2 | 7 |
| ფილიპინები | 2 | 3 |
| ტაილანდი | 2 | 7 |
| შეაჯამებლად | 476 | 6,721 |

წყარო: WHO © GRAPHIC NEWS

ანალიტიკოსების თქმით, 17 წლის წინ მომხდარი ჩერნობილის ტრაგედიის მსგავსად, რომელმაც კომუნისტურ ხელისუფლებას სისტემის ცვლილებისაკენ უბიძგა, "სარსი"(ატიპური პნევმონიის აბრევიატურა), შესაძლოა, ჩინეთში მნიშვნელოვანი რეფორმების მასტიმულირებელი გახდეს.

კვირების განმავლობაში ინფორმაციის დაფარვის შემდეგ, ჩინეთის ხელმძღვანელობამ მიდგომა შეცვალა. ახლა, ჩინეთის პოლიტიკით დაინტერესებული მთავრობები და ექსპერტები იმაზე მსჯელობენ, რამდენად შორს წავლენ კომუნისტური პარტიის ახალი თავმჯდომარე ხუ ძინთაო და მისი კოლეგები.

ჩინეთის ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. მათი თქმით, მართალია, მედიას "სარსის" შესახებ ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების შესაძლებლობა მისცეს, მაგრამ პრესის რეალურ თავისუფლებამდე ძალზე შორია, ხოლო დასავლური ყაიდის დემოკრატიის დამყარება დღის წესრიგში საერთოდ არ დგას.

"ამჟამინდელი საჯაროობა, უბრალოდ, კომუნისტური პარტიის ხელისუფლებაში დარჩენის სურვილით არის განპირობებული", - აღნიშნა "როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთმა ჩინელმა ანალიტიკოსმა.

ჩინეთის ხელისუფლებამ პეკინის მერი და ჯანდაცვის მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო მედიას "სარსის" შესახებ ინფრომაციის შეუზღუდავი გავრცელების უფლება მიანიჭა.

"ჩინეთის უმოქმედობის გამო შექმნილი საერთაშორისო აზრი ჩინური პოლიტიკის შესაცვლელად ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმული იყო", - ამბობს აშშ-ს საზღვაო აკადემიის ექსპერტი მაოჩუნ იუ.

"ამგვარი უბედური შემთხვევები, მათ შორის, წყალქვეშა ნავის ჩაძირვა, ვერ დაიმალება, როდესაც უცხოური დაზვერვა ჩინეთის გარშემო არსებულ აკვატორიაში ასე კონცენტრირებულია", - დასძინა იუმ.

ჩაძირული წყალქვეშა ნავის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებელი გავრცელების მიზეზებზე საუბრისას, სტივ ცანმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ პეკინმა ეს ზედმეტი შეკითხვების თავიდან ასაცილებლად გააკეთა.

"სარსის" გავრცელებამ ჩინეთს პრობლემები ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე შეუქმნა. ტურისტული ინდუსტრიის განვითარება შეფერხდა, სასტუმროები და რესტორნები დაცარიელდა, ხოლო ჩინეთში თვითმფრინავის რეისების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

"სარსმა" მთელ ქვეყანაში, განსაკუთრებით, პროვინციებში არსებული ცუდი ადმინისტრირება გამოააშკარავა. ჩინეთის სოფლებში გლეხების მასობრივმა გამოსვლებმა, რომლებიც მთავრობისაგან ქმედითი ზომების მიღებას მოითხოვენ, შესაძლოა, სოციალური არეულობა გამოიწვიოს.

"სარსის" კრიზისი ჩერნობილის ტრაგედიას პირველად ჩინეთში აშშ-ს ყოფილმა ელჩებმა უინსტონ ლორდმა და სტაპლეტონ როიმ შეადარეს.

"ჩერნობილის მსგავსად, ეპიდემიამ ქვეყანაში, შესაძლოა, ჩინური მახასიათებლების მქონე "პერესტროიკის" დაწყება გამოიწვიოს", - დასძინა როიმ.

ტიანანმენის ტრაგედიიდან 14 წლის გასვლის შემდეგ, ჩინეთმა საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება როგორლაც მოახერხა. საერთაშორისო საზოგადოებამ, თითქმის, დაიჯერა, რომ დღევანდელი ჩინეთი მაშინდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, როდესაც ხელისუფლებამ შეუიარაღებელი სტუდენტები ტიანანმენის მოედანზე ჩახოცა.

ერთი შეხედვით, ოპტიმიზმის საფუძველიც გაჩნდა. ხუ ძინთაომ რეფორმატორი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჭუ ჟუნძის თანამებრძოლებს ეპიდემიის აღკვეთა დაავალა. ექსპერტების აზრით, თუ "სარსი" შემოდგომამდე მაინც გაგრძელდება, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გაცილებით მეტი ცვლილება მოხდება.

საკუთარი იმიჯის შესანარჩუნებლად ქვეყნის პრემიერი ხუ ძინთაო და პრემიერ-მინისტრი ვენ ძიაპაო კუანტუნში, ეპიდემიის ეპიცენტრში გაემგზავრნენ. ვენი პეკინის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელშიც იყო და სტუდენტებთან ერთად სასადილოში ერთი საათი დაჰყო.

"სარსმა" ახალი ხელმძღვანელობის დღის წესრიგი შეცვალა. რეჟიმის შიგნით დაძაბულობა იზრდება იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ყოფილი პრეზიდენტი ძიან ძემინი და ხელისუფლებაში დარჩენილი მისი მოკავშირეები შიშობენ, რომ ახალი ლიდერები თავიანთ პოლიტიკურ გავლენას გააფართოებენ, თუ ეპიდემიის დროულად შეჩერება შეძლეს. თუმცა, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ხუ ძინთაო და მისი მეგობრები ყველაფერს მაინც წინა ხელისუფლებას გადააბრალებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პეკინში რეალური ძალაუფლებისათვის ბრძოლა იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

■ ■ ■

გუშინ ატიპური პნევმონიის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა რუსეთში. რუსეთი 30-ე ქვეყანა გახდა, რომელშიც "სარს"-ი გამოჩნდა.

საინფორმაციო საგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, გუშინ რუსეთის მოქალაქე დენის სოინიკოვს ატიპური პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა მთავრობის საგანგებო სხდომა სასწრაფოდ მოიწვია და მათ შესაბამისი ზომების მიღება დაავალა. გუშინვე მოსკოვში საზოგადოებრივ ტრანსპორტში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

# ალიევი კომაშია?

თურქული ინტერნეტ-გამოცემის "ინტერნეტჰაბერის" ცნობით, ექიმებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის გადარჩენის იმედი აღარა აქვთ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პრეზიდენტი, რომელსაც ხვალ 80 წელი უსრულდება, კომაშია.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი უმძიმეს მდგომარეობაშია, აზერბაიჯანული ოპოზიციური გაზეთებიც ავრცელებენ. ასევე დაუზუსტებელი ინფორმაციით, ალიევს პრობლემები აქვს გულთან, სისხლის მიმოქცევის სისტემასთან, ღვიძლთან და თირკმელებთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. კლინიკის ის ნაწილი, რომელშიც ალიევია მოთავსებული, იზოლირებულია და იქ რამდენიმე ექიმისა და ალიევის უახლოესი გარემოცვის გარდა, არავის უშვებენ.

ბოლო ორი დღის მანძილზე, პრეზიდენტის პრესსამსახურს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია, რამაც ჭორების გავრცელებისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა.

ალიევის ადმინისტრაციის უფროსმა, რამიზ მეჰტიევმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის 80 წლის აღსანიშნავად დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებები გადაიდო. შესაბამისად, გადაიდო საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების ვიზიტებიც.

ოპოზიციური გაზეთები (მუსავატი, ჰურიეტი და სხვები) წერენ იმის შესახებაც, რომ აზერბაიჯანის მმართველ წრეებში პანიკაა. აზერბაიჯანიდან უცხოეთის მიმართულებით ავიარეისებზე ბილეთების შეძენა შეუძლებელია. ინტენსიურად მიმდინარეობს აზერბაიჯანის ბანკებიდან უცხოეთში ფულის გადარიცხვაც.

ხელისუფლება ამ ინფორმაციასაც კატეგორიულად უარყოფს.

*"24 საათი"*

# ავარია უნგრეთში

უნგრეთში მომხდარმა ავარიამ 31 მგზავრის სიცოცხლე იმსხვერპლა. ავტობუსი, რომელშიც გერმანელი ტურისტები იმყოფებოდნენ, მატარებელს შეეჯახა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტობუსი შუაზე გადაჭრა და ერთი ნახევარი მთლიანად გააბრტყელა. სულ ავტობუსში 38 ადამიანი იმყოფებოდა.

უნგრეთის რკინიგზის წარმომადგენელთა განცხადებით, დამნაშავეა ავტობუსის მძღოლი, რომელმაც, მიუხედავად შუქნიშანზე წითელი სიგნალისა, ავტობუსი არ შეაჩერა.

ტრაგედიის ადგილზე, გერმანიის ელჩთან ერთად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, პიტერ მეგეისი ჩავიდა. პრემიერის განცხადებით, ქვეყნის ისტორიაში ეს, ალბათ, ყველაზე საშინელი ავტოკატასტროფაა.

# უზბეკეთს რეფორმები „არ ემუქრება"

გალიმა ბუხარბაევა
IWPR, ტაშკენტიდან

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას, რომელიც 4-5 მაისს უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში გაიმართა, უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, აგრეთვე, ის სტრატეგია, რომელიც ბანკმა შუა აზიის ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმების მხარდასაჭერად აირჩია.

თავად უზბეკეთის მთავრობამ შეხვედრა იმისათვის გამოიყენა, რომ თავისი ხალხისათვის ეჩვენებინა, რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო თანამეგობრობაში. სკეპტიკოსების აზრით, ბანკს კარიმოვის რეჟიმისთვის ამის საშუალება არ უნდა მიეცა.

ევრობანკმა განაცხადა, რომ შეხვედრის უზბეკეთში ჩატარებას იმიტომ დათანხმდა, რომ ამ ქვეყნის მთავრობისაგან რეფორმების გატარების პირობას მოელოდა. ყველაზე ცოტა, რასაც ბანკი უზბეკეთის პრეზიდენტისაგან მოითხოვდა, წამების აღკვეთის შესახებ საჯარო პირობის დადება იყო.

ბანკის მმართველთა "მიამიტობა" თავად შეხვედრის მსვლელობის დროსვე გააკრიტიკეს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის "ჰიუმენ რაითს უოჩის" აღმასრულებელი დირექტორის, კენეტ როთის თქმით, "შეხვედრის ტაშკენტში ჩატარება გაუმართლებელია, რადგან უზბეკეთი ბანკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებთან ახლოსაც ვერ მოვა".

როთი შეხვედრაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას მიესალმა. "არასამთავრობოების მონაწილეობა შეხვედრაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ, უზბეკეთის მთავრობის დაყოლიება არასამთავრობოებისათვის მოქმედების თავისუფლების მიცემაზე, ევრობანკმა ვერ შეძლო," – განაცხადა მან.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კარიმოვმა მთელი თავისი გამოსვლა იმ რადიკალურ დემოკრატიულ რეფორმებზე საუბარს დაუთმო, რომელიც მისმა პარლამენტმა ბოლო თვეების მანილზე გაატარა, მათ შორის, ორპალატიანი პარლამენტის შემოღება და ცენზურის ფორმალურად გაუქმება. მას სიტყვაც არ დაუძრავს მართლმსაჯულების სისტემაში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისა და პატიმართა წამების ფაქტების შესახებ.

მიმომხილველების თქმით, კარიმოვის არაფრისმთქმელმა გამოსვლამ ევრობანკის ხელმძღვანელები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მას რომ მინიშნება მაინც გაეკეთებინა შესაძლო რეფორმებზე, ევრობანკი ცენტრალურ აზიაში თავის სტრატეგიას წარმატებულად ჩათვლიდა.

როდესაც ჩვენ ვკითხეთ ბანკის პრეზიდენტს, ლემიერს, თუ რატომ არ ისაუბრა კარიმოვმა წამების ფაქტებზე, მან განაცხადა: "ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ, არ გვაძლევს იმედს, რომ ჩვენს მიერ წაყენებული მოთხოვნები შესრულდება".

ლემიერმა განაცხადა, რომ ბანკმა შეიმუშავა შვიდი კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილება სავალდებულო იქნება უზბეკეთისათვის, თუ მას ევრობანკის კრედიტების მიღება მომავალშიც სურს. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ასპექტებს.

ჰიუმენ რაითს უოჩი აცხადებს, რომ ბანკმა მუქარა შეიძლება არ შეასრულოს და თავისი პროგრამა იმ შემთხვევაშიც გააგრძელოს, თუ უზბეკეთში არაფერი შეიცვლება.

ბანკის წესდების თანახმად, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება სესხის გამოყოფის აუცილებელი წინაპირობაა. უზბეკეთი არც დემოკრატიითა და არც ლიბერალური ეკონომიკით არ გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, ბანკს ამ ქვეყანაში 612 მილიონი ევრო აქვს დაბანდებული. მისგან განსხვავებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდს უზბეკეთისათვის 1996 წლის შემდეგ ერთი ცენტიც არ უსესხებია. ფონდმა ჩათვალა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს.

შეხვედრისას, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ბანკის წარმომადგენლებმა და უზბეკებმა აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს. ბანკის მთავარმა ეკონომისტმა, უილიამ ბუიტერმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ, თუ მთავრობა საჭირო რეფორმების გატარებაზე კვლავაც უარს იტყვის, "უზბეკეთი რეგიონის ყველაზე ღარიბ ქვეყნად იქცევა". რეფორმები მოიცავს ვალუტის გაცვლითი კურსისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას, პრივატიზაციას, საბანკო სექტორის რეფორმას და ფერმერებისათვის საკუთარი პროდუქციის გაყიდვის უფლების მიცემას (ამჟამად, მთელ მოსავალს სახელმწიფო ყიდულობს).

ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა. გასულ წელს უცხოელებმა ქვეყანაში მხოლოდ 150 მილიონი დოლარი დააბანდეს. "ანუ, ერთ სულ მოსახლეზე 6 დოლარი. ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე - თურქმენეთში," – ამბობს ბუიტერი.

მიუხედავად ამისა, უზბეკეთის ფინანსთა მინისტრმა, ნურმურადოვმა განაცხადა, რომ "ეკონომიკური რეფორმის თვალსაზრისით, უზბეკეთმა უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია. ყველა პირობაა შექმნილი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად".

პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს სიცილი აუტყდათ, როდესაც ნურმურადოვმა განაცხადა: იმაში, რომ ქვეყანაში ხელფასები ძალიან მცირეა, საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, რადგან უზბეკების უმეტესობას "პატარ-პატარა ბოსტნები აქვს".

კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის ექსპერტი, დენის ლუისი ფიქრობს, რომ უზბეკეთის ხელისუფლება ევრობანკის მოთხოვნათა შესრულებას არ აპირებს. მისი თქმით, ხელისუფლება კოსმეტიკური ზომების მიღებას შეეცდება - რეგისტრაციაში გაატარებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და გაათავისუფლებს ერთი-ორ პატიმარს. რაც შეეხება ეკონომიკურ მოთხოვნებს, მისი აზრით, ხელისუფლების მიერ ვაჭრობის ან ვალუტის გაცვლითი კურსის ლიბერალიზაციის შანსი მინიმალურია.

ლუისი ფიქრობს, რომ პესიმიზმის საფუძველს თავად კონფერენციის მიმდინარეობა იძლევა. "უზბეკეთის ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს სიტყვა არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა მომავალში". თუმცა, ექსპერტის აზრით, სხდომის უზბეკეთში გამართვა მაინც პოზიტიური მოვლენა იყო, რადგანაც ამ ქვეყნის ხელისუფლებას მისი მისამართით სერიოზული კრიტიკის მოსმენა პირველად მოუხდა (ადგილობრივ მასმედიას ეს კრიტიკა, რასაკვირველია, არ გადაუცია).

ტელევიზიამ და პრესამ ისე გააშუქა სამიტი, როგორც მთავრობას სურდა. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში საუბარი იყო იმაზე, რომ "ევრობანკი უზბეკეთის მთავრობასთან თანამშრომლობისათვის მზადაა. ჟან ლემიერმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ბრწყინვალე საინვესტიციო კლიმატია". ტელევიზიას არ გადაუცია არც იმ, დაახლოებით, ოცკაციანი საპროტესტო აქციის შესახებ, რომელიც შეხვედრის მიმდინარეობისას გაიმართა. საოცარია, რომ უზბეკეთის მთავრობამ მათ პროტესტის გამოხატვის ნება დართო.

უზბეკეთის ადამიანის უფლებათა დამცავი საზოგადოების ხელმძღვანელი, ტალიბ იაყუბოვი ამბობს, რომ, როგორც კი ქვეყნისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ჩაცხრება, მათ უარესი დღე მოელით. "ვშიშობთ, როგორც კი მთავრობა დარწმუნდება, რომ ბანკს მისთვის აღარ სცალია, შავ დღეში ჩაგვაგდებს. თუმცა, ამაზე უარესს რას გვიზამს, არ ვიცი".

# ბასკურ ორგანიზაციებს ანგარიშები გაუყინეს

შეერთებულმა შტატებმა ბასკეთის ნაციონალისტური პარტია "ბატასუნა" და მასთან დაკავშირებული ორი დაჯგუფება იმ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რომელზეც ამერიკის მთავრობის ფინანსური სანქციები ვრცელდება.

აღნიშნული განცხადება ვაშინგტონში ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ხოსე მარია ასნარსა და ჯორჯ ბუშის შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე გაკეთდა. ეს ერაყის ომში აღმოჩენილი მხარდაჭერის სანაცვლოდ მადრიდისათვის გაკეთებული დიპლომატიური ჟესტი და საჩუქარი იყო.

1995 წელს ასნარი ბასკი სეპარატისტების თავდასხმას ძლივს გადაურჩა. ესპანეთის პრემიერი ხელისუფლებაში მოსვლიდანვე ბასკეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციების მოღვაწეობის აღკვეთას ცდილობს. "შეერთებული შტატები ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ესპანეთის გვერდზე დგას", - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა.

შეერთებულმა შტატებმა აღნიშნულ სიაში რუსეთისა და ჩინეთის რამდენიმე ორგანიზაციაც შეიყვანა. ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მტკიცებით, ეს ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვას გააუარესებს. მათი თქმით, შეერთებული შტატები ამგვარი ქმედებით იმ ქვეყნების მიმართ გამოხატავს მადლობას, რომლებმაც ვაშინგტონს ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო კამპანიაში მხარი დაუჭირეს.

ბაუჩერის თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს "სანდო და საკმაო მოცულობის ინფორმაცია", რომ "ბატასუნა" და მასთან დაკავშირებული სხვა ჯგუფები ("ეუსკალ ჰერიტაროკი" და "ჰერი ბატასუნა") ბასკების სეპარატისტული დაჯგუფების პოლიტიკურ ფრთას წარმოადგენენ. აღნიშნულ დაჯგუფებას ხშირად "ეტასაც" უწოდებენ და ის დიდი ხანია, რაც ამერიკის მთავრობამ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა.

სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა შესაბამის გადაწყვეტილებას ხელი მადრიდში ჩასვლამდე ერთი დღით ადრე, 30 აპრილს მოაწერა, მაგრამ იგი გუშინდლამდე არ გამოქვეყნდა, რათა "შავ სიაში" შეყვანილ ორგანიზაციებს საკუთარი ანგარიშებიდან ფულის მოხსნის შესაძლებლობა არ მისცემოდათ.

# ბოდიში უპატრონობისთვის

მაკა ჯაიანი

*შარშანდელი 9 მაისიდან წლევანდლამდე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ჩვენი თანამემამულეებიდან 4 ათასი გარდაიცვალა. დარჩენილი 32 ათასიდან ყველაზე ახალგაზრდა 75 წლისაა, ყველაზე უხნესი - 95-ის. დღეს მათი დღეა და, გუშინდლიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ისინი არ დავიწყებია.*

პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულება გამოსცა და ყველა აღმასრულებელს დაავალა, ომის ვეტერანები შესაძლებლობების ფარგლებში დაესაჩუქრებინათ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საქართველოს რეგიონებიდან გამოგზავნილ მეორე მსოფლიო ომის ასზე მეტ ვეტერანს 50-50 ლარი აჩუქეს და მოკრძალებული სუფრაც გაუშალეს. ომის ვეტერანები მიიღეს ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობებში, ქვემო ქართლის რწმუნებულის ოფისში, სადაც რაიონში მცხოვრებ 100-მდე ვეტერანს საჩუქრად პირველადი სამედიცინო დახმარების დაზღვევის პოლისები გადასცეს.

**"ბოდიშს გიხდით, რომ ისე ვერ გპატრონობთ, როგორც გეკადრებათ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მწირი შემოსავლები მეტის საშუალებას არ გვაძლევს",** - ამ სიტყვებით დაიწყო გამოსვლა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ. ხელისუფლების სახელით გაკეთებული ეს განცხადება ნამდვილად საფუძვლიანი გახლავთ. 45-ლარიანი პენსია, შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე, ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე, 600 ათასი ლარი - სამედიცინო უზრუნველყოფისთვის - ესაა, რასაც ამ ადამიანებს სახელმწიფო სთავაზობს, სიბერის მინიმალური უზრუნველყოფა.

ისინი მაინც მადლობლები არიან, - 14 ლარი მაინც არ გვაქვს, პენსიაო. თუმცა, მოკრძალებით კიდევ რაღაცას ითხოვენ: სასმენ აპარატებს, რომელიც ძალიან ძვირი ღირს, მათ კი წლების მატებასთან ერთად სულ უფრო მეტად სჭირდებათ; თვალისა და წინამდებარე ჯირკვლის ოპერაციების უფასოდ ჩატარებას, რაც, ასევე, ძალიან ძვირი ღირს, მათ კი ძალიან სჭირდებათ... ამირან გამყრელიძე მათ ამ საკითხების მოგვარებას წელსვე დაჰპირდა. საკუთარი დღესასწაულის სუფრასთან აღნიშვნის მომლოდინე მოხუცები ხარბად ისმენდნენ პრეზიდიუმში მსხდომთა იმედიან გამოსვლებს. მადლიერება მათი ნავსაყუდელია.

## ინფორმაცია

### შუშა, ტოლი და შიფერი უკრაინიდან

სულ ახლახანს უკრაინის მთავრობამ თბილისის მერიას მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ხუთი ვაგონი ტვირთი გამოუგზავნა. უკრაინის ეს საჩუქარი საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდმა უკვე მიიღო. თითო-თითო ვაგონ შუშას, შიფერსა და ტოლს მიწისძვრით დაზარალებულები ამ დღეებში მიიღებენ. სავარაუდოდ, ამ ტვირთს რაიონული გამგეობები გაანაწილებენ. ამას გარდა, უკრაინამ გლდანში მდებარე უკრაინული სკოლისთვის რამდენიმე მერხი, დაფა და სკამი გამოგზავნა.

*"24 საათი"*

### კალაშოვი და მეეზოვეები უმუშევრობით იმუქრებიან

გუშინ მერიის შენობის წინ ქურთი ეროვნების მეეზოვეებმა აქცია მოაწყეს. ისინი ქალაქის ხელმძღვანელობისგან მათი ხელფასის ზუსტი რაოდენობის, მისი დაგვიანების მიზეზებისა და იმის გარკვევას მოითხოვდნენ, კონკრეტულად რა ტერიტორიები უნდა დაესუფთავებინათ. მათთან ერთად იმყოფებოდა ქურთული დიასპორის წარმომადგენელი, ქურთული კულტურის ცენტრის თანამშრომელი, კახა კალაშოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მთაწმინდის რაიონის დასუფთავების ტრესტი მათ ყურადღებას საერთოდ არ აქცევს და პირდაპირ შანტაჟზე გადადის. გვეუბნებიან, - გინდათ, დაალაგეთ და გინდათ, ნუ დაალაგებთ, თუ გსურთ, საერთოდ დაანებეთ სამსახურს თავიო, - თქვა კალაშოვმა. მეეზოვეები, რომლებსაც სამი თვის ხელფასი არ მიუღიათ, პრობლემის მოგვარებისთვის ქალაქის ხელმძღვანელობას ერთკვირიან ვადას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ცოცხების გადაყრით" იმუქრებიან.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

**თბილისი.** აპრილის თვის პენსიები ჯერჯერობით მხოლოდ ფოთელებს და თბილისელთა ნაწილს დაურიგდებათ. საქართველოს დანარჩენი რეგიონების მოსახლეობას სრულად ჯერ იანვრის პენსიებიც არ მიუღია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში 14,7 მილიონი ლარით გაირღვა. გარღვევა, ძირითადად, ცენტრალური ბიუჯეტიდან არასრულად მიღებულ ტრანსფერზე მოდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეათე წელია, საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ინიციატივით, საქართველოში IX-X კლასელთა დაჯილდოების პროგრამა ხორციელდება. 49 გამარჯვებული მოსწავლე აგვისტოში ამერიკაში გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**პეკინი.** ატიპური პნევმონიით მსოფლიოში უკვე 503 ადამიანი გარდაიცვალა. გარდაცვალების ბოლო ხუთი შემთხვევა ჩინეთში დაფიქსირდა, აქედან ორი - ქვეყნის დედაქალაქ პეკინში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი.** გუშინ საოლქო ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსეს ორი გოგონა, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთიდან ჩამოვიდა. ატიპური პნევმონიის დიაგნოზი მათ არ უდასტურდებათ, თუმცა კარანტინში არიან. **მედია-ნიუსი**

# საკრებულომ 4 მილიონის აღების და ხარჯვის სტრატეგიაზე იმსჯელა

ეთერ მამულაშვილი

*გუშინ მერიის შენობაში დიდი ჩოჩქოლი იყო. ორმოცდაათამდე მიწისძვრით დაზარალებული საკრებულოს თავმჯდომარეს 4 საათისთვის ჰყავდა დაბარებული. მათ, სააკაშვილის ნაცვლად, "ნაციონალი" გიორგი არველაძე, ჟანი კალანდაძე და კობა ბექაური შეხვდნენ. კალანდაძემ მათ იმ დადგენილების ოთხი პროექტი გააცნო, რომლის ამოქმედება მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას ერთდროულად გადაუჭრის. შერჩეულ პროექტს საკრებულო სამშაბათის სხდომაზე დაამტკიცებს.*

*გიორგი არველაძე.*

*დაზარალებულები საკრებულოში.*

ეთერ ლიქვალიძის ფოტო

ორი დღის წინათ საკრებულოს სხდომათა დარბაზში მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობა შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდა, მაგრამ სააკაშვილის დაპირებამ მათ ამ განზრახვაზე დროებით ხელი ააღებინა. გუშინდელი შეხვედრის შემდეგ დაზარალებულები კმაყოფილი სახეებით უზიარებდნენ ერთმანეთს აზრებს, ზოგიერთი მომავლის საოცნებო კოშკებსაც აგებდა.

გუშინ საკრებულოში დადგენილების პროექტებს განიხილავდნენ და მსჯელობდნენ, თუ რა უნდა გააკეთოს ახლადშექმნილმა სამსახურმა მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 4 მილიონი ლარის ფარგლებში.

ახალი სახელმწიფო სამსახურის ანგარიშზე, რომელიც მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდისა და საბინაო მეურნეობის სამსახურის რეორგანიზაციით შეიქმნა, დღეისთვის მილიონამდე ლარი ირიცხება. სამსახური ცენტრალური ბიუჯეტიდან, ტრანსფერის სახით, ნოემბერში 4 მილიონს მიიღებს. სწორედ ამ, ჯერ არარსებულ თანხას ანაწილებდნენ საკრებულოს წევრები და მიწისძვრით დაზარალებულები. ვინ საკომპენსაციო თანხების დარიგებას მოითხოვდა, ვინ მუნიციპალური ბინათმშენებლობის სასწრაფოდ დაწყებას, ვიღაცას ახალი ბინის შესყიდვა უფრო მნიშვნელოვნად ესახებოდა. "ნაციონალების" მიერ წარდგენილ დადგენილების პროექტში ერთიც, მეორეც და მესამეც ჩაწერილია. მეტიც, საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილების პროექტი დაზარალებული მოსახლეობისთვის სასიამოვნო ერთ პუნქტსაც ითვალისწინებს - მიწისძვრით დაზარალებულთა იმ ნაწილს, ვისაც ბინით დააკმაყოფილებენ, ძველსა და ახალ ბინას შორის არსებული სხვაობა მერიის შესაბამისმა სამსახურმა გარკვეული თანხით უნდა დაუფაროს.

ახლადშექმნილი სამსახურის უფროსი, გოგი თვალავაძე, რომელმაც მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზეც უნდა იზრუნოს, ამბობს, რომ ოთხი მილიონი, საკრებულოს მიერ მიცემულ ყველა დავალების შესრულებას ვერანაირად ვერ გაწვდება. ეს საკრებულომაც მშვენივრად იცის, ამიტომაც, ქალაქის მთავრობას ორი კვირის ვადაში სპეციალური კომისიის შექმნას ავალებს. ეს კომისია შეიმუშავებს პრინციპს, რომლითაც ზუსტად განისაზღვრება, პირველ რიგში, დაზარალებულთა რაოდენობა და ვინაობა.

უბინაოდ დარჩენილ და ავარიულ სახლებში მცხოვრებ თბილისელებს შემოდგომის ბოლომდე მოთმინებით მოუწევთ მოცდა. მერიის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის სამსახური ნოემბერში მიიღებს ცენტრალური ბიუჯეტიდან 4-მილიონიან "მოწყალებას".

ხსენებულ სამსახურს ნოემბრამდე გულხელდაკრეფილი ჯდომა, ალბათ, არ მოუწევს. თუკი ფინანსთა სამინისტროდან მყარი, წერილობითი გარანტია იქნება, რომ შეპირებული 4 მილიონი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად მესამე კვარტალში მაინც აუცილებლად ჩაირიცხება, გოგი თვალავაძე მზად არის, ეროვნული ბანკიდან ამავე რაოდენობის სესხი აიღოს. თვალავაძის დაპირებით, სესხის აღების დღიდან დაიწყება დაზარალებული მოსახლეობის დახმარება იმ მიმართულებებით, რომელიც საკრებულოს მომავალი სამშაბათის სხდომაზე დამტკიცდება.

ხსენებულ საკითხზე ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკებების გამართვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, კობა ბექაურმა ითავა.

# გონივრული გამოსავალი - ხელში ცოცხის დაჭერა

ნანა ქადაგიშვილი

*არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარება" ქალაქის სანიტარული ინსპექციისა და ვეტერინარული გაერთიანების ხელმძღვანელებს უყურადღებოდ ერთი თვითაც არ ტოვებს და საკრებულოში დაწყებულ საქმეს სახალხო დამცველის აპარატიდან აგრძელებს. სახალხო დამცველის ოფისში გუშინდელი აჟიოტაჟი სწორედ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მანდილოსნების დამსახურება იყო.*

*ნანული ქაჩიბაია*

ეთერ ლიქვალიძის ფოტო

საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელისა და, ამავე დროს, "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელს, ნანული ქაჩიბაიას "გარჯა" ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა და თბილისის მერიამ აშკარად არ დაუფასეს. ქაჩიბაიას ინიციატივით საკრებულოს მიერ, ერთი თვის წინათ თანამდებობიდან გათავისუფლებული ჯუღული ახვლედიანი სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოვალეობას დღემდე ასრულებს და არც ირაკლი მოსიძე მოუხსნიათ ვეტერინარული გაერთიანებისა ხელმძღვანელობიდან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახვლედიანს დაუფარავად უჭერს მხარს. მერია ამას ხმამაღლა არ აცხადებს, მაგრამ ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე კონკურსი დღემდე არ გამოუცხადებია. საკრებულოს მოთხოვნის შესრულებით არც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იტკიეს თავს და მოსიძის პასუხისმგებლობის საკითხს არ აყენებს. "ვაკის გონივრული განვითარების" მანდილოსნები სწორედ ამან აღაშფოთა და გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მათ აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მიიწვიეს, რათა ამ უკანასკნელთაგან ქალაქში არსებულ სანიტარულ მდგომარეობაზე პასუხი მოეთხოვათ. მეტი ეფექტის მოსახდენად პრესკონფერენციის ორგანიზატორებს გარე ვაჭრობის ტერიტორიებზე გადაღებული კადრებიც მოტანილი ჰქონდათ. "თბილისი ნაგავსაყრელებით გაივსო, შეგვჭამა ჭუჭყმა და უსუფთაობამ. მალე ქალაქში ატიპიურ პნევმონიაზე უარესი ვირუსი გავრცელდება", - შემაძრწუნებელი პროგნოზი გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

"მამაჩემს მენაგვედ არ გავუზრდივარ. ქალაქის დასუფთავება კეთილმოწყობის სამსახურის მოვალეობაა და არა სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის", - ვაკის გონივრულად განმავითარებლებს არაერთხელ განუმარტა საკუთარი სამსახურის ფუნქცია ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მერაბ არველაძემ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მანდილოსნები მათგან ქალაქის დასუფთავებას კვლავ აქტიურად მოითხოვდნენ. მაშინ გვითხარით, რომ სანიტარული სამსახური არ გვყავს და ჩვენ დავიჭერთ ცოცხებსო, - თბილისის სისუფთავისთვის თავი დასდო ნანული ქაჩიბაიამ.

ასე და ამგვარად, პრესკონფერენციამ ჩხუბსა და ერთმანეთის დადანაშაულებაში ჩაიარა. ამ რია-რიაში ერთადერთი მნიშვნელოვანი ის ითქვა, რომ პარლამენტმა სანიტარული კოდექსი მესამე მოსმენით მიიღო და ამიერიდან, ამ კოდექსის წყალობით, უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა უფრო ეფექტური გახდება. კოდექსის მიხედვით, საჯარიმო სანქციები გამკაცრდება. მაგალითად, უკანონო ვაჭრობისთვის ფიზიკური პირი 50 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი - 200 ლარით. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში კი ჯარიმის ოდენობა იზრდება.

# არის თუ არა ეს კომპენსაცია?!

## დედოფლისწყაროში "ოპტიმიზირებულ" ექიმთა დარდი და სიხარული

ზაზა ფაჩუაშვილი

*ამა წლის დასაწყისში დედოფლისწყაროში სამი სამედიცინო დაწესებულების ოპტიმიზაცია მოხდა. რაიონული საავადმყოფოს, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებისა და ვენსნეულებათა დისპანსერის შერწყმის შედეგად წარმოიშვა საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება. გამოთავისუფლებულ მედპერსონალს საკომპენსაციო თანხები გუშინ გადაეცა.*

დედოფლისწყაროში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ოპტიმიზაცია იმპერიალიზმის კრახივით გარდუვალი და კომუნიზმის მშენებლობასავით დაუსრულებელი პროცესია. მისი არსებობისთვის საუკეთესო პირობები კი მუდმივად არსებობს განვითარებად ქვეყნებში, მითუმეტეს - რეგიონებში. ეს განსაკუთრებით მაშინ იკვეთება, როცა მთავრობა არ გაძლევს ხელფასს, პაციენტი – ჰონორარს, მეუღლე – გზის ფულს.

ვირით მგზავრობას და მასავით უმადურ მუშაობას კი ნამდვილად სჯობს სამსახურიდან წასვლა და კომპენსაციის აღება. ასე მივიდა ოპტიმიზაცია დედოფლისწყაროში.

პოლიკლინიკის ბუღალტერიასთან რიგი დილიდანვე დადგა. წესრიგს ერთი ავტომატით შეიარაღებული ორი პოლიციელი იცავდა, - ჩვენ რაიონში ისეთი წესრიგია, მეტი საჭირო არ არისო. პროცესს ხელმძღვანელობდა თბილისიდან სპეციალურად ჩასული "რესტრუქტურიზაციის ფონდის" დირექტორი, თემურ დოლიძე, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- ბატონო თემურ, როგორ თავსდება ერთმანეთთან ოპოზიციის მოთხოვნით შეჩერებული ოპტიმიზაცია და დღევანდელი აქცია?

**- ამ სამი დაწესებულების იურიდიული შერწყმა ოპტიმიზაციის დროებით შეჩერებამდე მოხდა. ასე რომ, შეუთავსებლობა არ არსებობს. ეს დაწყებული პროცესის ერთერთი ეტაპია.**

- რა ეტაპები არსებობს?

**- ოპტიმიზაცია რამდენიმე ეტაპად ხორციელდება – იურიდიული შერწყმა, კადრების ოპტიმიზაცია, საკომპენსაციო თანხების გაცემა და რეაბილიტაცია. ამ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც არჩევს შესანარჩუნებელ დაწესებულებას და შესაბამის რეკომენდაციებს გვაწვდის ჩვენ - "რესტრუქტურიზაციის ფონდს". ამის შემდეგ ვაცხადებთ ტენდერს შენობის რეაბილიტაციისათვის.**

- აქ რამდენი ადამიანი გათავისუფლდა?

**- სამივე დაწესებულებაში 200 ადამიანი მუშაობდა. 46 გათავისუფლდა.**

- როგორია მათი საკომპენსაციო თანხები?

**- საკომპენსაციო თანხების ზედა ზღვარი ექიმებისთვის შეადგენს სტაჟის ნამრავლს საარსებო მინიმუმის 24-მაგად გაზრდილ ოდენობაზე, 18-ჯერ გაზრდილ ოდენობაზე საშუალო პერსონალისთვის და 12-ჯერ - მცირე პერსონალისთვის. ანალოგიურად გამოითვლება ქვედა ზღვარი, ოღონდ სტაჟი მინიმალურ ხელფასზე მრავლდება.**

**საბოლოო ჯამში ექიმისთვის საკომპენსაციო თანხა მერყეობს 500-დან 2700 ლარამდე, ექთნებისთვის – 360-დან 2400 ლარამდე, უმცროსი სამედიცინო პერსონალისთვის – 240-დან 1300 ლარამდე. თუმცა, ამ თანხას ემატება სახელფასო დავალიანების სრული დაფარვა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაცია. ამის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში კომპენსაცია 5000 ლარსაც აღწევს.**

დედოფლისწყაროში 5 ათასი ლარი არავის აუღია, მაგრამ ათასობით ლარი ბევრს ერგო: 3 ათასზე მეტი ორმა კაცმა მიიღო, 2ათასზე მეტი – ათმა კაცმა, 1 ათასზე მეტი – თერთმეტმა კაცმა, თუმცა ბევრი მათგანი სიხარულთან ერთად დარდსაც გამოხატავდა.

*ხელში სიხარული, თვალებში ნაღველი.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

- რა იყო, დეიდა, სამსახურიდან ძალით ხომ არ გაგაგდეს?

**- არა, შვილო... ვინ დამაძალებდა? კრება გაიმართა, სადაც გვითხრეს, - გაერთიანება ხდებაო და ვინც სამსახურიდან წავა, იმას ამდენი და ამდენი კომპენსაცია მიეცემაო. ვისაც გვხედავ, ყველამ წასვლა ვარჩიეთ, იმიტომ, რომ სამსახურში მაინც ვერ დავდიოდით. გვიჭირს შვილო, სოფლებიდან სიარული.**

- რაღატომ ნაღვლობთ?

**- დარდით გული მისკდება. ამდენი წელია ვმუშაობდი და ახლა სამსახურის გარეშე როგორ გავძლო?!**

41 წლის სტაჟის მქონე ექიმმა, ომარ თურქისტანაშვილმა 3 ათას ლარზე მეტი მიიღო.

**"ამდენი ფული ცხოვრებაში არ ამიღია, მაგრამ... ათასი დოლარი ცოლის საოპერაციოდ მჭირდება. რა გინდა, რომ ქნა,"** – გვითხრა მან.

- თქვენ მთავარი ექიმი იყავით, რატომ წახვედით?

**- 2 ლარი და 80 თეთრი მქონდა ხელფასი, აბა, რას ვიზამდი.**

- ახლა რას აპირებთ?

**- უმუშევრად არ გავჩერდები. ბოლობოლო, სოჩაში ნათესავები მყავს, იქ წავალ.**

ოპოზიციის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, ასეთი იყო რეგიონში საკომპენსაციო თანხების გაცემის პირველი, ქვეყანაში კი მეხუთე, შემთხვევა.

# ტერაქტები გრძელდება

პირველი გვერდიდან

აფეთქებიდან ცოტა ხანში, სამართალდამცველებმა გაჩხრიკეს სასტუმრო "მორკინალის" მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარი ლურჯი ფერის "მერსედესი", სახელმწიფო ნომრით - PPP 085. მანქანიდან ამოიღეს მართვის მოწყობილობა და ჯონი გიგანის მანქანის აფეთქების სქემა. მანქანის გაჩხრეკიდან რამდენიმე წუთში კი, ჯონი გიგანის დაცვის წევრებმა დააკავეს სასტუმრო "აჭარის" პირველ სართულზე მდებარე ბარიდან გამოსული, აფეთქებაში ეჭვმიტანილი. ალექსანდრე მაისურაძე გიგანის დაცვის წევრებმა პოლიციას უკვე კარგად ნაცემ მდგომარეობაში ჩააბარეს.

ალექსანდრე მაისურაძე ჩვენების ჩამოსართმევად პოლიციის მთავარ სამმართველოში მიიყვანეს, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მე-9 საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში გადაიყვანეს.

საშა მაისურაძეს თავისა და სახის არეში აღენიშნება ჰემატომები და ნაკაწრები. ასევე, გულ-მკერდის მარცხენა მხარის მოტეხილობა, - ასეთია მაისურაძის მიმღები ექიმის რევაზ ბასილიას წინასწარი დიაგნოზი. საშა მაისურაძეს პოლიციის გაძლიერებული ბადრაგი იცავს.

კანონდამცველებმა გუშინვე გაჩხრიკეს საშა მაისურაძის სახლი, სადაც იმის გამო, რომ მაისურაძის მეუღლე პოლიციას სახლში არ უშვებდა, სამართალდამცველებმა სახანძრო მანქანის გამოყენებით შეაღწიეს. მეექვსე სართულის ფანჯრიდან მაისურაძის ბინაში შესულმა პოლიციელებმა, როგორც თავად აცხადებენ, დიდძალი იარაღი ამოიღეს. პანიკაში მყოფმა მაისურაძის მეუღლემ მეექვსე სართულიდან ოთხი სანადირო თოფი, "რემინგტონისა" და "CVD"–ს სისტემის იარაღები ეზოში გადაყარა.

ალექსანდრე მაისურაძე გუშინ, გვიან ღამითაც მოინახულეს სამართალდამცველებმა, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მასთან გასაუბრება კვლავ ვერ შეძლეს.

ალექსანდრე მაისურაძეს გუშინ, გვიან ღამით ეჭვმიტანილის სტატუსი მისცეს.

მომხდარი აფეთქების თაობაზე სამართალდამცველები, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა, რამდენიმე ვერსიის შესახებ თავად კანონდამცველებიც საუბრობენ.

შს მინისტრის ვარაუდით, აფეთქება, შესაძლებელია, პირად მოტივებს ან გიგანის საქმიანობას უკავშირდებოდეს. კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ მაისურაძეს გიგანთან პირადი ნაცნობობა აკავშირებდა.

ბესო გელაშვილის ფოტო

*აფეთქებულ მანქანასთან ექსპერტები მუშაობენ.*

*ეჭვმიტანილი ალექსანდრე მაისურაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს.*

ბიზნესის გამო მომხდარი დაპირისპირების ვერსიაზე საუბრობენ ჯონი გიგანის ახლობლებიც. გავრცელებული ინფორმაციით, ჯონი გიგანი და საშა მაისურაძე ერთ-ერთ ბიზნესში (საუბარია კაზინო "ოსკარის" შესახებ) მონილეები იყვნენ. შემდგომ ურთიერთობა დაეძაბათ, გიგანმა მაისურაძის საქმიდან გაშვება მოინდომა.

კანონდამცველები კიდევ ერთ ვერსიაზე მუშაობენ. საუბარია წლების წინ მოკლული "კანონიერი ქურდის" მკვლელობაზე. "საულას" მკვლელობასთან სწორედ ჯონი გიგანის სახელი დაკავშირდა. ამიტომაც, ამ ვერსიით აფეთქების ფაქტი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს უკავშირდება და, შესაბამისად, შურისძიებაც არ გამოირიცხება. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე წლის წინ ჯონი გიგანი კრიმინალური ავტორიტეტის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, პროკურატურა ამ ვერსიაზე ნამდვილად მუშაობს. **"აღნიშნული საქმე სულ რამდენიმე წუთის წინ ამოვწიეთ. ამ ეტაპზე ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ერთ-ერთი ავტორიტეტის მკვლელობის საქმე 1995 წელს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში დაიხურა,"** – განაცხადა ვალერი გრიგალაშვილმა და აღნიშნული საქმის დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევად მიიჩნია.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ საშა მაისურაძე პატარკაციშვილის დაცვის სამსახურის უფროსი იყო. **"ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ, მაისურაძე ბადრი პატარკაციშვილის დაცვის უფროსი კი არა, დაცვის წევრიც კი არ არის. შესაძლოა, ის ჩვენს ჰოლდინგში ვინმესთან თანამშრომლობდა, მაგრამ პირადად პატარკაციშვილთან მას არანაირი სამსახურებრივი ურთიერთობა არ ჰქონია. ჰოლდინგში 3 ათასი ადამიანი მუშაობს, გაერთიანებულია რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთაც ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული როგორც სახელმწიფო დაცვის სამსახურებთან, ასევე კერძო დაცვასთანაც. შესაძლოა, იგი რომელიმე კონტრაქტორს წარმოადგენს,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ბადრი პატარკაციშვილის პრეს-მდივანმა გუგა კვიტაშვილმა.

თავდასხმის ობიექტი ჯონი გიგანი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია, ვინ შეუკვეთა ტერაქტი, მისივე თქმით, ალექსანდრე მაისურაძე მხოლოდ შემსრულებელია. **"თუ ვინ დგას ამ აფეთქების უკან, პოლიციამ უნდა გაარკვიოს,"** - განაცხადა მან.

საშა მაისურაძე ყოფილი "კაგებეშნიკია". კგბ-ში მუშაობა მან ინაურის დროს დაიწყო. ბოლოს მუშაობდა უშიშროების სამსახურის ოპერატიული-ტექნიკური სამმართველოს უფროსად. სწორედ ეს სამმართველო აწარმოებდა ფარულ მოსმენებს, დივერსიული და ტერორისტული აქტების საქმეების გამოძიებას. ალექსანდრე მაისურაძე ცოტა ხნით შსსში საქმიანობდა, ხოლო ჯემალ გახოკიძის უშიშროების სამინისტროში მინისტრად მისვლისას კვლავ ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს უფროსად დაბრუნდა, შემდეგ კი ვახტანგ ქუთათელაძის კონსულტანტის თანამდებობა ეკავა. ახალმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ იგი პენსიაზე გაუშვა. არსებული ინფორმაციით, ინაურის დროს ალექსანდრე მაისურაძეს საკმაოდ სერიოზული ოპერაციები აქვს ჩატარებული, იგი ახლო აღმოსავლეთის საბჭოთა საელჩოებში სპეცსამსახურების მიერ იყო წარგზავნილი.

უშიშროების სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ ალექსანდრე მაისურაძე ბიზნესით დაკავდა. "აბსოლუტ-ბანკის" ვიცე-პრეზიდენტმა, ბანკის გაკოტრების შემდეგ, კერძო დაცვის სამსახური შექმნა და ბოლო პერიოდში ამ საქმეს უძღვებოდა.

# ადვოკატები კოლეგის ცემის გამო რივიან

*გუშინ საადვოკატო კანტორაში - "ეკა და კომპანია" შეკრებილმა ადვოკატებმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა კატეგორიულად მოითხოვეს ვაკე-საბურთალოს რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის ზურაბ ბაქრაძის სამაგალითოდ დასჯა. ადამიანის უფლებათა დამცველები მას ადვოკატ ცეზარ ფუტკარაძის ცემას აბრალებენ.*

სოფიკო რხაიძე

**"პოლიცია ისეა გათავხედებული, რომ ჩვენ, ადვოკატებს, თავდაცვით პოზიციაში ყოფნა გვიწევს. თუ აქამდე მათთვის დაკავებულთა ცემა-წამება იყო ჩვეულებრივი მოვლენა, ახლა საკუთარ მეთოდებს ადვოკატების წინააღმდეგ იყენებენ"**, - ამბობდნენ პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, გუშინ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

თავად დაზარალებული ადვოკატის ცეზარ ფუტკარაძის თქმით, 5 მაისს დაცვის ორდერით აღჭურვილი მივიდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს შენობაში, რათა მანქანის გატაცებაში ორი ეჭვმიტანილის – სვანიძისა და ცაგურიას უფლებები დაეცვა.

**"სვანიძე, ცაგურია და გრეგორიანი წინა დღეს დაეკავეს. მე საქმეში მოგვიანებით უნდა ჩავრთულიყავი, -** ჰყვება ადვოკატი ცეზარ ფუტკარაძე, **- განყოფილებაში რომ მივედი, კრიმინალური პოლიციის უფროსი ზურა ბაქრაძე შემხვდა. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული; მან კი მითხრა, რომ სვანიძე და ცაგურია მათთან აღარ არიან. მოგვიანებით შემთხვევით შევიხედე სწორედ მის კაბინეტში და ვხედავ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთ გამომძიებელი უტარებს დაკითხვას სახაზინო ადვოკატის თანდასწრებით. მე შევედი და დაცვის ორდერი წარვადგინე. დაკავებულებს აშკარად ეტყობოდათ, რომ დამუშავებულნი იყვნენ და ისე სძალავდნენ აღიარებით ჩვენებას. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ერთ-ერთმა, გრეგორიანმა, საგამოძიებო მოქმედებების დროს ვენები გადაიჭრა. ჩემს მერე კაბინეტში ბაქრაძე შემოვიდა – არ ესიამოვნა, გადამწყვეტ მომენტში რომ მივუსწარი და ოთახიდან გასვლა მომთხოვა. მე, ცხადია, არ დავემორჩილე. მაშინ ბაქრაძემ ძალის გამოყენებით სცადა კაბინეტიდან ჩემი განდევნა. მარტო რომ ვერ მოახერხა, მას სხვა თანამშრომლებიც შეუერთდნენ. გასასვლელ კარამდე მდიეს, მირტყამდნენ. ბოლოს კარებთან ხელი მკრეს და მიწას დამახეთქეს".**

ადვოკატის თქმით, ის მხოლოდ ორი საათის შემდეგ შეუშვეს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პატიმრებთან, როცა ყველა საგამოძიებო მოქმედება მათთან ჩატარებული იყო და აღიარებითი ჩვენებაც უპრობლემოდ გამოეძალათ. საადვოკატო კომპანიის ხელმძღვანელის ეკა ბესელიას თქმით, ერთადერთი რეაქცია, რაც მომხდარზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსს გოგი ნებიერიძეს ჰქონდა, ეს გახლდათ აღშფოთება იმის გამო, რომ გვიან, ღამით, ადვოკატი საერთოდ შეუშვეს პოლიციის შენობაში.

**"რა უნდოდა ადვოკატს შუაღამისას შენობაში"**, - იმეორებს გოგი ნებიერიძის სიტყვებს ეკა ბესელია და ამბობს, რომ მას ხელთ აქვს პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნივთმტკიცება – ცეზარ ფუტკარაძის სისხლიანი ტანსაცმელი.

**"პოლიციის მაღალჩინოსნები შემპირდნენ, რომ ზურაბ ბაქრაძეს ადმინისტრაციული წესით მკაცრად დასჯიან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და დამნაშავის უმკაცრესად დასჯას ვითხოვთ"**, - ამბობს ეკა ბესელია.

რაც შეეხება ვაკე-საბურთალოს კრიმინალური პოლიციის უფროსს ზურაბ ბაქრაძეს, ის, ცხადია, კატეგორიულად უარყოფს ადვოკატის ცემას.

**"ცეზარ ფუტკარაძეს ძალიან კარგად ვიცნობ,** - ამბობს ზურაბ ბაქრაძე, - **5 მაისს, ღამით, ის მართლაც მოვიდა და წარმომიდგინა დაცვის ორდერი, რომელიც გამოწერილი იყო 29 აპრილს ვინმე ბუცხრიკიძესა და აბაშიძეზე. მე ვუთხარი, რომ ეს ხალხი ჩვენ არ გვყავს დაკავებული. მთხოვდა კიდეც, ეს ორდერი დამებრუნებინა, მაგრამ შევინახე და ვთხოვე კაბინეტიდან გასვლა. რომ გავიდა, ზუსტად ამ დროს განყოფილებიდან საავადმყოფოში მიჰყავდათ ვენებგადაჭრილი გრიგორიანი. ის გადაუდგა პოლიციელებს და დაიწყო ყვირილი – აი, როგორ აწამებენ ხალხსო. ჩვენი თანამშრომლები სთხოვდნენ, რომ ხელი არ შეეშალა დაჭრილის გადაყვანაში; ის კი მათ გზას არ აძლევდა და გრიგორიანს ეკვროდა, ამიტომ არის მის ტანსაცმელზე სისხლი. იქნებ, შეხლა-შემოხლაში კიდეც დაეცა, ზუსტად არ ვიცი. ერთი, რაც ჩემთვის დანამდვილებითაა ცნობილი, ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ ფუტკარაძემ მართლაც მოიტანა ცაგურიასა და სვანიძის დაცვის ორდერი, მაგრამ დაკავებულები უკვე ქალაქის პოლიციის სამმართველოში იყვნენ გადაყვანილნი".**

როგორც შევიტყვეთ, ადვოკატების საჩივრის გამო უკვე დაიწყო სამსახურებრივი მოკვლევა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ.

# კიდევ ერთი ფიზიკური ანგარიშსწორება სახელისუფლებო ორგანოებში

საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოების შენობები ქუჩური გარჩევებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებს ემსგავსება. ამჯერად თავი გაუტეხეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ომარ გოგიას.

როგორც შევიტყვეთ, გოგიას "იმელის" შენობაში, სადაც აფხაზეთის უზენაესი საბჭოა შეხიზნული, საკუთარ კაბინეტში შეუვარდა რამდენიმე მამაკაცი, გოგიას თქმით – უცნობები. ისინი ეძგერნენ მას და სკამი ჩაარტყეს თავში. თავდაცვის მიზნით, ომარ გოგიამ საკუთარი სატაბელო იარაღიდან ერთხელ გაისროლა და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთ-ერთი თავდამსხმელი დაჭრა.

თავგატეხილი ომარ გოგია ქალაქის მე-9 საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმ რევაზ ბესელიას თქმით, მას თავის არეში მსუბუქი დაჟეჟილობები აღენიშნება. 7-8-სანტიმეტრიან ჭრილობაზე კი რამდენიმე ნაკერი დაადეს. ავადმყოფის მდგომარეობა გუშინ საღამოსთვის ნორმალური გახლდათ. იგი პროფილაქტიკის მიზნით, მცირე ხნით მოათავსეს საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში.

თავად გოგია მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებს.

სამაგიეროდ, მომხდარის შესახებ საუბრობს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. მისი თქმით, **"კარგად დაცულ "იმელის" შენობაში თავდამსხმელები გოგიას მიპატიჟებით შევიდნენ. საშვი სწორედ მან დაუშვა"**. ნადარეიშვილი გამორიცხავს ინციდენტის კავშირს აფხაზეთის ლეგიტიმური ორგანოების მუშაობასთან.

**"ეს ინციდენტი არც უნდა იყოს გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რაც ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ხდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში"**, - საკუთარი ორგანოს პრესტიჟს იცავს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელთა შორის იყო ვინმე ჟორჟოლიანი. თუმცა, მთაწმინდა-კრწანისის პროკურორის თანაშემწე გივი პაპუაშვილი, რომელიც თავად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. მისი თქმით, მოკვლევის ჩატარება მხოლოდ ახლა დაიწყო და ეჭვმიტანილები არ ჰყავთ. ნადარეიშვილისგან განსხვავებით, ის იხრება აზრისკენ, რომ ინციდენტის მიზეზი ომარ გოგიას საქმიანობა უნდა გამხდარიყო. თუმცა, არ აკონკრეტებს, რა საქმიანობაზეა საუბარი. ჩვენი ინფორმაციით კი, ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ომარ გოგია კარგა ხნის მანძილზე მოსკოვში მოღვაწეობდა. მისი კერძო ფირმა საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტით იყო დაკავებული. ერთ-ერთი, ჩვენს ხელთ არსებული ვერსიით, ამ თავდასხმას შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს გოგიას მაშინდელ ბიზნესთან.

პაპუაშვილის თქმით, მოკვლევის მასალების გაანალიზების შემდეგ გადაწყდება, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მომხდარს და აღიძრას თუ არა სისხლის სამართლის საქმე.

**"ჩვენ შევამოწმებთ იმ პირთა ვინაობას, ვიზეც გუშინ გოგიამ შენობაში შესასვლელი საშვი დაუშვა. ბოლოს და ბოლოს ისიც გასარკვევია, მის კაბინეტში შეჭრა ნამდვილად განხორციელდა თუ რაიმე სხვა სიტუაციას ჰქონდა ადგილი"**, - ამბობს გივი პაპუაშვილი.

*"24 საათი"*

# „ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოს პანკისზე მეტად აფხაზეთიდან ემუქრება"

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გუშინ დატვირთული დღე ჰქონდა. იგი გლობალური ტერორიზმის პრობლემის განხილვით იყო დაკავებული. "დიდი რვიანის" სახელმწიფოთა შეხვედრაზე საფრანგეთის შს მინისტრის ნიკოლ სარკოზის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას, რომ შესაძლოა "ალ ქაიდას" ბაზები ჩეჩნეთსა და საქართველოში იყოს გადმოტანილი, კობა ნარჩემაშვილი გამოეხმაურა. ქართველმა მინისტრმა რუსეთის შს მინისტრის განცხადებასაც უპასუხა.*

ინგა ალავიძე

საქმე ისაა, რომ პარიზის შეხვედრაზე ბორის გრიზლოვმა განაცხადა: **"ერთი კვირის წინ, თბილისში, დსთ-ს ქვეყნების შს მინისტრების შეხვედრაზე ვიყავი, სადაც ქართულმა მხარემ დაადასტურა, რომ ტერორისტები ამჟამად პანკისის ხეობაში იმყოფებიან"**.

კობა ნარჩემაშვილი ბორის გრიზლოვის ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ პანკისის ხეობაში "ალ ქაიდას" ტერორისტები არ არიან.

**"დსთ-ს ქვეყნების შს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ პანკისის ხეობა პრაქტიკულად გაწმენდილია ბოევიკებისა და კრიმინალების შეიარაღებული ჯგუფებისაგან. თუმცა, იქ ამჟამად იმალება რამდენიმე ბოროტმოქმედი და მიმდინარეობს სათანადო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათი დაკავებისთვის,"** – განაცხადა შს მინისტრმა. მისი თქმით, პანკისის ხეობის ყველა სოფელი კარგად კონტროლდება და დღეისთვის იქ აბსოლუტური სიმშვიდეა.

კობა ნარჩემაშვილმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა პანკისის ხეობაში დაწყებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას ჩაშლა ემუქრება. **"ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება პანკისის ხეობაში არ ითხოვს იმ სახსრებს, რასაც ადრე ითხოვდა. ოპერაცია პანკისში პერმანენტულად ტარდება, ვინაიდან იქ ჯერ კიდევ არიან ცალკეული დამნაშავეები. საერთოდ კი, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია გაგრძელდება მანამდე, სანამ იარსებებს რუსულ-ჩეჩნური პრობლემა,"** - განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

საქართველოს შს მინისტრი ფრანგი კოლეგის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ძალიან გაკვირვებულია და მისთვის უცნობია, თუ რა საფუძველი ჰქონდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, როცა საქართველოში "ალ ქაიდას" ბაზების შესაძლო ყოფნის შესახებ საუბრობდა. **"ჩვენ არ ვიცით, რის საფუძველზე აკეთებს ამგვარ განცხადებას საფრანგეთის შს მინისტრი; მაგრამ ვფიქრობთ, რომ უპრიანი იქნებოდა, ქართველ კოლეგებთან გამართულიყო წინასწარი კონსულტაციები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რათა არ მომხდარიყო მსოფლიო საზოგადოების დეზინფორმირება,"** – ამბობს კობა ნარჩემაშვილი. ნიკოლ სარკოზის განცხადების გამო კობა ნარჩემაშვილი უახლოეს დღეებში საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩს მირეი მიუსოს შეხვდება და ყველა დეტალის დაზუსტებას შეეცდება. შს მინისტრი აპირებს, რომ საფრანგეთის ელჩის მირეი მიუსოს მეშვეობით დაუკავშირდეს ფრანგ კოლეგას და მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია პანკისის ხეობაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

**"შევეცდები, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი დავარწმუნო, რომ პანკისის ხეობაში ვითარება სტაბილურია და იქ ტერორიზმის არანაირი საფრთხე არ არსებობს. ხეობის შედარება ჩეჩნეთსა და ავღანეთთან არ შეიძლება,"** – აცხადებს კობა ნარჩემაშვილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი მსოფლიო თანამეგობრობისათვის ტერორიზმის საფრთხეს საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ზონაში - აფხაზეთში ხედავს და არა პანკისის ხეობაში. **"ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოს აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიიდან უფრო ემუქრება. პანკისის ხეობა საფრთხობელად გადააქციეს, თუმცა არავინ საუბრობს აფხაზეთში, კონკრეტულად - ტყვარჩელის რაიონსა და ეშერაში არსებულ საგანგაშო სიტუაციაზე, საიდანაც რეალური საფრთხე მოდის."**

# ჩეჩენ ვატიმართა პროცესი კვლავ გადაიდო

თვეების მანძილზე მიმდინარე სასამართლო პროცესი, რომელზეც ზაფხულში, გირევის საგუშაგოზე დაკავებულ ჩეჩენ ტუსაღთა რუსეთში ექსტრადიციის საკითხი უნდა გადაწყდეს, კვლავ გადაიდო.

უზენაესმა სასამართლომ პროცესი გუშინ 15 მაისისათვის გადადო.

გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის საკონსულოდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი დაკავებულის - ბეკხამ მუკოევის საიდენტიფიკაციო მასალები ყალბია. რუსეთის მხარის მტკიცებით, ჩეჩნეთში ამ სახელზე პასპორტი არ გაცემულა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, რუსტამ ელიხაჯიევის ნამდვილი სახელი და გვარია ბექხან მულკოევი, რომელიც რუსეთის გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული მასალების საფუძველზე ბრალდებულია საკმაოდ მძიმე დანაშაულებში და ამიტომაც რუსეთში ექსტრადიციას ექვემდებარება.

შეგახსენებთ, რომ სამი ჩეჩენი, ათ სხვა ჩეჩენთან ერთად, საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევის გამო გასული წლის აგვისტოში, გირევის საგუშაგოსთან დააკავეს. მათგან 5 ბრალდებული ჩეჩენი თვეების წინ გადაეცათ რუს სამართალდამცველებს, ხოლო 3, როგორც საქართველოს მოქალაქეები, თბილისის საოლქო სასამართლომ გაასამართლა.

# გაიხსნა 4 თვის წინ მომხდარი მკვლელობა

ქვემო ქართლის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა 4 თვის წინათ ჩადენილი დანაშაული გახსნეს.

ქალაქ ბოლნისში, აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრებმა თემურ თეთრაძემ 3 იანვარს, ნასვამ მდგომარეობაში ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ცულის თავში ჩარტყმით მოკლა მამა, 69 წლის გიორგი თეთრაძე. იმავე ღამეს მან მოკლული ცხედარი საბანში გაახვია და კილომეტრის დაშორებით, მდინარე მაშავერას ხეობაში გადაიტანა, შემდეგ ერთ-ერთი ორგანიზაციის კუთვნილი ტრაქტორით მიწა ამოთხარა და დამარხა.

ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, 17 მარტს, მან დედის - ანიკო თეთრაძის სახელით ბოლნისის პოლიციაში მამის უგზოუკვლოდ დაკარგვის თაობაზე განცხადება შეიტანა. სამართალდამცველები გიორგი თეთრაძეს მთელი საქართველოს მასშტაბით ეძებდნენ. ოჯახის წევრები პოლიციის მიმართ პრეტენზიებსაც გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ ადამიანის პოვნის საქმეში.

რამდენიმე დღის წინათ, ქვემო ქართლის სისხლის სამართლის სამძებროში მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია გიორგი თეთრაძის მკვლელობის შესახებ. ამის შემდეგ დაიკითხა მისი შვილი თემურ თეთრაძე, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული. ამოღებულია იარაღი, რომლითაც თეთრაძემ მკვლელობა ჩაიდინა. მომხდარს ბოლნისის პროკურატურა იძიებს.

არსებობს ეჭვი, რომ დანაშაულის მოწმე იყო თეთრაძის დედა, რომელიც ამას უარყოფს. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტთან იუსტიციის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც ფიცი დადო შვიდმა მოსამართლემ. პრეზიდენტთან ფიცის დადების შემდეგ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებად დაინიშნენ მერაბ კოზმავა და ზაზა ხაჟალია, ვანის რაიონის სასამართლოში - იუზა ბუცხრიკიძე, ონის რაიონულ სასამართლოში - ლევან მაისურაძე, ხოლო ასპინძის, ზუგდიდისა და ხარაგაულის რაიონების სასამართლოებში დაინიშნებიან: გიორგი ლონდარიძე, ჯეირან მორგოშია და პაატა ქათამაძე. მოსამართლეები სამოსამართლეო სწავლების ცენტრში სპეციალურ სწავლებას გაივლიან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან მოვალეობის შესრულებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** ქართველმა სამართალდამცველებმა დიდი ლიახვის ხეობის სოფელ თამარაშენში ოთხი ქართველის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ თვითგამოცხადებული ოსური ხელისუფლება გამოძიების საქმეში აქტიურად ჩაებმება, რაზეც ოსური მხარის საგარეო უწყებამ განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებით, დიდი ლიახვის ხეობის საქართველოს კონტროლის ქვეშ ყოფნა დროებითი მოვლენაა და აქედან გამომდინარე, ოსური მხარე თავად არის დაინტერესებული ამ ტერიტორიაზე სიტუაციის მოწესრიგებით. ამ პოზიციასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთის რაიონის სოფელ ნარეკვავთან ავტომანქანა „მერსედესი", რომელსაც მართავდა მფლობელი, დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში მცხოვრები, 32 წლის მამუკა ნათელაშვილი დაეჯახა თბილისში მცხოვრებ, 44 წლის ზურაბ ბედიაშვილს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

# ქართულ „კონდორს" ორჯერ შეეკვეცა ფრთები

## ...და მაინც, პროექტი ცოცხლობს და ახალ პარტნიორს ელოდება

საქართველოში მსუბუქი ავტომობილების მრეწველობა არასოდეს გვქონია და ალბათ კარგა ხანს არც გვექნება. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ინდუსტრიის ფლაგმან სფეროში მოღვაწეობის მსურველ ნიჭიერ ქართველებს არ ელირსებათ საკუთარი უნარის აქვე გამოვლენის საშუალება.

ჩვენში მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ და რაც მთავარია, ხელეწიფებათ მცირე სერიით, ან თუნდაც შეკვეთებით ავტომობილების დამზადება და თანაც ისეთი ავტომობილებისა, რომლებზეც არც უცხოელი, ნაირ-ნაირი მაღალი კლასის ავტომობილებით განებივრებული ავტომოყვარულები იტყოდნენ უარს.

დღეს ჩვენს მკითხველს ორ ასეთ ადამიანს გავაცნობთ - ელგუჯა სტეფანიშვილი და გოჩა ქსოვრელი თვითნასწავლი დიზაინერები კი არიან, მაგრამ მათი ტექნიკა ისეთივე დახვეწილია, როგორც გამოცდილი დიზაინერებისა, იდეების მრავალფეროვნებასა და სიმრავლეში კი ბევრ დასავლელ სპეციალისტსაც მისცემენ ფორას და ვინ იცის, მათი ნამუშევრების სპეციალურ კონკურსებში გატანა-წარდგენის საშუალება რომ არსებობდეს, იქნებ...

ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს, რამეთუ გოჩამ და ელგუჯამ დიდი ხანია, დაიწყეს საკუთარი ერთობლივი ნააზრევის ხორცშესხმა. ეს არის პროექტი სახელად „კონდორი", რომელიც მაღალი კლასის ავტომობილის შექმნას და მის შესაძლო წარმოებას ითვალისწინებს.

სანამ უშუალოდ „კონდორზე" გეტყოდეთ რამეს, ჯერ ამ ორ ადამიანს გაგაცნობთ. ელგუჯა და გოჩა ავტომობილებზე შეყვარებულები არიან. უფრო სწორედ, ისინი კარგა ხნის წინ საავტომობილო დიზაინმა გაიტაცა და ამ გატაცებამ ბევრი სწავლისა და ძიების შემდეგ საკუთარი დიზაინის მქონე მანქანის შექმნის იდეამდე მიიყვანა.

ერთი შეხედვით ამას ბევრი ნაცარქექიობად ჩათვლის და თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს მათი იდეები ახლაც წყლის ნაყვად მიაჩნია, მაგრამ როცა სკეპტიკოსები მათი შრომის შედეგს ხედავენ, საკითხისადმი მათი ზერელე დამოკიდებულება დაინტერესებით იცვლება. ჰოდა, იბადება კითხვები - რამდენი ეღირება ეს მანქანა? რისი ძრავი ექნება? რამდენი ექნება სიჩქარე?...

ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ალბათ უპრიანი იქნებოდა, გვეთქვა, რა საფუძველი არსებობს ბაზარზე „კონდორის" გამოჩენისთვის, საერთოდ, აქვს თუ არა აზრი მის წარმოებას და თუ აქვს, ვინ იყიდის ამ ელეგანტურსა და მართლაც საინტერესო გარეგნობის ავტომობილს, რომელიც პირველ რიგში იმ ადამიანებს მიიზიდავს, რომლებიც ყველგან და ყველაფერში ცდილობენ საკუთარი ინდივიდუალურობის ხაზგასმას.

მაშ ასე, რა შანსი აქვს „კონდორს" ბაზარზე? პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს ავტომობილი, თუ რა თქმა უნდა, მისით რომელიმე დიდი კომპანია არ დაინტერესდა, არასგზით არ იქნება სერიული. ამიტომ, იგი იმავე ტექნოლოგიით დამზადდება, რომელიც გამოიყენება ეგრეთწოდებული სუპერავტომობილების წარმოებაში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაზისად გამოყენებულ იქნება შესაბამისი გაბარიტების მქონე რომელიმე სერიული ავტომობილი. სტეფანიშვილმა და ქსოვრელმა ასეთად „მერსედეს-ბენცის" S-კლასის ავტომობილის პლატფორმა (W126) შეიგულეს და სწორედ მისი ძირითადი ზომების მიხედვით დაიწყეს „კონდორის" დიზაინზე მუშაობა.

მთავარი ისაა, ეყოლება თუ არა ამ ავტომობილს მყიდველი. ამ თემის განსავრცობად მცირე გადახვევა დაგვჭირდება: დღეისათვის მსოფლიო საავტომობილო ინდუსტრიაში რეტროსტილისკენ ლტოლვა შეინიშნება და თუ ეს ლტოლვა მასიური არაა, ცალკეული მსხვილმასშტაბიანი გამოვლინებები მაინც გააჩნია, რისი მაგალითებიცაა „პლიმუტ პროულერი" (ამ სტილის პიონერია), „კრაისლერ PT კრუიზერი", ახალი „მინი", „ფოლკსვაგენის" ახალი ხოჭო, „ფორდ მუსტანგი" და ა.შ.

არის კიდევ რამდენიმე საინტერესო დიზაინერული ნამუშევარი, რომელთაგან ყველაზე პერსპექტიულად „ბიუიკ ბლექჰოუქი" მოსჩანს. ეს ავტომობილი „ჯენერალ მოტორსის" პრესტიჟულობით მეორე მარკის (ბიუიკი) 40-50-60-იანი წლების პოპულარული მოდელების ერთგვარი გამოძახილია და როგორც ამბობენ, ორ-სამ წელიწადში შეიძლება კონვეიერამდე მიაღწიოს. „გენერლები" ახლა დიდ რეორგანიზაციას აპირებენ, რისი ერთ-ერთი მიზანიც „ბიუიკისთვის" პოპულარობის დაბრუნებაა. ჰოდა, „ბლექჰოუქის" (შავი ქორი) დახვეწილი რეტრო-დიზაინი სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მარკისადმი მყიდველის ყურადღება მიაპყროს.

„ბლექჰოუქი" იმითაცაა გამორჩეული, რომ ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილ (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, ნახევრად შექმნილ) „კონდორს" ჰგავს. სხვა თუ არაფერი, ორივეს მტაცებელი ფრინველის სახელი აქვს. ამერიკული „შორეული ნათესავისგან" განსხვავებით, „კონდორს" კონვეიერზე დადგომის არავითარი პრეტენზია (ჯერჯერობით მაინც) არ გააჩნია.

სამაგიეროდ, თავისუფლად შეუძლია დამკვიდრდეს ბაზრის ახალ ნიშაში, რომელსაც ექსკლუზიური ავტომობილების სეგმენტი ეწოდება. ასეთი წარმოების ტექნოლოგია იმდენად მოქნილია, რომ თავისუფლად შეიძლება ერთი სკულპტურის ბაზაზე რამდენიმე, განსხვავებული გარეგნობის ავტომობილის დამზადება, რაც საბოლოო პროდუქტის ინდივიდუალურობას უზრუნველყოფს.

ასეთ ავტომობილს ყველგან მოეძებნება საკმაო რაოდენობის მუშტარი - ინგლისელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მსოფლიოში ექსკლუზიური ავტომობილების ბაზარი ყოველწლიურად ათი პროცენტით იზრდება და არაა გამორიცხული, რომ ამ სეგმენტს მალე დიდი ავტოკომპანიებიც სერიოზულად მოეკიდონ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქსოვრელსა და სტეფანიშვილს მზარდ ბაზარზე მოუწევთ მოღვაწეობა, რაც მათ მიერ წამოწყებულ საქმეს კარგ პერსპექტივას უქმნის.

### მოულოდნელი დასაწყისი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სტეფანიშვილს ამერიკიდან დაბრუნებული ძველი მეგობარი ეწვია, რომელმაც, იხილა რა დიზაინერის ესკიზები (ასეთი მას მრავლად აქვს), აღფრთოვანებულმა შესთავაზა საქმეზე დაუყოვნებლივ ხელის მოკიდება, რაშიც პარტნიორობა (დაფინანსება, შეკვეთების მიღება და პროდუქციის რეალიზაცია) შესთავაზა. მათი გეგმით, გასაღების ძირითადი ბაზარი აშშ უნდა გამხდარიყო, რაშიც სტეფანიშვილის პარტნიორს ოკეანისგაღმურ შოუ-ბიზნესში მოღვაწე საკუთარი ძმის შემწეობის იმედი ჰქონდა.

სწორედ ეს იყო ბიძგი, რომელმაც ქართველ თვითნასწავლ დიზაინერებს „კონდორზე" (მაშინ პროექტს, ავტომობილის მოკაუჭებული ცხვირის ხათრით, „მიმინო" ერქვა, მაგრამ ამერიკული ბაზრის „ხათრით", მას კორდილიერული მტაცებლის სახელი ეწოდა) მუშაობა. ესკიზები მალე იქცა მუშა-ნახაზებად და გოჩა და ელგუჯა რამდენიმე კვირის შემდეგ „კონდორის" სკულპტურის შექმნასაც შეუდგნენ.

სამწუხაროდ, სანამ მომავალი ავტომობილის გარეგნობა გამოიკვეთებოდა, მანამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - სტეფანიშვილისა და ქსოვრელის პარტნიორს დიდი ფინანსური პრობლემები შეექმნა და ბუნებრივია, საქმიდან გავიდა. დაწყებული სამუშაოს შუა გზაში მიტოვება აღარ გამოდიოდა და მათაც მშრალი ენთუზიაზმის ხარჯზე გაგრძელეს საქმე.

მუშაობის დროს ავტომობილით დაინტერესება უამრავმა ადამიანმა გამოთქვა. სკულპტურა ეგრეთ წოდებულ „აკადემიის ავტოსახელოსნოში" იქმნებოდა, იქ სადაც, დღეს უკვე უზარმაზარი საცხოვრებელი სახლია წამოჭიმული. ამიტომ, სახელოსნოში ბევრი ავტომოყვარული იყრიდა თავს და მათგან ყოველი მეორე (რა თქმა უნდა, შეძლებული) გამოთქვამდა ასეთი ავტომობილის შეძენის სურვილს. თუმცა, ეს საქმეს ბევრი ვერაფრით სწევდა წინ და ელგუჯა და გოჩა უკვე ფიქრობდნენ კიდეც პროექტის გაყინვას.

ზუსტად ამ დროს გამოჩნდა ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელმაც პროექტის ფინანსური დახმარება იკისრა. ისინი თავის თავზე იღებდნენ სამუშაოების დასრულებამდე საწარმოო ფართობითა და ფულით უზრუნველყოფას. შემდეგ კი, პროექტის პერსპექტიულობიდან გამომდინარე, ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე, პარიტეტულ საწყისებზე საქმეში შესვლის უფლებას იტოვებდნენ.

ნავარაუდები იყო დასრულებული მოდელის ჟენევის ავტოსალონზე გატანა, სადაც „კონდორს" სპეციალისტთა და ავტომწარმოებელი კომპანიების ყურადღების მიპყრობის რეალური შანსი ექნებოდა. რაც მთავარია, გოჩა ქსოვრელი და ელგუჯა სტეფანიშვილი შეძლებდნენ საკუთარი უნარის საერთაშორისო არენაზე გამოვლენას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და უცხოური კომპანიების მხრიდან შეკვეთების მიღების რეალურ პერსპექტივას ქმნის.

წარმოიქმნებოდა იმის საფუძველი, რომ საქართველოში დაარსებულიყო „პინინფარინას", „ბერტონეს", „იტალდიზაინ-ჯუჯაროსა" და მათი მსგავსი დიზაინ-სტუდია, რომელიც გარდა იმისა, რომ საკუთარი იდეით დაამზადებს ავტომობილებს, იმის უნარიც ექნება, რომ მსხვილი ავტოკომპანიების შეკვეთები მიიღოს. ეს რეალობაა და საწყენი იქნება, თუ იგი ჩვენს ენთუზიასტებს გვერდზე ჩაუვლის ისე, რომ მათ საკუთარი უნარის ბოლომდე რეალიზება ვერ შეძლონ.

ასეა, რამეთუ მეორე კომპანიონსაც მალე ფულადი სახსრები სხვა პროექტისთვის დასჭირდა. ამის მიუხედავად, მათ ქალაქგარეთ მდებარე საწარმოო ფართი მაინც დაუტოვეს სტეფანიშვილსა და ქსოვრელს. თანაც ისე, რომ მათგან არავითარ გადასახადს არ ითხოვდნენ. თუმცა, მოგვიანებით ამ საწარმოს გაყიდვაც მოუხდათ, რის გამოც გამზადებული მატრიცები სასწრაფოდ იქნა გადმოტანილი ელგუჯასა და გოჩას სამუშაო ადგილზე - საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ავტოსახელოსნოში.

პარალელურად, სანამ „კონდორზე" მუშაობა შეჩერებულია, გოჩა ქსოვრელი ცალკე პროექტზეც მუშაობდა. ესაა სპორტული, ორადგილიანი ავტომობილი, რომელიც თავისი მონაცემებით ინგლისური კომპანია „ლოტუსის" პოპულარულ მოდელ „ელისის" კლასს განეკუთვნება და ასევე დიდი პერსპექტივა გააჩნია. თუმცა, დღეს მასზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებთ და „კონდორზე" თხრობას გავაგრძელებთ.

### ისევე, როგორც „ფერარი" და „ლამბორგინი"...

ისევე როგორც მცირე კომპანიების უმრავლესობას, ქსოვრელსა და სტეფანიშვილსაც „კონდორის" ძარის დასამზადებლად ძირითად მასალად შერჩეული აქვთ შუშა-კარბონისა და პოლიეთერული ფისების კომპოზიციური მასალა, ეგრეთ წოდებული კომპოზიტი, რომელსაც ფართოდ იყენებენ ისეთი ცნობილი ფირმები, როგორებიცაა „ფერარი", „ლამბორგინი" და მსგავსნი მათნი. ეგ კი არა, კომპოზიტების გარეშე საქმე აღარ კეთდება ფორმულა ერთში. არადა, ცნობილია, რომ სპორტის ეს სახეობა ავტოინდუსტრიის ყველაზე მაღალტექნოლოგიურ სფეროდ ითვლება და მასში დაკავებული კომპანიები, ისეთები, როგორებიცაა „მაკლარენი" და „ჯორდანი", კოსმოსურ პროექტებშიც კი მონაწილეობენ.

ჰოდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩვენმა დიზაინერებმაც მთავარ მასალად სწორედ კომპოზიტები შეარჩიეს, რომელზე მუშაობაც გაცილებით ადვილია, ვიდრე ლითონზე წვალება, მაგრამ ტოქსიკურობით გამოირჩევა და სამუშაო ადგილის მოწყობისადმი დიდ ყურადღებას მოითხოვს.

სამაგიეროდ, კომპოზიტებით დამზადებული ძარის ნაწილები გაცილებით მსუბუქია მეტალისაზე და ერთი-ორად მეტი სიხისტითაც გამოირჩევა. რაც ყველაზე მთავარია, შესაძლო ავარიის შემთხვევაში ასეთი დეტალები უფრო სრულად შთანთქავს დაჯახების ენერგიას და შესაბამისად, მეტადაც იცავს „თავის მგზავრებს". მოკლედ, კომპოზიტები მისწრებაა მცირე ავტოწარმოებისთვის და ამიტომაც გოჩამ და ელგუჯამ სწორედ მასზე შეაჩერეს არჩევანი.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რითი დამზადდებოდა სკულპტურა. საერთოდ, ამ საქმეში თაბაშირი გამოიყენება, მაგრამ ერთი რომ ის ძნელი დასამუშავებელია, მეორეც არც სიიაფით გამოირჩევა (სრულმასშტაბიანი მოდელის შესაქმნელად რამდენიმე ტონაა საჭირო). ჰოდა, ჩვენმა დიზაინერებმა არჩევანი ჩვეულებრივ სამშენებლო გაჯზე შეაჩერეს და როგორც მუშაობისას გაირკვა, ამაზე უკეთესს ვერ ინატრებდნენ.

გაჯის სიიაფე იმითაც გამოდგა მნიშვნელოვანი, რომ უსახსრობის პირობებში უფრო ადვილი იყო სკულპტურის დასრულება. ამასთან, ეს მასალა თაბაშირზე გაცილებით მალე შრება, რაც სამუშაოს შესრულების დროსაც ამცირებს.

მოკლედ, იმ სახსრებით, რაც გოჩამ და ელგუჯამ პარტნიორების პირველი (სამწუხაროდ, ერთადერთი) ტრანშით მიიღეს, საქმის მატრიცების ამოღებამდე მიყვანა მოხერხდა და უსახსრობის გამო მაშინვე გაიყინა.

დღეისათვის „კონდორი" და მისი ფრთაშეკვეცილი ავტორები მორიგი პარტნიორის დაინტერესებას ელიან, რათა თავიანთი ნამუშევარი ჟენევის მომავალი წლის (წლეულს, ფრანკფურტში აღარ მოესწრება) ავტოსალონისთვის მაინც მოამზადონ. არაა საჭირო მოძრავი ავტომობილის გამოფენაზე წაღება. ყურადღების მისაპყრობად მაკეტიც საკმარისია, როგორც ამას ხშირად აკეთებენ დიდი ავტოკომპანიები.



"კონდორის" ექსტერიერი და ინტერიერის ესკიზები



ასეთი იყო "კონდორის" შეღებილი სკულპტურა მატრიცების ამოღებამდე

"კონდორის" ოკეანისგაღმელი ნათესავი - "ბიუიკ ბლექჰოუქსი"

# მაშასადამე ევროპელების დღესასწაული



*ევროპის დღის აღმნიშვნელი პლაკატები წლების მიხედვით*

თამარ ბაბუაძე

9 მაისი ისტორიულ დღეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიულია; თანაც, მრავალმხრივ ისტორიული. ეს დღე "ბითლზის" თაყვანისმცემლებს ახსოვთ იმიტომ, რომ სწორედ 1962 წლის 9 მაისს ჯგუფმა პირველი კონტრაქტი გააფორმა ხმის ჩამწერ "პარლოფონთან"; ჯეიმს ბონდის თაყვანისმცემლებს ახსოვთ იმიტომ, რომ იმავე წლის 9 მაისს "ბონდიანას" პირველი ფილმი "დოქტორი No" გამოვიდა; ავსტრალიელები ამაყობენ იმით, რომ 1901 წლის 9 მაისს მელბურნში მათი პირველი პარლამენტი გაიხსნა; 9 მაისს ქუჩებში გამოდიოდნენ საბჭოთა მოქალაქეებიც და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას აღნიშნავდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, 9 მაისს ზეიმობენ უგანდელებიც, რადგან 1996 წელს, 16 წლიანი ინტერვალის შემდეგ, მათ ქვეყანაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

1985 წლიდან კი 9 მაისს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება: ამ თარიღს წითლად აღნიშნავენ ევროპაში დაბეჭდილ კალენდრებზე და იქვე უკეთებენ ისტორიულ განმარტებას – **"9 მაისი ევროპის დღეა"**. ასე გაჩნდა დღესასწაული, რომელმაც ზემოთჩამოთვლილი სხვადასხვა ჯურის ზეიმები ჩრდილში მოაქცია და მთელ ევროპას – "ბითლომანებსაც" და "ბონდომანებსაც" – ევროკავშირის დროშა ააფრიალებინა.

9 მაისი დაარსებისთანავე ევროკავშირთან და მის ღირებულებებთან გაიგივდა; ანუ, როგორც თავადაც მიხვდებოდით, 9 მაისი გახდა დემოკრატიის, "ევროკრატიის" (ასე მოიხსენიებდა ბროდსკი გაერთიანებული ევროპის ფასეულობებს), ერთიან ევროპულ სახლში ინტეგრაციის და ზოგადად, საერთო ევროპული პატრიოტიზმის ფენომენის სიმბოლო. ამ დღის აღნიშვნას ევროკავშირმა იგივე დატვირთვა მიანიჭა, როგორიც აქვს ევროკავშირის დროშას, ჰიმნსა და ევროს, რომლებიც, წესით, ევროპელებს თავიანთი კონტინენტისადმი სიამაყეს უნდა უღვივებდეს.

მას შემდეგ, რაც საქართველოც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა და გაჩნდა იმის იმედი, რომ ჩვენი ქვეყნის ევროპულობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, 9 მაისის აღნიშვნა საქართველოშიც დაიწყეს. პარალელურად, საქართველოს გაევროპელებას უცხოური საინფორმაციო სააგენტოებიც მიეჩვივნენ და "სი ენ ენი" ამინდის გვერდებში საქართველოს აზიური ქვეყნების ნუსხაში უკვე აღარ თვლიდა, ხოლო "ბი ბი სი", გუშინაც, საქართველოში მოსახლეობის აღრიცხვის შედეგებზე სწორედ ევროპული ახალი ამბების სექციაში წერდა.

ასე რომ, თუ დღეს ევროპა ევროპეიზმს ზეიმობს, ბუნებრივია, ზეიმს უნდა შეუერთდეს საქართველოც, როგორც ევროპული საზოგადოების უკვე ოფიციალურად აღიარებული ნაწილი.

თუმცა, ქართველებს დიდად არ უნდა შერცხვეთ, თუ ამ თარიღის შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობენ. ევროპის ერთ-ერთ ოფიციალურ საიტზე ხომ გულწრფელად აღიარებენ, რომ შესაძლოა, 9 მაისის წარმოშობის ამბავი არც ევროპელების უმრავლესობამ იცოდეს.

ამბავი კი ასეთია:

1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა შეკრიბა უცხოური მედია და წაუკითხა დეკლარაცია, რომელიც ისტორიაში შუმანის დეკლარაციის სახელით და ევროკავშირის შექმნის ბაზისად შევიდა. მოხსენებაში შუმანი მოუწოდებდა საფრანგეთს, გერმანიას და დანარჩენ ევროპულ ქვეყნებს, საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ გაეერთიანებინათ საკუთარი ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება, "როგორც ევროპული ფედერაციის საძირკველი".

შუმანი გულისხმობდა ზენაციონალური ევროპული ინსტიტუტის შექმნას, რომელიც კონტროლს გაუწევდა ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიას – სექტორს, რომელიც იმ ხანად სამხედრო ძალაუფლების სასიცოცხლო ძარღვს წარმოადგენდა.

ბუნებრივია, ეს განცხადება, მართლაც, ისტორიული გახლდათ, მით უფრო, თუ 1950 წლისთვის შექმნილ პოლიტიკურ ფონს გავითვალისწინებთ. მაშინ ხომ მესამე მსოფლიო ომის მოლოდინში ევროპას შიშითა და ძრწოლით ელანდებოდა უფრო მეტი სისხლი, ცეცხლი, ნგრევა და სიკვდილი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს იყო. სწორედ ამგვარ ფონზე შუმანმა გააკეთა ძალზე გაბედული განცხადება და გაერთიანებისკენ მოუწოდა იმ ქვეყნებს, რომლებმაც ერთმანეთის ჭამა სულ რამდენიმე ხნის წინ – ბერლინის აღებისას დაასრულეს.

ასე რომ, იმ "მრავალსართულიანი კომპლექსის" შენება, რომელსაც დღეს ევროპული სახლი ჰქვია, სწორედ 1950 წლის 9 მაისს, შუმანის დეკლარაციის გამოქვეყნებით დაიწყო. თუმცა, ეს დღე ოდნავ მოგვიანებით 1985 წელს "გაოფიციალურდა", როდესაც მილანის სამიტზე ევროკავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ 9 მაისი "ევროპის დღედ" გამოეცხადებინა.

დღეს, ერაყის ომის დასრულებისა და ამერიკასთან თუ საკუთარ თავთან ურთიერთობების გარკვევის ფონზე, ევროპას 9 მაისის აღნიშვნა კიდევ უფრო სჭირდება. ეს ის დღესასწაულია, რომელმაც ევროპელებს შინაგანი პოლიტიკური დაძაბულობის, ევროს, ემიგრაციის და გახსნილი საზღვრების გამო აწეწილი ნერვები უნდა დაუწყნაროს; ეს ის დღესასწაულია, რომელმაც ევროპელებს ომის შემდგომ მსოფლიოში საკუთარი ფუნქცია უნდა აპოვნინოს და ევროპული სახლისადმი რწმენა გაუმყაროს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფრაზაც, რომელიც 9 მაისთან დაკავშირებით ევროკავშირის ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა: "ევროპული ინტეგრაციის მიღწევა არც ერთი დღის ამბავია და მით უმეტეს, არც რამდენიმე ათწლეულის... პროექტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაიწყო, ჯერაც ძალიან ახალგაზრდაა... დღევანდელ დღეს სრულიად განსხვავებული ამბიცია უნდა ჰქონდეს: ვგულისხმობთ ისეთი ევროპის აშენებას, რომელშიც პატივს სცემენ თავისუფლებას და იმ ხალხებს, რომლებიც ევროპას წარმოადგენენ. მხოლოდ ამ ხალხების გაერთიანებით შეძლებს ევროპა თავისი ბედის გაკონტროლებას და მსოფლიოში დადებითი როლის შესრულებას".

აღსანიშნავია ისიც, რომ 2003 წლის 9 მაისს ევროკავშირი ხვდება სწორედ ასეთი სულისკვეთების მქონე პლაკატით, რომელზეც წერია: **"ევროკავშირის გაფართოება – ისტორიული ნაბიჯი"**. ასე რომ, ევროპა საკუთარი ხალხების გაერთიანების პროცესს აღმოსავლეთისკენ "გახედვით" და ევროპულ ოჯახში ახალი წევრების შეპატიჟებით, მართლაც, იწყებს...

# ევრო

1996 წელს ევროპის სავალუტო ინსტიტუტმა ახალი, სრულიად ევროპული ფულის ესკიზების დიდი კონკურსი გამოაცხადა. მისი თემა იყო "ეპოქები და სტილები ევროპაში". კონკურსში მთელი ევროპის დიზაინერები და მხატვრები იღებდნენ მონაწილეობას. პირველ ეტაპზე 44 ესკიზი იყო გადარჩეული. ისინი ნოტარიატს გადაეცა, რომელმაც, ანონიმურობის დაცვის მიზნით, ყოველ სერიას ცალკე ნომერი მიანიჭა.

1996 წლის სექტემბერში მარკეტინგის, რეკლამის, დიზაინისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე 14 პიროვნებისგან შემდგარმა ჟიურიმ ესკიზების განხილვა მოაწყო. გადარჩევის შემდეგ ჟიურიმ ორი სია შეადგინა: ერთში ესკიზების ხუთი სერია იყო, თემაზე "ეპოქები და სტილები ევროპაში", მეორე კი, ასევე ხუთი სერიისგან შემდგარი – "თანამედროვე/აბსტრაქტული".

ამის შემდგომ ევროპის გელაპის ინსტიტუტმა, რომელიც ევროპის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის კვლევას ატარებს ხოლმე, ამ ესკიზების თაობაზე გამოკითხვა ჩაატარა. ამ გამოკითხვაში მთელი ევროპიდან 2 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა: მათ, ვინც პროფესიულადაა ნაღდი ფულით დაკავებული, და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. გამოკითხვის მონაწილეებმა საგანგებო კითხვარები შეავსეს და ათივე ესკიზების სერია შეისწავლეს.

შედეგები და საბოლოო გადაწყვეტილება დეკემბერში გახდა ცნობილი. მას შემდეგ ავსტრიელები ამაყად აცხადებენ, რომ ევრო, ცხადია, ევროპელია, მაგრამ ძალიან ავსტრიულიც ბრძანდება. ქაღალდის ფულზე კონკურსში ავსტრიის ეროვნული ბანკის გრაფიკოსმა, ავსტრიელმა რობერტ კალინამ გაიმარჯვა. ხურდა ფულის სრულიად ევროპული ნაწილის ავტორი კი ბელგიელი დიზაინერი ლუკ ლიუქსი გახლავთ.

განვმარტავ: ქაღალდის ფულს ყველა ქვეყანაში ერთი დიზაინი აქვს, ხურდას – სხვადასხვა. ხურდა ფულისთვის, ცენტებისთვის, ყოველმა ქვეყანამ საკუთარი მოტივები შეარჩია, თუმცა ეს ფულიც მაინც მთელს ევროპაში გადის. ასე, მაგალითად, ავსტრიულ ცენტებს ყვავილები, შენობები და დამსახურებული პიროვნებების პორტრეტები ამშვენებს: ედელვაისი, ალპიური პრიმულა, ვენის წმინდა სტეფანეს ტაძარი, ბელვედერის სასახლე, მოცარტი, ბერტა ფონ ზუტნერი...

ევროს ქაღალდის ფულზე ფანჯრები და კარიბჭეებია გამოსახული. ისინი ევროპის გამჭვირვალობის და თანამშრომლობის სიმბოლოა. მეორე მხარეს, წინაზე გამოსახული სამშენებლო სტილის ადეკვატურად, ხიდებს ვხედავთ, ევროპის ხალხებისა და დანარჩენი მსოფლიოს კავშირის სიმბოლოს. ეს ნახატები კონკრეტულ ნაგებობებს კი არა, ყოველი ეპოქისათვის ტიპური არქიტექტურის ნიმუშებს ასახავს.

# არსებობს ევროპა?

*ევროპა თავისი მიმართულებით, ფუნქციით, მომავლით, ერთიანობით – ბუნებრივია, ეს ის თემაა, რომელიც მრავალი დიდი პოლიტიკოსისა და მოაზროვნის საფიქრალს წარმოადგენს. ვნახოთ, როგორ ესახებათ ევროპის მომავალი და როგორ განიხილავენ ზოგადად ფენომენს – ევროპულ თვითშეგნებას.*

ვაცლავ ჰაველი
2000 წ. სექტემბერი

***იბეჭდება შემოკლებით Project Syndicate-დან***

*ვაცლავ ჰაველი*

საინტერესოა, ევროპელები თავს, მართლაც, "ევროპელებად" მიიჩნევენ, თუ ეს მხოლოდ ზღაპარია, რომელიც უბრალო გეოგრაფიას "სულის მდგომარეობად" გადააქცევს?

ახლა მეც ვეკითხები საკუთარ თავს: "რა დონემდე აღვიქვამ თავს ევროპელად და საერთოდ რა მაკავშირებს ამ მიწასთან?" საოცარია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვგრძნობ გაოგნებას იმ ფაქტის გამო, რომ ეს კითხვა თავში პირველად მომდის. რატომ არ შევუწუხებივარ ამ კითხვას მაშინ, როდესაც სამყაროს შემეცნებას ის-ის იყო ვიწყებდი? ნუთუ იმიტომ, რომ ჩემი ევროპელობა უმნიშვნელო ამბავი მეგონა? თუ იმიტომ, რომ ევროპასთან ჩემი კავშირი იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ამას ზედმეტი კითხვა-პასუხებით დამტკიცება არც სჭირდებოდა?

გააზრებულ, გათვითცნობიერებულ ევროპეიზმს ძალზე მცირეხნიანი ტრადიცია აქვს. ამიტომაც ვეთანხმები აზრს, რომ ევროპული თვითშეგნება იბადება უკვე არსებული რეალობის შესახებ წარმოქმნილ გაურკვეველ, ბუნდოვან ფიქრთა ნაკადისგან. ევროპეიზმზე ფიქრით, მისი კვლევაძიებით, მისი არსებითი ხასიათის როგორმე დაჭერით საკუთარი არსების ანალიზს ვახდენთ. ეს პროცესი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მულტიკულტურულ სამყაროში, რომელშიც საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, შეფასება სხვა შეგნების მქონე ხალხებთან თანაარსებობის მთავარი წინაპირობაა.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბოლო დრომდე ევროპა საკუთარ ინდივიდუალიზმზე, თვითიდენტიფიკაციაზე ნაკლებს ფიქრობდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ევროპა მცდარად აღიქვამდა საკუთარ თავს სრულიად მსოფლიოდ. ანდა მიიჩნევდა, რომ თავად იდგა დანარჩენ პლანეტაზე გაცილებით მაღლა და ამიტომაც სხვებთან ურთიერთობების ასაწყობად არც საკუთარი თავის კვლევა და საკუთარი ნიშან-თვისებების განსაზღრა სჭირდებოდა. შესაბამისად, შედეგმაც არ დააყოვნა და ევროპას თავის ასე დაჭერა მრავალ საზიანო საქმედ დაუჯდა.

ევროპეიზმზე ფიქრი ნიშნავს ფასეულობების, იდეალებისა და პრინციპების მთელი წყების კვლევას, რომლებიც ევროპისთვისაა ნიშანდობლივი. აქამდე ხომ ევროპულ გაერთიანებასა და ამ ცნების მნიშვნელობას ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების უკან მალავდნენ. ამიტომაც საჭიროა, ახლა მაინც მივმართოთ ფიქრი სულიერი განზომილებისა და ცნების – ევროპული ინტეგრაციის ძირეული ფასეულობებისკენ.

ჩემი აზრით, ევროპული ღირებულებების ძირითადი წყება, რომელიც მისი სულიერი და პოლიტიკური ისტორიის განმავლობაში ყალიბდებოდა, ძალზე ნათელია. ის გულისხმობს ადამიანის თავისუფლების, მისი უფლებებისა და ღირსების პატივისცემას; კანონის უზენაესობას და კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, უმცირესობათა წარმომადგენლების დაცვას; დემოკრატიულ ინსტიტუტებს; პოლიტიკურ პლურალიზმს; საბაზრო ეკონომიკას; სამოქალაქო საზოგადოებას და ა.შ. სწორედ ამ ფასეულობებში აირეკლება ევროპაში დაფიქსირებული უთვალავი მაგალითი იმ ფაქტის ჩათვლით, რომ ახლა ჩვენი კონტინენტი მულტიკულტურული გზაჯვარედინის ფუნქციას ითავსებს.

იმის განსაზღვრის დროს, თუ რას ნიშნავს იყო "ევროპელი", აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ორგვაროვანი "დამსახურებები", რაც ევროპას მსოფლიოს წინაშე მიუძღვის. ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ეს კონტინენტი დანარჩენ ქვეყნებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებების შესახებ უქადაგებდა, არამედ ჰოლოკოსტსაც შობდა; არა მხოლოდ დიდ ფუნქციას ასრულებდა ინდუსტრიული თუ ინფორმაციული რევოლუციების დროს, არამედ აბინძურებდა ბუნებასაც...

ევროპას წილი აქვს მეოცე საუკუნის თითქმის ყველა უდიდეს მოვლენაში – მსოფლიო ომებში, ფაშიზმში, კომუნისტურ ტოტალიტარიზმში. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ საუკუნეში ევროპამ საკუთარ თავზე გამოსცადა სამი დიდებული მოვლენაც (თუმცა, სამივე მათგანი ექსკლუზიურად ევროპული მიღწევა არ ყოფილა): კოლონიური მმართველობის დასასრული, რკინის ფარდის დაშვება და ევროპული ინტეგრაციის დაწყება.

თავისი მეოთხე და უმნიშვნელოვანესი მოვალეობა კი ევროპას ჯერაც შესასრულებელი აქვს: საკუთარ თავში გარკვეულმა, გაერთიანებულმა ევროპამ თავისი ყოფითა და ქცევით ყველას უნდა დაანახოს, რომ შესწევს ძალა, ებრძოლოს იმ საფრთხეებს, რომელთაც საპირისპირო ცივილიზაცია წარმოშობს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემი ქვეყნის შვილებიც, რომლებიც ევროპელები არიან, შეძლებდნენ ძიებისა და დაკვირვების, ევროპული თვითშეგნების განსაზღვრის ამ პროცესში მონაწილეობას. თანაც მონაწილეობას ისე, როგორც ევროპის მიერ კანონიერ ევროპელად აღიარებულ ხალხს შეეფერება.

# ხელოვანები ომის სამსახურში

ნინო ჭანიშვილი

მეორე მსოფლიო ომით არაერთი ევროპელი და ამერიკელი ფოტოგრაფი "დაავადდა", რომლებიც თავს განირავდნენ საჭირო კადრის აღსაბეჭდად. 1954 წელს ვიეტნამში აფეთქების დროს დიდი უნგრელი ფოტორეპორტიორი რობერტ კაპა დაიღუპა. მანამდე კი კაპამ მეორე მსოფლიო ომის ქრონიკა ბრიტანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სიცილიაში ასახა. მან ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პირველ საათებში 108 სურათი გადაიღო. რობერტ კაპას სჯეროდა, რომ საშინელებათა ასახვით, ომს ბოლო მოეღებოდა.

1945 წელს, ბრიტანელი ჯორჯ როჯერი იყო პირველი ფოტოჟურნალისტი, რომელმაც გერმანიაში ბელსენის საკონცენტრაციო ბანაკი გადაიღო. ამერიკელი ლი მილერის, ამერიკული სამხედრო ნაწილების ოფიციალური ომის ფოტოგრაფის მიერ არის გადაღებული ის მოვლენა, როცა ამერიკის ჯარი და წითელი არმია ერთმანეთს მდინარე ელბაზე შეუერთდა.

ამერიკელი ფოტორეპორტიორი მარგარეტ ბურკ-ვაიტი თავის მეუღლე ჟურნალისტ ერსკინ კოლდუელთან ერთად, ერთადერთი უცხოელი ჟურნალისტები იყვნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდნენ, ქვეყანაში გერმანიის შეჭრის დროს.

ომის პირველივე დღეებიდან საბჭოთა კავშირი იწყებს ომის ესთეტიკის დამუშავებას პოპ-ხელოვნებაში. ომის თემატიკაზე პირველი პლაკატი 1941 წლის 22 ივნისშივე შეიქმნა - წითელარმიელი ხიშტით გმირავს ჰიტლერის ხელს. ცოტა განსხვავებული სიუჟეტით ეს პლაკატი 24 ივნისს მოსკოვის ქუჩებში გამოიფინა და ამავე დღეს დაიბეჭდა გაზეთ "პრავდაში". ამჯერად ხიშტი პირდაპირ თავში ესობოდა ფიურერს. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ზუსტად ერთ კვირაში შიქმნა ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პლაკატი "დედა-სამშობლო გვეძახის". ამ პლაკატის ავტორი ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი ირაკლი თოიძე გახლავთ, რომელიც 1941 წლიდან მოსკოვში მოღვაწეობდა. ეს პლაკატი მილიონობით ტირაჟით გამოიცა საბჭოთა კავშირის ხალხების ყველა ენაზე.

1941-45 წლებში პლაკატების მასობრივი გამოცემის მთავარი ცენტრები მოსკოვი და ლენინგრადი იყო. საბჭოთა მხატვრები იუმორსაც კი იყენებდნენ, როცა საქმე ფიურერს ან გერმანელ ჯარისკაცებს ეხებოდა ხოლმე. ერთ-ერთ პლაკატზე დახატულია გერმანელი პარაშუტისტი, რომელიც საბჭოთა გლეხის ორკაპზე ეშვება.

როცა ომი დასრულდა ყველაზე გავრცელებული პლაკატი იყო გოლოვანოვის მიერ შექმნილი კომპოზიცია – საბჭოთა მეომარი გმირი-განმათავისუფლებელის სახით, რაიხსტაგის ფონზე, რომელსაც ასეთი მინაწერი ჰქონდა **Дошли**!.

ომის პირველსავე დღეს საბჭოთა კავშირში შეწყდა ადრე დაწყებული მხატვრული ფილმების გადაღება და ერთ კვირაში ახალ საომარ თემატიკაზე გადართვის პროცესი დასრულდა. დაიწყო სამხედრო კინონოველების წარმოება. ივლისში ეკრანებზე გამოჩნდა პირველი რეპორტაჟები ფრონტიდან. 1941 წელს სულ შვიდი "საბრძოლო კინოკრებული" გამოვიდა საბჭოთა ეკრანებზე. ომს 257 საბჭოთა კინოოპერატორი იღებდა. კინოს სტატისტიკოსების გამოთვლით საბრძოლო დღეთა ქრონიკამ სამ მილიონ მეტრზე მეტი ფირი შეადგინა. მათ შორის, ომის წლებში ქართველმა დოკუმენტალისტებმა 33 ფილმი გადაიღეს.

ომზე გადაღებული მხატვრული ფილმები განსაკუთრებით პოპულარული და საყვარელი იყო საბჭოთა მოქალაქეებისთვის. თუმცა, მათი გადაღებისას დიდი სიფრთხილე იყო საჭირო რეჟისორების მხრიდან. მაგალითად 1949 წელს მიხეილ ჭიაურელის მიერ გადაღებული კინოსურათის "ბერლინის დაცემის" ჩვენება სტალინის სიკვდილის შემდეგ, ფაქტობრივად, აიკრძალა, რადგან ფილმში დიდი დოზით იყო ნაჩვენები სტალინის ფიგურა. რეზო ჩხეიძის 1964 წელს გადაღებულ ფილმში "ჯარისკაცის მამა", სტალინის პერსონაჟი საერთოდ არ ჩანს.

ომის თემატიკა სოც-რეალიზმის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ ჟანრში, რა თქმა უნდა, ქართველ მხატვრებსაც (ზურაბ ნიჟარაძე, რობერტ სტურუა, ვალენტინ თოფურაძე) უწევდათ მუშაობა. რაც შეეხება ქანდაკებას, ყველაზე გრანდიოზული მემორიულური კომპლექსი სტალინგრადში აიგო. "მამაევ კურგანის" მშენებელობა 1959 წელს დაიწყო და 1967 წელს დასრულდა. კომპლექსი იწყება რელიეფური კომპოზიციით "თაობათა სამახსოვროდ", რომლის შემდეგ დამთვალიერებელმა 200 საფეხურინი კიბე უნდა აიაროს. კიბის დასასრულს გრანდიოზული ქანდაკება, "დედა-სამშობლო გვეძახის" არის აღმართული. ეს არის 85 მეტრიანი ქალის ფიგურა, რომელიც 8 ათას ტონას იწონის.

შეიძლება ითქვას, რომ მონუმენტალიზმის ტრადიცია დღესაც გრძელდება რუსეთში. რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ახალი გრანდიოზული მეტროს სადგური "გამარჯვების დღე" გაიხსნა. როგორც ქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა თქვა: "გარეგნული იერით იგი ღირსეული და დიდებული გამოვიდა, იგი შეესაბამება იმას, რაც ყოველთვის უნდა დარჩეს ჩვენს ხალხში, ყველაფერს იმას, რაც ჩვენმა მამებმა გააკეთეს..." მეტროს პლატფორმაზე გრანდიოზული მოზაიკური პანო მონუმენტალიზმის მოტრფიალის, მხატვრისა და მოქანდაკის ზურაბ წერეთლის მიერაა შესრულებული.

მართალია, საბჭოთა ხელოვნება უმეტეს შემთხვევაში უგემოვნო და შაბლონური იყო, საბჭოთა სამხედროებს დასავლური კულტურა აშკარად მოსწონდათ, განსაკუთებით კი ევროპული ფერწერა იზიდავდათ. ამ "გატაცების" გამო დღეს რუსეთს ომის დროს გერმანიიდან დატაცებული სამუზეუმო კოლექციების დაბრუნება უწევს.

# „რეაქტიული კლუბი" თინეიჯერი გახდა

*"რეაქტიული რაკეტა ირაკლიმ თქვენთვის დაკეტა"*

თეონა ჯაფარიძე

ტრადიციული ფრაზით დავიწყებთ: ეს ფოტო გასული საუკუნისაა და ის 1990 წლით თარიღდება. იმ დღეს საზოგადოების წინაშე "რეაქტიული კლუბი" წარსდგა.

"ეს ის მომენტია, როცა ირაკლი "გაგოდარებას" კითხულობს, ცოტა ხანში მეც ავხტი ზევით და "ხვიჩა და გოჩა" წავიკითხე. საჯარო ბიბლიოთეკის წინ კი ხალხი იდგა და გვისმენდა" – უყურებს ფოტოს და იხსენებს პოეტი კოტე ყუბანეიშვილი.

"რეაქტიული კლუბი დაარსდა 1990 წელს ირაკლის სახლში. ჩვენი მიზანი იყო თანამედროვე ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანები შემოგვეკრიბა" – ვკითხულობთ "რეაქტიული კლუბის" 1993 წლის გამოცემის წინათქმაში.

"რეაქტიული კლუბი ერთჯერადი შპრიცი იყო, რომელმაც თავისი მისია შეასრულა და დღეს მშვიდობიანად განისვენებს ისტორიის სანაგვეში" – ასე აფასებს პოეტი და მუსიკოსი ირაკლი ჩარკვიანი დღეს მას. ვაქცინა, რომელიც იმ წლებში მათ ჩაბნელებულ, ნაომარ თბილისსა და თავის თავში ჩაკეტილ ქართულ ცნობიერებასა და აზროვნებას გაუკეთეს, რეაქტიული პოეზიის სახელით მოინათლა და, მართალია, მასებზე არა, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე დოპინგივით იმოქმედა. ფრაზები "რეაქტიული პოეზიიდან, იმ პერიოდში ზეპირად ვრცელდებოდა, ყურს ჭრიდა და ენერგიას აფრქვევდა: მაგალითად: "პოლიტიკურად მშვიდი,

სექსუალურად მხნე..."

ან კიდევ: "ქართული ჩაი სურნელოვანი და საამო სასმელია.

ქართლის დედას ცინკის ძუძუები აქვს..."

ან: "გამოდი შენი ციხიდან
რომ აღარ ჰგავდე სხვას,
ჰგავდე სხვას..."

"რეაქტიულმა ბილიკმა საკმაოდ ბევრი ადამიანი გადაიყვანა 21-ე საუკუნეში" – ამბობს ირაკლი ჩარკვიანი. დღეს "რეაქტიულ კლუბს" 13 წელი შეუსრულდა.

"ის უკვე თინეიჯერი გახდა და შეუძლია დისკოთეკაზეც წავიდეს," - ამბობს კოტე ყუბანეიშვილი და თან კომპაქტ-დისკის სასიგნალო ეგზემპლარს მაჩვენებს მისი ენის მანერისათვის დამახასიათებელი სახელწოდებით; - "კოტ-რეალი". თანაც მიხსნის: "კოტ-რეალი ნიშნავს კოტეს რეალობაში, იმას, რომ კოტე მხოლოდ რეალობაზე ილაპარაკებს". ალბომი სტუდია "სანოშია" ჩაწერილი და თან მინიატურული წიგნიც ახლავს კოტეს ლექსებით. ამ ელექტრონულ ლექსებს საზოგადოება დღეს საღამოს "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" გაეცნობა, სადაც 13 წლის თინეიჯერი "რეაქტიული კლუბი" ლიტერატურულ-მუსიკალურ პერფორმანსს წარმოადგენს: "ეს იქნება ცოცხალი პერფორმანსი, სადაც ჩემი მუსიკა და პოეზია სპონტანურად შეერწყმება ერთმანეთს. ჩვენ ახალ, ელექტრონულ ლექსებს წაგიკითხავთ და პერფორმანსის საკლუბო ვერსიას შემოგთავაზებთ. 13 წლის შემდეგ იმ შედეგზე დაგელაპარაკებით, რაც "რეაქტიული კლუბისა" და ქართული საზოგადოების რეაქციით მივიღეთ," ამბობს დღევანდელი საღამოს შესახებ ირაკლი ჩარკვიანი.

"მე პროზით აღარ ვილაპარაკებ!"- აცხადებს კოტე ყუბანეიშვილი და თავის სულ ახალ ლექსს მაჩვენებს: "აღარა მშურს არავისი

გარდა ღამის დარაჯების
რადგან დადგა 9 მაისი
დღეს გილოცავთ გამარჯვების..."

დანარჩენს "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" მოუსმინეთ კოტეს და ირაკლის ცოცხალი შესრულებით.

# Appendix-ი გაიხსნა ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც

თამარ სუხიშვილი

*ინსტალაცია ქარვასლაში*

გუშინ, 8 მაისს, "მედია არტ ფერმის" ორგანიზატორობით საერთაშორისო პროექტის – "Appendix 2 – დიფუზია და მისი ტოპოლოგია" - პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაცია, ფაქტობრივად, ორგანყოფილებიანი იყო: ასე ვთქვათ, ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალური გახსნა საღამოს შვიდ საათზე ქარვასლაში გაიმართა. გახსნა ასე გამოიყურებოდა: კულტურის მინისტრის მილოცვა, პროექტის წარდგენა ორგანიზატორის, ვატო წერეთლის მიერ, უცხოელი სტუმრის, კატრინ რაისტის შთაბეჭდილებები, საუბრები ხელოვნებაზე, "ალა-ფურშეტი", და, რა თქმა უნდა, გამოფენის მონაწილეთა ნამუშევრების დათვალიერება. ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ჰოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მანაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მათიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა – ეს ის ავტორებია, რომელთა კლიპები, ვიდეოარტები თუ ინსტალაციები ქარვასლას რამდენიმე დარბაზშია გამოფენილი. აქ არის გერმანელი მხატვრის, მათიას ვენერის "ომის სურათები III", რომელიც ერაყის ომის თემაზე შექმნილ ანიმაციურ, გრაფიკულ თუ სხვა კომიკურ სურათებს მოიცავს; თემურ ჯავახიშვილის "აბრეშუმის კაცი"; ორხან ჰუსეინოვის "გეოგრაფიის გაკვეთილი" – რუკის მონახაზი, რომელზეც ყველა მსურველს შეუძლია თავისი ტერიტორია მონიშნოს და საკუთარი მინაწერები გააკეთოს – სხვათა შორის, ამ სტენდთან ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, ზოგმა საკუთარი კუნძულიც აღმოაჩინა, ზოგმა პოლიტიკური ლოზუნგები მიაწერა (საინტერესო ექსპერიმენტია, რომლის შედეგები მხოლოდ პროექტის დასრულების შემდეგ გაირკვევა); იყო სხვა არაერთი საინტერესო ექსპონატიც, ყველას, უბრალოდ, ვერ ჩამოვთვლით, დანარჩენი ჯობს თქვენი თვალით ნახოთ...

გამოფენა Appendix ორ წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე. "ამით ის ბიენალეს ჰგავს, - გვეუბნება ვატო წერეთელი, - მაგრამ შინაარსით ანტიბიენალე უფროა. აქ არაა ნაციონალური პავილიონები, არის მხოლოდ რამდენიმე კურატორის მიერ გაკეთებული ექსპოზიცია, მოწვეულია მხატვრები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ისინი თავიანთ პოზიციას დააფიქსირებენ გლობალიზაციისა და ტერორიზმის თემასთან დაკავშირებით. ეს არ იქნება არანაირი რეცეპტი, გამოფენის მონაწილეები მხოლოდ საკუთარ ნაფიქრსა და შეხედულებებს გაგვიზიარებენ, ეს ერთგვარად აზროვნების პროვოცირების მცდელობაა, პროვოცირებისა – კარგი გაგებით".

თუ რატომ დაერქვა გამოფენას Appendix, ორგანიზატორები ამას ასე ხსნიან: "ეს გარკვეული მინიშნებაა კავკასიის სტატუსზე თანამედროვე საერთაშორისო კონტექსტში, არის თუ არა კავკასია "ბრმანაწლავი"? რა ფუნქციას ასრულებს ეს რეგიონი – ეს არის ხიდი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის და ამავდროულად ეს ჩიხიცაა: ნარკოტიკების გზა, ტერორიზმი, უამრავი პრობლემა... ამ სათაურში ორგანოსეული ორბუნებოვნება არის ასახული, ჩვენ გვინდა გაიმართოს დიალოგი ამ ორ ბუნებას შორის."

ერთ-ერთი კურატორი ლეილა ახუნზადე აზერბაიჯანიდან Appendix-ის მნიშვნელობას ასე აფასებს: "მადლობელი ვარ ასეთ საინტერესო პროექტში მონაწილეობა რომ შემომთავაზეს; წამოჭრილი თემატიკა ჩვენი ასოციაციის - ახალი ტექნოლოგიების ასოციაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია. გლობალიზაცია ორმხრივი პროცესია: ეს არის ღია საზღვრები, ერთიანი კაცობრიობა, ერთიანი ღირებულებები და, ამავე დროს, ეს არის ერთიანი საფრთხე. საინტერესოა, როგორ აისახება ეს წინააღმდეგობრიობა თანამედროვე ხელოვნებაში. პროექტში ბევრი საინტერესო მონაწილე და ბევრი საინტერესო ნამუშევარია წარმოდგენილი."

*პერფორმანსი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე*

*პროექტის ორგანიზატორი ვატო წერეთელი*

ბესო გელოვანის ფოტოგრაფია

გამოფენაში 30-მდე ხელოვანი მონაწილეობს, საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, იაპონიიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან.

გამოფენა რამდენიმე სივრცეში განაწილდება: ქარვასლა, გალერეა არტ-სინთეზი, ფრანგული კულტურის ცენტრი, 9 აპრილის სახელობის პარკი, აბრეშუმის ფაბრიკა, კლუბი 22, გოეთეს ინსტიტუტი.

Appendix-ის არაოფიციალური გახსნა აბრეშუმის ფაბრიკაში საღამოს 9 საათზე გაიმართა. ფაბრიკის ტერიტორიაზე მოწყობილი ღონისძიება, მართლაც, ორიგინალური იყო: "შვაიცერ ინტერნეიშენელის" პერფორმანსი დიმა დადიანის ელექტრონული მუსიკის ფონზე. შვეიცარელი მხატვრების ორკაციანი ჯგუფი "შვაიცერ ინტერნეიშენელი" შრომის ფენომენზე მუშაობს, სიზიფეს შრომის ფენომენზე.

"რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის შრომა შრომისათვის. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინსტალაციაც შრომაა შრომის შესახებ," – ამბობს ჰაიმო განცი, რომელსაც ძალიან მოსწონს საქართველო, უკვე მოასწრო ქუთაისისა და გელათის ნახვა, ქართული სამზარეულოს შეყვარება და ქართული სტუმართმოყვარეობითაც მოიხიბლა.

ქართული გულუხვობა მის მიერ წარმოდგენილ პერფორმანსზეც გამომჟღავნდა: პერფორმანსის მაყურებლებსა და მონაწილეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ზელდნენ თიხას, ყალიბებში ასხამდნენ და თიხისგან ბოთლებს ამზადებდნენ, შეეძლოთ ეწრუპათ და ეწრუპათ ლუდი და ესაუბრათ ისევ და ისევ თანამედროვე ხელოვნებაზე.

პროექტი 29 მაისამდე გაგრძელდება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დგებიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## „ბაიერნი" და ბუნდესლიგის სტრუქტურა

ნინო პირველი

ზოგიერთი ცდილობს, რომ "ბაიერნს" საქმე გაურთელოს.

ჯერ სეზონი არ დასრულებულა, მაგრამ მიუნხენის "ბაიერნი" უკვე ჩემპიონია, უპირობო და უეჭველი ჩემპიონი. მთელი სეზონის მანძილზე ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილი მიუნხენელები ხან თოთხმეტი ქულით უსწრებდნენ უახლოეს მდევრებს, ხან თერთმეტით და, რომ იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდათ. ისე აშკარად ჩანდა, კაცი არ იყო "ბაიერნის" დამწევი, რომ ბავარიელთა ზედმეტად იოლი წარმატებებით გაღიზიანებულმა ბუნდესლიგის ხელმძღვანელმა პირებმა ლიგის სტრუქტურის შეცვლაც კი გადაწყვიტეს. ვოლფგანგ ჰოლცჰაუზენმა, ლიგის დამკვირვებელმა, გერმანელებს წარუდგინა მეტად უცნაური პროექტი, რომლის მიხედვითაც მომავალი სეზონიდან ჩემპიონის ტიტული ასე იოლად მოსაპოვებელი აღარ უნდა იყოს.

"მე ძალიან კარგად შემიძლია წარმოვიდგინო ბუნდესლიგის მომავალი სტუქტურა: ჩემპიონის ვინაობა პლეი ოფში უნდა გახდეს ცნობილი. პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდი ჯერ ნახევარფინალში შეხვდება ერთმანეთს, ორ მატჩს ჩაატრებს, ფინალისტის ვინაობას გაარკვევს და შემდეგ ფინალში იბრძოლებს ჩემპიონობისთვის", - ამბობს ჰოლცჰაუზენი.

მისი პროექტი უკვე დამტკიცებული რომ იყოს, წლევანდელი სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, ნახევარფინალში პირველ ადგილზე მყოფი "ბაიერნი" მეოთხე ადგილზე გასულ "ჰერტას" უნდა დაუპირისპირდეს, მეორე ნახევარფინალში კი მეორე-მესამე პოზიციაზე მდგომმა "შტუტგარტმა" და "ბორუსიამ" უნდა ითამაშონ. ამ წყვილებს შორის გამარჯვებულები კი ჩემპიონის ტიტულს ფინალში შეეცილებიან ერთმანეთს.

ბუნდესლიგის გუნდების ხელმძღვანელები ამ პროექტს გაოცებით და თითქმის ამრეზითაც კი შეხვდნენ. მართალია, ამ გეგმით თამაში ჩემპიონატს მეტ ინტრიგას შესძენს და მატჩების ტელეტრანსლაციიდანაც დიდი ფული შემოვა, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს იმის საფრთხე, რომ ჩემპიონის ვინაობა, შესაძლოა, იღბალმა გადაწყვიტოს, ანუ პირველი გახდეს ის გუნდი, რომელიც ფინალურ მატჩს კარგად ჩაატარებს და არა ის, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად თამაშობდა. "პლეი ოფის სისტემა უსამართლობაა. ჩემპიონი ის უნდა გახდეს, ვინც 34 ტურის განმავლობაში იყო საუკეთესო", - მიიჩნევს გერმანიის ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი. "სისულელეა. ტიტულის ბედი ერთმა მატჩმა არ უნდა გადაწყვიტოს", - ფიქრობს "ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი. "როცა ჩემპიონთა ლიგის თამაშების შემცირებაზე ვსაუბრობთ, უაზრობაა ბუნდესლიგაში პლეი ოფის დამატება", - ამბობს ბერლინის "ჰერტას" ხელმძღვანელი დიტერ ჰიონესი. კარლ ჰაინც რუმენიგე კი ამ პროექტს ბუღალტრის წინადადებას უწოდებს.

მოკლედ, ახალი იდეა არავის ხიბლავს. ასეთი უცნაური სტრუქტურა ხომ არც ერთი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში არ არის. რატომ უნდა გახდეს გამონაკლისი მაინცდამაინც გერმანია? ყოველ სეზონში ხომ ვერ მოახერხებს "ბაიერნი", მეტოქეებს თერთმეტი ქულით გაასწროს?

მთელი ამ აჟიოტაჟის მიზეზად ქცეული მიუნხენის "ბაიერნი" დიდად არ იცხელებს თავს ჰოლცჰაუზენის პროექტზე ფიქრით. მიუნხენელებს ახლა სულ სხვა პრობლემები აქვთ და ნოვატორული იდეებისთვის ნაკლებად სცხელათ. ცოტა ხნის წინ ბავარიელთა მოუთვინიერებელმა მეკარემ ოლივერ კანმა კლუბის ბოსები კიდევ ერთხელ გამოიყვანა მოთმინებიდან, როცა ვარჯიშზე თავისი ახალი წითელი "ფერარით" მიბრძანდა და არა გუნდის სპონოსორ "აუდის" მარკის ავტომობილით. თვალისმომჭრელმა "ფერარიმ", რომელიც კანს 150000 ევრო დაუჯდა, კლუბის ოფიციალური სპონსორების უკმაყოფილება გამოიწვია. გუნდის ყველა წევრი ხომ, უბრალოდ, ვალდებულია, "აუდით" მივიდეს კლუბის ყველა ოფიციალურ შეკრებაზე. "აუდი" "ბაიერნს" წელიწადში ხუთ მილიონ ევროს უხდის და 50 მანქანას ჩუქნის და, რა გასაკვირია, რომ ფეხბურთელებისგან პატივისცემას მოითხოვს.

ული ჰიონესთან დაბარებულმა კანმა თავი იმით იმართლა, რომ "აუდი" დასჭირდა მის მეუღლეს, რომელსაც თან ბავშვებიც მიჰყავდა. პატარა დავიდის საბავშვო ეტლი კი "ფერარიში" არ ჩაეტია. ასე რომ, სიმონე იძულებული გახდა, "აუდით" წასულიყო. "რა მექნა, ტაქსით ხომ ვერ მოვიდოდი ვარჯიშზე?" - იკითხა გაოცებულმა კანმა. ჰიონესი ჯარიმის ნაცვლად კანს ახალ მანქანას შეჰპირდა და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

მაინც რატომ მოექცა "ბაიერნი" კანს ასე ლმობიერად? ასეთ შემთხვევებში ხომ ფეხბურთელები ფულადი ჯარიმებით ისჯებიან ხოლმე? საქმე ის არის, რომ კანს აღარ უნდა მიუნხენში დარჩენა. "ოლი" აცხადებს, რომ "ბაიერნთან" ერთად უკვე ყველაფერი მოიგო და ამიტომ ახლა სხვა ქვეყნის ჩემპიონატში სურს ძალების მოსინჯვა. "ბაიერნს" კანთან განშორება ხელს არ აძლევს. სწორედ ამის გამო კლუბის მკაცრი ბოსები დათმობებზე მიდიან და ცდილობენ, ჭირვეული "ოლი" როგორმე გუნდში შეინარჩუნონ. "უცხოეთში წასვლა ყველასთვის მაცდუნებული თემაა, მაგრამ კანი "ბაიერნიდან" არ წავა!" - კატეგორიულად აცხადებს ული ჰიონესი. ვნახოთ...

## "რომა" ფეხბურთელებს არ უშვებს

იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე სეზონში ფაბიო კაპელოს "რომა" მეტად უსახურად გამოიყურებოდა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვეღარ შესწვდა, რომში მაინც იმედოვნებენ, რომ ტოტი და კომპანია მომავალ წელს კვლავ ჩვეულ ფორმაში იქნება და ტიტულებს ისევ მოიგებს. ფრანკო სენსი გუნდის გაძლიერებას აპირებს და, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსდის წამყვანი ფეხბურთელების კლუბიდან გაშვება. არადა, რომაელთა სამხრეთამერიკელებს - არგენტინელ სამუელს და ბრაზილიელ ემერსონს საერთოდ იტალიიდან წასვლა სურთ.

სამუელი უკვე აღარ მალავს, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა პრიმერა დივიზიონში. ემერსონის შეძენით კი მადრიდის "რეალია" დაინტერესებული. ამის მიუხედავად, "რომას" სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი აცხადებს, რომ ორივე ფეხბურთელი მომავალ სეზონს "რომას" წითელ-ყვითელი მაისურით დაიწყებს. "ემერსონი და სამუელი ხელშეუხებელნი არიან. "რომა" თავის წამყვან ფეხბურთელებს არავის დაუთმობს", - ჭორების გაფანტვას ცდილობს ბალდინი.

## მორიენტესს კიდევ ერთი მუშტარი გამოუჩნდა

მადრიდის "რეალის" თავკაცი, ვინსენტე დელ ბოსკე იმ ცნობილი ანდაზის ძაღლივით იქცევა, არც თვითონ რომ ჭამს და არც სხვას აჭმევს. ფერნანდო მორიენტესი სულ ტყუილად ითვლება სამეფო კლუბის წევრად - დელ ბოსკე ისე იშვიათად უშვებს მოედანზე, რომ მორიენტესი თამაშს საერთოდ გადაეჩვია. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში, რაულის არყოფნის გამო მორიენტესი, თავისდა გასაკვირად, ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. მთელი სეზონის მანძილზე სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ თავისი გაიტანა. მორიენტესი იმ მატჩში საოცრად უსახური იყო. ხოლო როცა "რეალის" ერთ-ერთი შეტევისას ტურინის "იუვენტუსის" კართან უმეთვალყურეოდ დარჩა, ისე უსუსურად დაარტყა, რომ გოლის გატანის თითქმის ასპროცენტიანი შანსი ქარს გაატანა. დელ ბოსკეს კინაღამ გულის შეტევა დაემართა, მარჩელო ლიპიმ კი თავისუფლად ამოისუნთქა და ფორმადაკარგული ფორვარდი, ალბათ, გულში "დალოცა" კიდეც - ღმერთმა ასეთი მომენტები არ მოგიშალოსო...

ამ ყველაფრის მიუხედავად, დელ ბოსკე მაინც ჯიუტად ებღაუჭება მორიენტესს და არაფრით არ სურს გუნდიდან მისი გაშვება, იმის მიუხედავად, რომ ფორვარდის შეძენა რამდენიმე გუნდს სურს. მორიენტესის კონტრაქტს 2006 წელს გასდის ვადა, მაგრამ მას უკვე ძალიან უნდა "რეალის" დატოვება და ისეთ გუნდში წასვლა, სადაც მას თამაშის საშუალება ექნება. "ვალენსიას" შემდეგ მორიენტესის შეძენის მსურველთა რიგს ახლახან კიდევ ერთი კლუბი მიემატა - მიუნხენის "ბაიერნი". ფრანც ბეკენბაუერი მიიჩნევს, რომ მორიენტესი, თუ "რეალიდან" წავა, ძველებურად კარგად ათამაშდება. "არ ვიცი, კლუბის სხვა ხელმძღვანელები რა აზრის არიან, მე კი ძალიან მინდა მორიენტესის შეძენა. ის ჩვენს გუნდს კარგად მოერგება", - ამბობს "კაიზერი".

## ვინ ილოცებს რონალდოსთვის?

რა თქმა უნდა, არა ტურინის "იუვენტუსის" ტიფოზები, რომლებიც მოუთმენლად ელიან უკანასკნელ ცნობებს მადრიდიდან და იმედს არ კარგავენ, რომ "ფენომენი" ერთი კვირის შემდეგ ტურინში ჩასვლას ვერ შეძლებს. რონალდოს გამოჯანმრთელება "რეალის" ფანებისთვისაა უაღრესად მნიშვნელოვანი, მადრიდელები ბრაზილიელს არც ლოცვას დაამადლიან, ის ხომ ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურაა "სამეფო კლუბისთვის", მით უმეტეს, რომ რაული ჯერ კიდევ არ ჩამდგარა ფორმაში ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ.

რონალდომ "იუვენტუსთან" მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ახლა "ფენომენი" "რეალის" ექიმის, ალფონსო დელ კორალის ყურადღების ქვეშაა. ექიმი აცხადებს, რომ ბრაზილიელი ფორვარდი ერთ კვირაში მოედანზე ვერ დაბრუნდება. "მხოლოდ ათპროცენტიანი შანსი არსებობს იმისა, რომ რონალდომ ერთი კვირის მერე "იუვენტუსთან" ითამაშოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ის ოთხშაბათის მატჩისთვის მზად იყოს, მაგრამ არა მგონია, ასე უცებ შეძლოს ფორმის აღდგენა", - ამბობს ექიმი.

## "ბაიერნის" ახალი ფორმა

ბუნდესლიგის უკანასკნელ ტურში, უკვე ჩემპიონი მიუნხენის "ბაიერნი", ხვდება ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ "შტუტგარტს", რომლისთვისაც ეს მატჩი, ალბათ, მეტად მნიშვნელოვანი იქნება, "ბაიერნისთვის" კი უკვე მხოლოდ ფორმალობა. ერთადერთი, რამაც, შესაძლოა, მიუნხენელებს კარგი თამაშისთვის სტიმული მისცეს, ეს ახალი ფორმებია – გერმანიის ჩემპიონები 17 მაისს, ბოლო ტურში, მოედანზე ახალი მაისურებით გავლენ.

მიმდინარე სეზონში მიუნხენელები შავ-წითელი მაისურებით ასპარეზობდნენ, ახლა კი წითელი ფორმა ექნებათ თეთრი სახელოებით, დაახლოებით ისეთი, როგორითაც ლონდონის "არსენალი" თამაშობს. ახალი მაისურების შეძენა უკვე გულშემატკივრებსაც შეუძლიათ. საბავშვო ზომა 45 ევრო ეღირება, უფროსებს კი 65 ევროს გადახდა მოუწევთ.

ჭიდაობა

# კმაყოფილიც და უკმაყოფილოც

## "თავისუფალთა" დამრიგებელი დაბალ წონებს უჩივის

გიგა გურასაშვილი

*სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გუშინ თავყრილობა იყო. მიზეზი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპული პერიპეტიების უკეთ გაცნობა თუ შეფასება გახლდათ. მოგეხსენებათ, ორიოდე დღის წინათ ქართველი ფალავნები ლატვიაში დასრულებული ევროპის ჩემპიონატიდან შინ ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ, რაზეც გუშინდელ ნომერშიც ვიუწყებოდით.*

ზაზა თურმანიძე.

ლევან ხეჩინაშვილის ფოტო

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა კონტინენტის უმთავრეს ხალიჩაზე ასპარეზობის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა. ამიტომ მოკლედ გაგაცნობთ პრესკონფერენციის შინაარსს.

პრესკონფერენციას თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე და ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ემზარ შოშიტაიშვილი მასპინძლობდნენ. ბუნებრივია, იქვე იყვნენ ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი და ბრინჯაოს პრიზიორი ლექსო მოდებაძე. მოჭიდავეთა კომენტარები გუშინ გაგაცანით. ამჯერად მწვრთნელის შეფასებას გავეცნოთ. თურმანიძე მთლიანობაში ჩემპიონატით, უფრო სწორად, შედეგებით კმაყოფილი ჩანდა, მაგრამ არა თითოეული წონით. "ის, რასაც ამ ეტაპზე მივაღწიეთ, ნორმალურია, თუმცა, მომავალში ასეთ შედეგს არადამაკმაყოფილებლად ჩავთვლით. მით უფრო, რომ წინ გაცილებით სერიოზული გამოცდები გველის. ამასთან, შვიდივე წონით კატეგორიაში მოსაპოვებელია ოლიმპიური ლიცენზიები". ამ მხრივ თურმანიძე დაბალ წონით კატეგორიებზე ამახვილებდა ყურადღებას. მისი თქმით, დაბალ წონებში სუსტად გამოვიყურებით. ასე რომ, ამ მხრივ სამუშაო, მართლაც, თავსაყრელია. რაც შეეხება სპორტსმენთა თურმანიძისეულ შეფასებას, მინდორაშვილის ორთაბრძოლებით კმაყოფილი იყო. სხვა თუ არაფერი, მინდორაშვილისთვის რიგის ევროპული ხალიჩა სადებიუტო გახლდათ. ნაკრების დამრიგებელი მოდებაძესაც შეეხო. ბრინჯაოს პრიზიორის წარმატება კი იმით ახსნა, რომ მძიმე წონები ჩვენთვის ყოველთვის ტრადიციული იყო და, ამასთან, არც მოდებაძეა ხელწამოსაკრავი მოჭიდავეო. მართლაც, მის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ შარშან ოპერაციის გამო გაცდენილი სეზონის შემდეგ ევროპის პრიზიორობა შეძლო. თავად მოდებაძეც კმაყოფილი იყო.

ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა ოთხგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის კურტანიძის წარუმატებლობის მიზეზი. კურტანიძის თაობაზე სიტყვა შოშიტაიშვილმა გააგრძელა: "ის, რომ კურტანიძეს დღესდღეობით ტოლი არ ჰყავს მსოფლიოში, ეს მარტო ჩვენი კი არა, სხვების აზრიცაა. რა იქნება მომავალში, ვერ გეტყვით. რაც შეეხება მის წარუმატებლობას, შეიძლება ითქვას, რომ კურტანიძის ფინალს მიღმა დარჩენა მსაჯების უნებლიე შეცდომამ განაპირობა. დღეს ჭიდაობაში ახალი სამსაჯო წესები ინერგება. ბევრს მისთვის ალღო არ აუღია. ასე მოხდა კურტანიძის შემთხვევაშიც. ანალოგიური სიტუაცია იყო დავით პოღოსიანის შემთხვევაშიც".

ასეა თუ ისე, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა შვიდივე წონით კატეგორიაში დაკავებული ადგილებისა და მისთვის გათვალისწინებული ქულების მიხედვით მთლიანობაში გუნდური მესამე ადგილი და მისთვის დაწესებული თასი დაიმსახურა. პირველ ადგილზე რუსეთის გუნდი გავიდა, ხოლო მეორეზე - თურქეთის ნაკრები.

სამბო

# როდემდე გვეყოფა ენთუზიაზმი?

*ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ამ დღეებში საქართველოს სამბისტთა ნაკრები იბრძოდა. შეჯიბრებას ბულგარეთის საკურორტო ქალაქი ალბენა მასპინძლობდა. წარმომადგენლობითმა საქართველოს ნაკრებმა 19 მედალი მოიპოვა. ამასთან დაკავშირებით გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ პრესკონფერენცია გამართა.*

გიგა გურასაშვილი

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სამბისტთა ნაკრები სამ ასაკობრივ ჯგუფში - ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებში გამოდიოდა. სამბოში ტიტულების ნაკლებობას არასდროს განვიცდიდით. ქართველმა სპორტსმენებმა საკუთარი სიძლიერე ბულგარეთშიც დაამტკიცეს.

ჩემპიონატი სამ დღეს მიმდინარეობდა. თავდაპირველად ჭაბუკებს დაეთმოთ ასპარეზი. მედლების მეტი წილიც მათ ანგარიშზეა. 13 ქვეყნის ნაკრებებს შორის ჭაბუკებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. პირველზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის გუნდი გავიდა. ყველაზე უკეთ დათო სვიმონიშვილმა (60კგ), გიორგი ბაინდურაშვილმა (75კგ) და დავით ბარამიამ (81კგ) იასპარეზეს. მათი წყალობით ჭაბუკთა ნაკრებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა დავით შენგელიას (70კგ), რომელმაც ვერცხლის მედლით დაასრულა ასპარეზობა. ურიგოდ არც სხვებს უასპარეზიათ. გელა სანიკიძემ (56), დათო უძილაურმა (65), მიშა თურქაძემ (87) და ზურა ოდოშაშვილმა (92) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ჭაბუკების შემდეგ ესტაფეტა ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა ჩაიბარეს, თუმცა, შედეგებით მათ ვერ გაუტოლდებიან. უშანგი კუზანაშვილმა (52კგ), ავთანდილ ცინცაძემ (57), ნიკოლოზ ელჩიევმა (62), გიორგი მარკოზაშვილმა (68) და დავით ტერტერაშვილმა (90) მესამე ადგილები დაიკავეს. მათზე უკეთ იასპარეზა ლევან წიკლაურმა (82), რომელიც ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ ერთმა შეცდომამ, ოქროს ნაცვლად, ვერცხლის მედლი არგუნა. ხუთი ბრინჯაოსა და ერთი ვერცხლის მედლით ახალგაზრდებმა 16 ქვეყანას შორის გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს.

მათგან განსხვავებით, ჩემპიონის გარეშე არ დარჩენილან უფროსი თანაგუნდელები. ამ მხრივ აღსანიშნავია მძიმეწონოსანი ზვიად ჩინჩალაძე. მირიან პავლიაშვილსაც (90კგ) შეეძლო, შეჯიბრება ჩემპიონის რანგში დაესრულებინა, მაგრამ ვერცხლს დაეუფლა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შანსი არ გაუშვიათ ხელიდან კახა მამულაშვილს (62კგ), ბადრი ჯანიაშვილს (68) და ნიკო ბიბილაშვილს (82). მთლიანობაში ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე 17 ქვეყნის გუნდებს შორის დიდების ნაკრებმა გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ სინანულით აღნიშნა, რომ მეტის მიღწევაც იყო შესაძლებელი:

"ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა არ იციან, რა არის შეკრება. წარმოიდგინეთ, რა ხდება, როდესაც კასპიდან ან გურჯაანიდან სპორტსმენი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე ხვდება. ჩვენს მიმართ იოტისოდენა ყურადღებას რომ იჩენდნენ, შესაბამის ეტაპებს რომ გავდიოდეთ, უკეთესი შედეგები გვექნებოდა. მაგრამ ფაქტია, შეკრებების ბედნიერება არა გვაქვს.

სხვათა შორის, არ ყოფილა შემთხვევა, შეკრება გაგვევლოს და ოქროს მედლის გარეშე დავრჩენილიყავით. მართალია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი შეძლებისდაგვარად გვეხმარება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მომავალ წელს უფრო მეტს მოვითხოვთ. სხვაგვარად არ შეიძლება. გული მწყდება, როდესაც სხვა ქვეყნის ნაკრებებს ეკიპირებულს, ერთნაირ ფორმებში გამოწყობილს ვხედავ. ჩვენ კი უბადრუკად გამოვიყურებით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბიჭები და მწვრთნელები ენთუზიაზმზე მუშაობენ".

# ქომაგის ტრიბუნა

მამუკა გაჩეჩილაძე

არსებობის 11-წლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს პირველად გამოუჩნდა პროფესიონალი მწვრთნელი, რომელიც ამ პოსტზე არა ქართული ფეხბურთის წინაშე წარსული დამსახურებების, არამედ საფეხბურთო განსწავლულობის, მდიდარი და წარმატებული სამწვრთნელო პრაქტიკისა და პროფესიონალიზმის გამო მოხვდა. შეიძლება ვინმემ ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპიც გაიხსენოს, რომელიც მწვრთნელის საქმის კარგად ცოდნით ასევე გამონაკლისი იყო საქართველოს ნაკრების მესაჭის პოსტზე დატრიალებულ "კარუსელში", მაგრამ შუშაკს, ნიდერლანდელთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს. იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ამ მწვრთნელებზე მაქვს, მათ შედარებას შევეცდები და არაფერს ვიტყვი იმ ქართველ ფეხბურთელებზე, რომლებსაც, იმის მიუხედავად, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტი ეკავათ, ფეხბურთელობას ვერ გასცდნენ.

კარგად მახსოვს ბოსკამპის ლექსიკონში ფრთიან სიტყვად ქცეული "მენტალიტეტი". იგი დასავლეთევროპელი იყო და საბჭოურთან შერწყმულ ცხოვრების ქართულ წესს ვერ იგებდა. ამიტომ, ყველანაირად ცდილობდა, ეროვნულ ნაკრებში "ცივილიზებული", დასავლური მენტალიტეტი დაემკვიდრებინა. პრინციპში, გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ არა საგრძნობს. ამ თვალსაზრისით, შუშაკს აზროვნების ქართულ წესთან შეგუება არც დასჭირვებია, რადგან თავადაც იმ ქვეყნის წარმომადგენელია, რომელსაც საბჭოური ყოფა ისევე აქვს გამოცდილი, როგორც საქართველოს. შუშაკის ინტერვიუებში არაერთხელ წამიკითხავს, რომ საქართველო და ხორვატია ძალიან ბევრი პარამეტრით ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ბოსკამპი ცდილობდა, ნაკრებში მკაცრი დისციპლინა დაემყარებინა. გავიხსენებ მოსკოვიდან ზაზა ჯანაშიას ორდღიანი ავტოვოიაჟის ამბავს, რის გამოც ის ნაკრებს მიღმა დარჩა. მაგრამ ჰოლანდიელი კარდინალურ ცვლილებებზე ვერ წავიდა, ხოლო ნახევარრეფორმებმა ეფექტური შედეგი ვერ მოუტანა.

ერთი შეხედვით, რევოლუციები არც ივო შუშაკს მოუხდენია, მაგრამ როცა დისციპლინაზე მიდგა საქმე, სადებიუტო მატჩის წინ ულაპარაკოდ შეელია ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, ევროპული მასშტაბის სუპერფორვარდს, შოთა არველაძეს, რითაც ყველას უჩვენა, თუ დიღმის სახლში (ბაზაზე) ვინ იყო ბატონი. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ის მატჩი საქართველოს ნაკრებს არ მოეგო. როგორ ფიქრობთ, არველაძის ნაკრებიდან გაშვების კონტექსტში ეს წარუმატებლობა ხორვატს მხოლოდ ნაკრების დროებითი მწვრთნელის პოსტად დაუჯდებოდა?

ბოსკამპმაც სერიოზულ კრიზისში მყოფი სანაკრებო მემკვიდრეობა ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა, თუ არ ვცდები, 4 ოფიციალური შესარჩევი შეხვედრა ჩაატარა. თითქოს პროგრესი თამაშიდან თამაშამდე იგრძნობოდა, მაგრამ გამარჯვება ვერც ერთხელ ვერ იზეიმა. ამ თვალსაზრისითაც, შუშაკის ასპროცენტიანი შედეგი ყველა კითხვის ნიშანს ძახილის ნიშნად აქცევს.

როგორც ვიცი, ბოსკამპს ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია და მისი სამწვრთნელო კარიერის უმაღლესი მწვერვალი ბელგიის "გენკი" იყო. შუშაკი აქაც საგრძნობლად წინ არის: იგი ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და მისი ხელმძღვანელობით ამ გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე თამაშის უფლება მოიპოვა, რომ აღარაფერი ვთქვათ 1998 წელს ხორვატიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორობაზე. თუმცა, ამ ჩემპიონატზე შუშაკი ბლაჟევიცის თანაშემწედ იყო წასული, ანუ მეორე მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა.

ხორვატი სპეციალისტის კიდევ ერთი მთავარი, გნებავთ, უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ ძალიან ხშირად ბედი სწყალობს, თუმცა, მოგეხსენებათ, ბედი მხოლოდ ძლიერებს სწყალობთ, რისი დასტურიცაა ის, რომ მისი ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე შავი ლაქა არ არსებობს და სადაც იმუშავა, გნებავთ საკლუბო, გნებავთ ნაკრებთა დონეზე, ყველგან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

მე მგონი, ყოველივე ზემოთქმული საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ფედერაციას აღარ დასჭირდეს ტვინის ჭყლეტა იმაზე, თუ ირლანდიის ნაკრებთან ოფიციალური მატჩის შემდეგ ვინ მიიწვიოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ორი აზრი არ არსებობს: შუშაკს სამწლიანი კონტრაქტი უნდა გაუფორმონ და მისცენ საშუალება, წყნარ ვითარებაში განაგრძოს ეროვნული გუნდის მომზადება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის. თუ ასე არ მოიქცევა, ჩემი აზრით, ფედერაციის ხელმძღვანელობა დიდ შეცდომას დაუშვებს.

კალათბურთი

# პოლ პირსის ხრიკები

**ნიუ-ჯერსი ნეთსი - ბოსტონ სელტიკსი 104:95**
*(სერიის ანგარიში 2:0)*

პოლ პირსის ხრიკები ძალიან დაეხმარა "სელტიკსს" პლეი-ოფის პირველი ეტაპის დაძლევაში. ბოსტონს გამარჯვება მანამდე შეუძლია, ვიდრე მის ლიდერებს – პოლ პირსსა და ანტუან უოკერს ტყორცნები მისდით. მათი ნეიტრალიზება ინდიანამ ვერ მოახერხა. თანაც, შესანიშნავად ითამაშეს ტონი დეულკმა და უოლკერ მაკარტიმ. ოთხივე კალათბურთელი მეტოქის ფარზე იყო დაგეშილი და მათი შორეული ტყორცნები 40-პროცენტიანი სიზუსტით ხორციელდებოდა. ამასთან, პირსი ტყორცნებს ბოროტად არ იყენებდა და მატჩში, საშუალოდ, ექვს შედეგიან გადაცემას არიგებდა.

"სელტიკსის" ლიდერი ჰარმონიული თამაშით სხვებისგან, მართლაც, გამოირჩეოდა და საბოლოო ჯამში შთამბეჭდავ სტატისტიკას მოუყარა თავი - 25,8 ქულა, 9,2 მოხსნა, 1,8 ჩაჭრა (გადაცემების გარდა). ამ ყველაფერმა კი ბოსტონის ერთ დროს ლეგენდარულ გუნდს მეორე ეტაპის საგზური მოუტანა. პოლ პირსისა და მისი პარტნიორების შანსი არც ნიუ-ჯერსისთან გამოიყურება ურიგოდ, მაგრამ ამისთვის საჭიროა, "სელტიკსმა" იმავე დონეზე ითამაშოს, როგორც "ინდიანა პეისერსის" წინააღმდეგ. ამას "ნიუ-ჯერსი ნეთსი" არ დაუშვებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოსტონელებს ამჯერად ძალიან გაუჭირდებათ.

ასეც ხდება. დღეისთვის სერიაში ანგარიში 2:0-ია "ნიუ-ჯერსი ნეთსის" სასარგებლოდ და იმის პერსპექტივაც არსად ჩანს, რომ ბოსტონმა მდგომარეობა თავის სასიკეთოდ შეცვალოს. მეორე შეხვედრაში კვლავ გამეორდა ჯეისონ კიდისა (23 ქულა, +11 მოხსნა, +8 გადაცემა) და ჯეფერსონის (25) ბენეფისი. სამ მეოთხედში მათ, პრაქტიკულად, უზრუნველყვეს თავისი გუნდის გამარჯვება. გადამწყვეტ, მეოთხე მეოთხედში, "სელტიკსმა" შთამბეჭდავი სპურტი განახორციელა - 14:0, მაგრამ "ნეთსის" ველარ დაეწია. პოლ პირსის ანგარიშზე 32 ქულა, 10 მოხსნა და 11 გადაცემაა.



ბრიუს ბოუენი

REUTERS

**სან-ანტონიო სპერსი - ლოს-ანჯელეს ლეიკერსი 114:95**
*(სერიის ანგარიში 2:0)*

ზედიზედ სამი წელიწადია, ამ გუნდების გზები პლეი-ოფში იკვეთება, მაგრამ თუ წინა წლებში "ლეიკერსის" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა (4:0 და 4:1), ამჯერად "სპერსი" რევანშისთვის არის განწყობილი. მეორე შეხვედრაში "სპერსმა" ჩემპიონებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და უპირატესობას ყოველ მეოთხედში ზრდიდა. პირველ მეოთხედში - 12 ქულა, მეორეში - 17, მესამეში - 33. დამაჯერებლად ითამაშეს დანკანმა (12, +13 მოხსნა, +7 გადაცემა), ბოუენმა (27) და ჯინობილიმ (17). შაკილ ო`ნილსა და კომპანიას კი, როგორც ვხედავთ, შეცდომის უფლება აღარა აქვს.

"სან-ანტონიო სპერსის" დამაჯერებელი თამაში მისი ბევრი ქომაგისთვის სიურპრიზი არ ყოფილა. სან-ანტონიოში ამბობენ, რომ "ლეიკერსთან" დაპირისპირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გუნდის მომავალ ბედს, მის შემადგენლობას. ტონი პარკერმა დაამტკიცა, რომ რეგულარული ჩემპიონატისთვის ძალიან კარგი კალათბურთელია, მაგრამ პლეი-ოფებში არადამაჯერებლად გამოიყურება – საშუალოდ მატჩში მხოლოდ 2,5 შედეგიანი გადაცემა. ამიტომ თუ პარკერისთვის ეს სერიაც უიღბლოდ წარიმართება, გამორიცხული არ არის, ზაფხულში კლუბმა შეიძინოს ახალი პლეიმეიკერი - ჯეისონ კიდი, გარი პეიტონი ან სემ კასელი. სპეციალისტთა მტკიცებით, "სპერსისთვის" ყველაზე უფრო სასურველი მეორე ვარიანტი იქნება.

TV სპორტი

## პარასკევი, 9 მაისი

**НТВ+СПОРТ**

06:00 ჰოკეი. სტენლის თასი. "მინესოტა უაილდი" – "ვანკუვერ ქენაკსი", მე-7 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია.
10:00 პრეს-ცენტრი.
10:15 "ოლიმპის შვილები". ყოველკვირეული გამოშვება.
10:20 აერობიკა.
10:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი.
13:00 პრეს-ცენტრი.
13:15 საკალათბურთო მიმოხილვა.
13:45 "სიჩქარის სამყარო". ტელეჟურნალი.
14:20 პოკერი. "One Million Poker-2003", პირველი ნაწილი.
15:15 ტაილანდური კრივი.
16:15 პრეს-ცენტრი.
16:30 ჩოგბურთი "Masters Series", მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.
18:15 "ნჰლ პლუს".
18:25 "სპორტული გლობუსი".
18:50 წუთიერი დუმილი.
19:00 პრეს-ცენტრი.
19:15 ჰოკეი. სტენლის თასი. "მინესოტა უაილდი" – "ვანკუვერ ქენაკსი", მე-7 მატჩი.
21:15 პრეს-ცენტრი.
21:30 "ოლიმპის შვილები". ყოველკვირეული გამოშვება.
21:35 მეორე დღის გადაცემების პროგრამა.
21:45 "ნადირობის სეზონი".
22:15 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე.
23:00 ჩოგბურთი "Masters Series", მეოთხედფინალი.
00:30 ახალი ამბები.
00:45 "ნჰლ-პლუსი".
00:55 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე.
01:40 "ნადირობის სეზონი".

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "გრემიო" – "ოლიმპია".
14:05 "FUTBOL MUNDIAL".
14:35 "საფეხბურთო სამზარეულო".
15:05 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
16:50 იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა.
17:45 "დარტყმა გოლზე". საფეხბურთო-იუმორისტული გადაცემა.
18:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:15 მეორე დღის გადაცემების ანონსი.
18:20 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე".
18:50 წუთიერი დუმილი.
19:00 "75 წუთი ვალერი ლობანოვსკისთან ერთად".
20:15 "პოსტსკრიპტუმი".
20:45 "გაიტანე!"
21:00 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "გრემიო" – "ოლიმპია".
22:45 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა.
00:55 ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 მოტო-რბოლა.
11:00 გოლფი. PGA-ს ტურნირი.
12:00 საცხენოსნო სპორტი.
13:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის ტასი.
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები.
15:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტურნირი.
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის.
20:15 ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის.
22:15 ავტომოტოსპორტი
22:20 ავტომოტორბოლა. საჩემპიონო სერია.
22:30 ავტომოტორბოლა. ლე მანის 24 საათი.
00:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. პოლონეთის თოვლის კაცი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სუმო.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ახალი ამბები.

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

2003 წლის 11 მაისს, 12 საათზე, სააქტო დარბაზში ჩატარდება **ღია კარის დღე.**

**მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 45.**

**ტელ: 23-05-03.**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელეპიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონეული კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (მთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

**შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით**

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

**წესები ამოწმის შედგენისთვის:**

კითხვები ეფუძნებიან "ხალხის პირისპირ" მიღება მხოლოდ ხელით მოტანილი ბლანკი. შეკრებული ბლანკი გამოგზავნეთ ფოსტით მისამართზე სამუშაოდ „ინსტიტუტი "რუსთავი 2", ტელეფონზე "ხალხის პირისპირ", ეკატერიწმიდის 45, 380077 თბილისი, ან მიიტანეთ ასევე მისამართზე და ნებისმიერ პირველ სართულზე მოთავსებულ სხვადასხვა ყუთში.

სამუშაოდ „ინსტიტუტი "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს, ეფუძნების ინტერესებიდან გამომდინარე ეფუძნებული შეკითხვის ან არ გამოყენების თაობაზე შეკითხვა. "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, ეაცნობოთ - გამოყენებული თუ არა თქვენს მიერ მიწოდებული შეკითხვა.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეიძლება სწორედ მხოლოდ ხელი შეკითხვა. შეიძლება შეიტანოთ და გამოიყენოთ კითხვები ნებისმიერი ინოენერთით.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შეკითხვის თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხვეი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაუზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი სუფთა მზიანი ბინა მე-6 სართულზე, ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით. 68 95 87

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავება-

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარაიძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

ში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

იყიდება სახლი ვეძისში, ოდესის ქუჩაზე. 8(99) 15 39 89

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

### მიწის ნაკვეთი

იყიდება ნაკვეთი დოესის ქუჩაზე. 8(99) 51 47 67

იყიდება 1200 კვ.მ. ნაკვეთი კრწანისის ქუჩაზე, სამთავრობო რეზიდენციასთან. ფასი შეთანხმებით. 75 20 84

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარაიძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

სასწრაფოდ ქირავდება 60 კვ.მ. ფართი I სართულზე პავლოვის დასაწყისში. 8(99) 56 80 78, 53 57 58, 31 14 53

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

იყიდება ვოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

**იყიდება!**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

მეცნიერებათა კანდიდატი ამერიკულ ინგლისურში ვამცადინებ ემიგრანტებს, სკაუტებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს. დრო განუსაზღვრელია. 68 95 87

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

**ორგანიზაცია შეიძენს 60 ცალ გენერატოს HONDA-ს მარკის 2,5 კვ. შეთვევაზება მოგვაზოდეთ 15 მაისამდე. ტელ: 98 22 04.**

## სხვადასხვა

ვიქირავებ ძველებურ ჩემოდნებს, ქოლგებს, მამაკაცის პალტოს – "მაკინტოჟს", დიდი ზომის მცენარეებს: პალმას, ფიკუსს და გვირასს. 8(99) 55 16 91

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

## აფიშა

### კლუბები

- **რეაქტიული კლუბის დაბადების დღე**
  დას: 22:00 სთ

### თეატრები

- **მარჯანიშვილის თეატრი**
  "მარადი ქმარი", რეჟ. თემურ ჩხეიძე
  დას: 18: 00 სთ; ფასი 3-5 ლარი
- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
  "სტალინი", რეჟ. კოტე მახარაძე
  დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
  ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
  დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### გალერეები

- **N გალერეა**
  ბესო გულაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა Random Dance
- **„არტ-ორიენტი"**
  "აბრეშუმის გზა"
- **„ეროვნული გალერეა"**
  გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **„ჰობი"**
  ცირა კალანდაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
  საერთაშორისო გამოფენა Appendix-ის პროგრამა
- **„ქარვასლა"**
  ჭგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჩუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი:**
  გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
  იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
  ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
  სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
  წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები
- **გოეთეს ინსტიტუტი**
  "ქართული საფლავის ქვები"
  ფოტოების ავტორი გოჩა ღულელაური

### კინოთეატრები

- **„ამირანი"**
  "ფრიდა"
  დას: 13:30, 22:00 სთ. ფასი 5-6 ლარი
  "გაანალიზე-2"
  დას: 16:00 სთ. ფასი 6-7 ლარი
  "აგენტი ჯონი ინგლისში"
  დას: 18:00, 20:00 სთ; ფასი 7-8 ლარი
- **„ელისო"**
  "ძალიან მაგარი ქალი"
  დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
  "დეარ დევილი"
  დას: 17:00, 21:00 სთ; ფასი 5 ლარი
  "მზის ცრემლები"
  დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი"**
  "მზის ცრემლები"
  დას: 17:00, 21:30 სთ. ფასი 5-9 ლარამდე
  "დეარ დევილი"
  დას: 15:00, 19:00 სთ. ფასი 5,7 ლარი

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9$^{00}$-დან 20$^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:**

**კომპიუტერის მემსწავლელ კურსს თემებით:**

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითოთიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

**მისამართი:** ი. ჭავჭავაძის N25 **ტელ:**29-48-61

## TV პროგრამა 9 მაისი

### რუსთავი - 2

07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაფვლელები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 საბ. ფილმი „ნადირთ მჭერი"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი
12.20 „ღიმილის ბიჭები"
14.50 დოკ. ფილმი „ჩვეულებრივი სასწაული" 1-ლი ნ.
15.20 დოკ. ფილმი „ჩვეულებრივი სასწაული" მე-2 ნ.
16.30 მხ. ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
18.20 „ბერლინის დაცემა"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი
23.00 ღამის კურიერი
00.00 მხ. ფილმი „დიდი გასეირნება" მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი
02.15 მხ. ფილმი „სიყვარული გერმანიაში" მთ. რ-ში: ანჯელი ვაიდა.

### პირველი არხი

08.00 მოამგე
08.15 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
08.45 მხ. ფილმი „სიყვარული გერმანიაში"
10.30 ქართ. დოკ. ფილმი „გმირი, ლექსი, სიმღერა"
11.05 დოკ. სერიალი „სატელევიზიო ჟურნალის ისტორია"
12.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
12.40 ქართ. დოკ. ფილმი „ქარცეცხლიან დღეთა ქრონიკა"
14.05 „მხოლოდ კლასიკა"
15.00, 20.00 მოამგე
15.15 „შალომ, ისრაელ!"
16.00 კალათბურთში საქ. ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი.
17.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 გასტი-ბუბუ
18.50 პრეს-ეკრანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 ტალანტები და თაყვანისმცემლები - ო. მხეიძე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 მხ. ფილმი „ჯარისკაცის მამა"

### II სტ პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. უცხ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნ.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 რუსული მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი გრავო „დონი დარკო"
02.15 ფილმი ღამურა „ადამიანი-ფარვანა" მთ. რ-ში რიჩარდ გირი.
03.45 აეროზის გარეშე

### 2 მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „რვაფეხა"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 ენერგია
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ბოლიათი ქალის თავდასხმა"

### იგერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „გარდასახვის ოსტატი"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი
17.20, 18.45, 19.45, 21.55, 23.30, 00.50 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
20.00 მიუზიკჰოლი
22.00 დიალოგი
00.55 მხ. ფილმი მაჩვენე სიყვარული"
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „ხვალ"
20.30 „მომავალი"
21.00 „ვესტი"
21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
22.30 „გამარჯობა"
23.15 მუსიკალური პაუზა
23.30 ტელესერიალი „ყავახანა"
23.45 მხ.ფილმი „ხვალ იყო ომი"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა
10.00 სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „განანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
12.40 მხ. ფილმი „მერლინი პირველი ჯადოქრობა"
14.05 „ყვითელი კვადრატი".
14.45 „ქართული ფეხბურთი"
15.15 მხ. ფილმი „კოქტეილი"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „განანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
19.50 ფილმი „კავკასიელი ტყვეები"
21.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ. ფილმი „ოგობები" 1-ლი ს.
00.20 მხ. ფილმი „შინდლერის სია".

### იმედი

17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 თამაში „ლარის მახე"
19.55 არტ ფილმი „გელორუსული სადგური"
22.45 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი"
23.40 თამაში „ლარის მახე"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ბანძის მაძიებელნი"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.10 მხატვრული ფილმი „სისხლიანი სპორტი-წყვდიადისფერი"
13.40 მხატვრული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მხატვრული ფილმი „პერლ-ჰარბორი"
19.30, 22.40 „Пресс-папье"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.10 ისტორიული ფილმი „სამასი სპარტელი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
22.50, 00.30, 00.55 მუსიკა
23.00 „ალტერნატივა"
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.25 მელოდრამა „ბილწი წინადადება"
03.20 დოკ. ფილმი
04.05 ფანტასტიკა „მთიელი"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.35 „აჩიკუდა"
10.00 კომპიუტერული ტექნიკა
10.40 „ბიორითმი" - .
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 მოგილურები
